

დალი ჩიკვილაძე

# დაუვიწყარი პერსონალები



გამომცემლობა „ანიკრასალი“  
თბილისი 2009

რედაქტორი: მარინე ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი: ვ. მექვაბიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. პირველაშვილი

© დ. ჩიკვილაძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-521-8

## ავტორისაბან

ცხოვრება თავისი კანონზომიერებით მიედინება, ცისქვეშეთში გაუთვალისწინებელი არაფერი ხდება, ღრო მიქრის-მიექანება, კეალს აწნევს, მაგრამ არ გეკარნახობს, – დაიმახსოვრეთ, ანგარიში გაუწიეთ, დაუკვირდით, აწმყოში გამოიყენეთ. ამის აღნიშვნა რამ სიბრძნეს არ გულისხმობს, იმის თქმა მოვიწადინეთ, რომ რაც გუშინ იყო, ის დღეს მარტო მოგონება როდია, ის კეალ-დაჩნეული წარსულია, რომლის დავიწყება არ გემართებს თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელობაც წარსულად იქცევა თვალის-დახამხამებაში.

განვიზრახე, მკითხველს შევთავაზო იმ პერსონალების ნაფიქრ-ნააზრეის, ნაღვაწის ზოგიერთი ასპექტი დღევანდელი ვექტორულ სივრცეში რომ არის ჩაწნული და ღროის კეალობაზე კლასიკურად მიჩნეული. ეს წერილები ამ საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა უურნალ-გაზეთში ქვეყნდებოდა. ჩვენ ზოგიერთი შევარჩიეთ და ქრონოლოგიური პრინციპით დაეაღაგეთ. გეინდოდა, სათაურად „მეცნიერის „რამე-რუმე“ გვეწოდებინა დიდი ვაჟას გაველენითა და შთაგონებით, მაგრამ ვერ ვაკადრეთ არდავიწყების სახელებს „ყართა-ყურთად“ (ისევ დიდი ვაჟას გაველენით) ხსენება. თითოეულმა ხომ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, რისთვისაც გვეძვირფასება მათი სახელების გახსენება.

დალი ჩიკვილაძე  
მარტი, 2009 წ.

## ციური ნოზაძის ბახსენება

მკითხველი ამ წიგნს ხელში რომ აიღებს, ვიდრე ჩვენი ამაგდარი წინაპრის ნააზრევს გაეცნობა, გეინდა რამდენიმე შტრიხი მივაწოდოთ მისი ავტორის პორტრეტისათვის.

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება უხმაუროდ, ზარზეიმისა და კომპეზურობის გარეშე მიედინება. ეს მშეიდი, უწყინარი პიროვნებანი განსაკუთრებულ აურას ქმნიან თავის გარშემო, განსაკუთრებული ძალით მუხტავენ ირგვლივ მყოფთ. ასეთ გამაკეთილშობილებულ ენერგიას ასხივებდა ციური ნოზაძე – მოკრძალებული, სათნო და სანდომიანი ქალბატონი, იგი ჟურნალისტიკის ფაკულტეტს ამშვენებდა თავისი ინტელიგენტურობით.

ციური ნოზაძე იზრდებოდა ლაღად ფუძემდებელ ოჯახში, სადაც ადამიანთა ურთიერთობები ქმნიდნენ ცხოვრების წესს. ქალთა პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, I მუსიკალური სასწავლებელიც დაასრულა და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასპირანტი გახდა. 1968 წლიდან გარდაცვალებამდე (1992 წლის 14 იანვარი) მუშაობდა უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჯერ ლაბორანტად, შემდეგ მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გრიგოლ ვოლსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ციური ნოზაძე განათლებული, ფრიად დახვეწილი, ამალლებული პიროვნება გახლდათ იუმორის თანდაყოლილი ნიჭითა და მუსიკალობით დაჯილდოებული. მას სხვისი წარმატებით უზომო სიხარულის გამჟღავნება შეეძლო. იყო ორი ვაჟაკის დედა და ორი შვილიშვილის ბებია, სტუდენტური მერხიდან გამოყოლილმა დიდმა სიყვარულმა რომ წარმოშვა ამქვეყნად. ვისაც ციური ნოზაძის მეტყველი ცისფერი თვალები, ოდნავ აპრეხილი პატარა ცხვირი და თეთრი, ქათქათა სახის ფერი ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ მსგავს სილამაზეს „დაუვიწყარს“ უწოდებენ. ხალისიანი,

გადამღები ღიმილის მქონე, უჩვეულოდ მოკრძალებული იყო. მორიდება ციური ნოზაძის პიროვნების სამკაული გახლდათ, სიტყვაც მორიდებული, აწონილ-გაზომილი, დინჯი ჰქონდა.

ციური ნოზაძის ადამიანურ თვისებებზე ბევრი შეიძლება დაიწეროს. ნიჭიერი მკვლევარი, ლოგიკურად მოაზროვნე ანალიტიკოსი, მოკრძალებული მესიტყვე, ვინც უდიდესი შრომა და სიყვარული ჩააქსოვა ბათუმში მოღვაწე ჩვენი სახელოვანი წინაპრის – გრიგოლ ეოლსკის სახელის არდავიწყებას, რისი დასტურიც წინამდებარე გამოკვლევაა.

ამასთან მიმდინარე წელს სრულდება გრიგოლ ეოლსკის დაბადებიდან 140, ხოლო გარდაცვალებიდან 90 წლისთავი. მადლიერი შთამომავლობა ამ გამოკვლევის დასტამბვით ფართო საზოგადოებას შეახსენებს სახელოვანი მამულიშვილის გამორჩეული ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად ასპექტებს.

დაიბუჭდა წიგნში „გრიგოლ ეოლსკი ცხოვრება და მოღვაწეობა“, თსუ გამომცემლობა, 1999 წ.

## აკაკის ანდერძი

მკითხველთა ფართო წრეს, ვფიქრობთ, დააინტერესებს აკაკი წერეთლის მიერ შთამომავლობისათვის დანატოვარი ანდერძის ისტორია, მით უფრო, რომ იგი ფართო მსჯელობის საგანი, რამდენადაც გვახსოვს, არ გამსდარა.

გაზეთ „თემში“, რომლის რედაქტორი აკაკის ახლო მეგობარი გრიგოლ დიასამიძე იყო, რომელშიც გარდაცვალებამდე აქტიურად თანამშრომლობდა პოეტი, გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა აკაკის დაუბეჭდავი ლექსები, რამდენიმე უცნობი პუბლიცისტური წერილი, გამოუქვეყნებელი *„აკაკის წინანდელი ანდერძი“* და *„აკაკის ანდერძი“*. „აკაკის წინანდელი ანდერძი“ შეცვლილი სათაურით – *„უკანასკნელი სურვილი“*; – შეტანილია აკაკის თხზულებათა სრულ კრებულშიც, (თხუთმეტომეულის მე-14 ტ., გვ. 322). *„წინანდელი ანდერძი“* დაწერილია *1907 წლის 1 ოქტომბერს*. ეს თარიღი საგულისხმოდ გვეჩვენება, თუ გაიხსენებთ, რომ ცოტა ხნით ადრე მოულოდნელად სიცოცხლეს გამოასალმეს დიდი ილია... ამით თავზარდაცემულ აკაკის გადაუწყვეტია ანდერძის დაწერა და შემდეგი სათხოვარი დაუტოვებია თანამედროვეთათვის:

1. „ჩემი სურვილია, რომ გელათში დავიმარხო, დავით აღმაშენებლის ფერხთით, თუ შესაძლებელი იქნება.

2. დავიმარხო უბრალოდ, ღარიბად, ისე როგორც შეეფერებოდეს ჩემ გატარებულ ცხოვრებას.

3. გვირგვინები ნუ იქნება, მათ ნაცვლად თუ მაინცდამაინც ნიშნები რამე იყოს, რომ ხარჯები არა მოვიდეს რა.

4. ჩემი სახლი გადაეცეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომ იქ სახალხო შკოლა იქნას გამართული.

5. ჩემი თხზულებები გადაეცეს: იაკობ გოგებაშვილს, გრიგოლ და ალექსანდრე დიასამიძეებს და ვახტანგ ღამბაშიძეს. იმათ განკარგულებით უნდა გამოიცეს თანახმად სერგო ბახტაძის სურვილისა და წმინდა მოგებიდან, თუ იქნება ხოლმე, ნახევარი ეძლეოდეს ჩემ ცოლ-შვილს, რადგანაც მათ მეტს ვერას ვუტოვებ და დანარჩენი ნახევარი მოიხმარონ ხოლმე მათის სურვილი-

სამებრ. აკაკი, 1907 წ. 1 ოქტომბერი“ (გაზეთი „თემი“, 1915 წ. 8 მარტი).

„აკაკის წინანდელი ანდერძი“ რამდენიმე მომენტი იქცევა ყურადღებას: აკაკის მორიდებული და გულშიჩამწედოში ნატვრად ერთიანი და ძლიერი საქართველოს შემქმნელი მუჟის – დავით აღმაშენებლის – ფერხთით, გელათის წმინდა მიწაზე დასვენება. საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს – 26 იანვარს, შუაღამისას დასრულდა აკაკის ამქვეყნიური არსებობა და დაიწყო მისი ზეციური ცხოვრება. ვფიქრობთ, ამ ანდერძში წინათგარძობის ერთგვარი კეალიც ჩანს: დიდებული ჰგოსნის სიცოცხლე ტანჯვა-წამებით სავსე იყო. „უგვირგვინო მეფედ“ შერაცხულს მეფური სიამტკბილობა და დაღბინებული ყოფა არ ღირსებია, ამიტომაც უბრალოდ, უპრეტენზიოდ სურდა განშორებოდა სააქაოს. საფიქრალით ხალხური ზეპირსიტყვიერების კულტურული აღორძინება ეწადა, ამიტომაც მთელ საგვარეულო ქონებას, მისი ნაწერების პუბლიკაციით მიღებულ შემოსავალს შთამომავლობას უტოვებდა.

როგორც ჩანს, გარკვეული დროის გავლის შემდეგ, აკაკის შეუესია და დაუკონკრეტებია ამ ქვეყნიდან წასვლის შემდგომ შესასრულებელი თავისი ნება. 1912 წლის 7 ნოემბერს ქუთაისში, ნოტარიუს დავით აბდუშელიშვილთან დაუმოწმებია კიდევ თავისი ანდერძი, რაც დაკრძალვის დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „თემმა“ (1915 წ. 8 თებერვალი). ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ შევახსენოთ იგი დღევანდელ მკითხველს (ტექსტი ოდნავ განსხვავებულია თხუთმეტომეულის მე-14 ტომში დაბეჭდილი „აკაკის ანდერძისაგან“, გვ. 589). ამ ანდერძში ვკითხულობთ:

„მე, თავადმა აკაკი როსტომის ძე წერეთელმა, რომელიც ვიმყოფები საღ ჭკუაზე და მტკიცე გონებაზე, საჭიროდ დავინახე ჩემი სიკვდილის შემდგომ ასეთი საანდერძო განკარგულება მოვახდინო:

ყველა უძრავ ქონებას უანდერძებ ცოლს-ნატალია ბაზილევსკაიას და შვილს – ალექსი წერეთელს, რომ ფლობდნენ მას, სარგებლობდნენ მთელის სიცოცხლის განმავლობაში. ამ მამულიდან სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად უტოვებ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადო-

ებასა“, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემის სახელობისა. ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრების, არაკებისა და საერთოდ, ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემის ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის. რადგან ზემოხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ეთხოვლობ, როდესაც უფალი თავისთან გამოწვევს, დამასაფლაოთ კარის ეკლესიის გვერდით სოფელ სხვიტორში; გთხოვთ დამასაფლაოთ უბრალოდ და უგვირგვინოდ. თუ ვინმეს ექნება გვირგვინით ჩემი კუბოს შექცობის სურვილი, ეთხოვ გვირგვინის ფასი გადასცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ზემოაღნიშნული მიზნისათვის ამ ანდერძში გამოთქმულ ჩემი ნების აღმსრულებლად ვნიშნავ: თავადს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს, სურგო ლუკას ძე ბახტაძეს, კოსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილს და ექიმ ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილს“.

სხვათა შორის გაზეთმა „თემმა“ გამოაქვეყნა აგრეთვე „აკაკის სურვილი“, რომელიც დღემდე არც ერთ გამოცემაში არ შესულა. აკაკის ხელნაწერიდან გადმობეჭდილი ეს სურვილი თვალნათლივ წარმოაჩენს აკაკის უკეთილშობილეს ბუნებას, იუმორით სავსე სილაღეს და დიდ ადამიანურ პატიოსნებას (დაიბეჭდა გაზეთ „თემში“, 16. 02. 1915 წ.). ეს სურვილი აკაკის 1912 წლის 1 ნოემბერს გაუნდვია ქაღალდისათვის. მოგვყავს მთლიანად:

„თუ ჩემს სიცოცხლეში ვერ მოეასწარი, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი მემკვიდრეები, ვინც იქნებიან, ვალდებული არიან გადაუხადონ ვალი შემდეგ პირებს: ივანე ელიაშვილს ექიმს – ასი თუმანი, გრიგოლ ელიაევას ექიმს – ოცდა ათი თუმანი, დედელ – მონაზონს ჭუჭბურიძეს – ოთხი თუმანი, მთავარ დიაკონს ფარნაოზ ზაბახიძეს – ოცი თუმანი და სპირიდონ ზაბახიძეს – ოცი თუმანი.

ჩემმა მოკალეებმა, თუ თავის ნებით შემოიტანონ რაც მართებთ ხომ კარგი და თუ არა, ნუ შეაწუხებთ, ღმერთმა შეარგოს.

ბ-ნო კოსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილო! როგორც ერთ ჩემ „დუშეპრიკაშიიკთაგანს“, გთხოვ, ეს ჩემი სურვილი სისრულეში მოიყვანო.



როდესაც აკაკის ანდერძის აღმსრულებლები დაკრძალვის მეორე დღეს შეკრებილან თბილისში აკაკის ბინაზე (ოლღას ქუჩა, დოვლათოვის ბინა №41), აღმოჩენილა ორი დაკეტილი ჩემოდანი – წითელი და შავი, რომლებშიც ეწყო ხელნაწერები, ფული 3 მანეთი, 8 ნახევარკაპიკიანი, საზღვარგარეთის პასპორტი. მთელი ეს ქონება ანდერძისამებრ გადაეცა საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების გამგეობას – ექვთიმე თაყაიშვილს.

როგორც ცნობილია, აკაკი ანდერძის მიუხედავად, არ დაკრძალულა სხვიტორში, კარის ეკლესიის ეზოში. ქართველი ხალხის სურვილით მისი ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს, სამი დღე-ღამე ქვაშეთის ეკლესიაში დაასვენეს და მთაწმინდის საუფლოს მიაბარეს მწუხრის უამს, 8 თებერვალს 1915 წლისა. აკაკის გამოსათხოვარი სამგლოვიარო დღეები, მისი დაკრძალვა იქცა საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის – განსხვავებული აღმსარებლობის, პოლიტიკური მიმართულების, თუ რწმენის მქონე ადამიანთა გაერთიანების სიმბოლოდ. პროცესიას მთაწმინდისაკენ მიუძღოდნენ ნიკო ნიკოლაძე და ნოე ჟორდანი. ანდერძისამებრ გვირგვინები არ ხლებია ცხედარს, განშორების სიტყვებმა და ცრემლისნიადვარმა „წალეკა“ იმდროინდელი თბილისი. მწუხარებამ გააერთიანა, საერთო საფიქრალით და ინტერესით შეაკავშირა კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნოების, წოდების და მიმართულების ადამიანები, რაც საგანგებოდ აისახა ნიკო ნიკოლაძის გამოსათხოვარ სიტყვაში: „ჩემზედ უკეთ სხვები მოგახსენებენ აკაკის ღიადი ნიჭისა და ღვაწლის ღირსებას. მე მარტო იმას აღვნიშნავ, რომ თვით თავის სიკედილით მან ახალი შესამჩნევი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. ყველას დაანახვა, რომ მის გლოვაში ერთი გრძნობა და გული ჰქონდა მთელს ჩვენს ერს, მხარეს ქონების, ასაკის, სქესის და თვით პარტიის განურჩევლად. მისმა კუბომ გარს შემოირტყა და ერთ ნებას ძმურად დაუმორჩილა ყველა ჩვენი მიმართულების მეთაურები, რომელთაც წინეთ ეგონათ, ვითომ მათ შორის საერთო არა მოიძებნება რა. იმედი ვიქონიოთ, არა მარტო გლოვაში, ყველა სხვა ჩვენს საერთო საქმეში და გასაჭირში გამოგვადგება ამის შემდეგ ეს მადლიანი მაგალითი. მხედავთ რამხელა ჯარი გეყოლია? ოღონდ შტაბი არსად გაგვანჩნია, ურომლისოდ ამ განსაცდელით სავსე დროში ერი არა თუ წინ ვერ წაიწვეს, ვერც კი გასძღვებს. იქნება აკაკის

ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რომ დღევანდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის საჭიროდ, როგორც უკედავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელი“ (გაზეთი „თემი“, 1915 წ., 16 თებერვალი).

მრავლისმეტყველია დაკრძალვისას აკაკის ფენომენის გრიგოლ რობაქიძისეული შეფასება. გრ. რობაქიძემ სრულიად ახალი კუთხით გახსნა აკაკის პოეტური სამყარო: „რაღაც ქედ-მაღალი და თან უბრალოა ის, რომ ქართველი ერი მიცვალებულ მგოსანს მხოლოდ სახელით მიმართავს: აკაკის პოეზიის პირველი საფეხური ალეგორია და მეტაფორაა, მეორე – სიმბოლო, საცა ალეგორია და სიმბოლო გადადიან, მესამე (უმალესი) – მითი, რომელშიაც სიმბოლო გაიხსნების დინამიურად. აკაკი, ცხადია, მითის მქმნელი მგოსანი არ არის, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ მრავალს მის ნაქნარს თამამი დაქროლავს მითის სახით. ნამდვილი მგოსნობაც სწორედ ეს არის – წარმოშვა „მითიური“ განცდა, ყოველი ნამდვილი ხელოვნებაც ხომ აქვთ ისწრაფვის“ (გაზეთი „თემი“, 1915 წ., 16 თებერვალი).

ეფიქრობთ, საყურადღებოა „თემის“ რედაქტორის, ანდერძით აკაკის ნების აღმსრულებლის – გრიგოლ დიასამიძის წინადადება. მან აკაკის გარდაცვალებისთანავე ქართველ ხალხს სთხოვა დაეწესებინა აკაკის დაბადების დღის 9 ივნისის – მახლობელ კვირა დღეს პოეტის მშობლიურ სხვიტორში დღესასწაული „აკაკის დღე“. „ამ დღეს უნდა იმართებოდეს აკაკის სამახსოვროდ მგოსნის ნაწერების კითხვა და მისი ცხოვრების სხვადასხვა ამბების გახსენება... ამავ დროს ეს იქნება მადლობის გადახდა ჩვენი ერის იმ ნაწილის მიმართ, რომელმაც ნება დაგვრთო აკაკის ნეშტი გადმოგვესვენებინა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, რომელიც განსაკუთრებულად უყვარდა ჩვენს დაუვიწყარ აკაკის“ (გაზეთი „თემი“, 1915 წ. 16 თებერვალი).

მადლიერი შთამომავლობა არ მოშლის აკაკის დღესასწაულს მის მშობლიურ კუთხეში!

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,  
2000 წ. 26 იანვარი.

## სახელოვანი წინაარის საზიძრალი...

117 წელი გავიდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის – სერგეი მესხის გარდაცვალებიდან, ვინც მთელი ცხოვრება ემსახურა თავის სათაყვანებელ სამშობლოს, ემსახურა მხურვალედ, მოთმინებით, თავდადებით, შემართებით, შეუბღალავად. თითოეული ეს სიტყვა „დროების“ რედაქტორის ღვაწლს სხვადასხვა ნიუანსით წარმოაჩენს.

თავისუფლებადაკარგული საქართველოს ხვალისდელ დღეს იმხანად განათლებული და საქმის უნარიანი ახალი თაობა ესაჭიროებოდა. ახალი თაობის საუკეთესო შვილების – ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის მხარდამხარ სერგეი მესხი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების რთულ და საპატიო საქმეს ბასრი პუბლიცისტური სიტყვით უძღვებოდა. ახერხებდა იმდროინდელი საზოგადოების საფიქრალ-სატყეარზე დიდი სჯა-ბაასის გამართვას და „ძილით შეკყრობილი“ ქართველებისათვის იმ სულიერი საზრდოს მიწოდებას, რასაც პროგრესულის, მამულიშვილურის სამსახური ჰქვია. გაზეთ „დროებას“ 1869-83 წლებში სერგეი მესხი რედაქტორობდა. ამ პირველი ევროპული ტიპის გაზეთის ფურცლებზე 14 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სერგეი მესხის წერილები იმის უტყუარი დასტურია, თუ როგორ უნდა წეროს გაზეთის რედაქტორმა, როგორ ჩააყენოს ხალხის სამსახურში პუბლიცისტური სიტყვის ძალა, – სიტყვის უბრალოებით, სიტყვის სისხარტით, პროფესიული ოსტატობით როგორ მიიტანოს მკითხველამდე სათქმელი. რედაქტორობის 14 წელი ს. მესხისთვის ძნელი, საზოგადოების გულგრილობით და უმადურობით დადღასმული „სიტყვით ბრძოლის“ პერიპეტები იყო.

სერგეი მესხის მრავალფეროვანი პუბლიცისტური ნააზრევიდან დღეს მკითხველს გვსურს შევთავაზოთ რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შედეგად ახლადშემოერთებული აჭარის შესახებ „დროების“ რედაქტორის პუბლიკაციების ძირითადი პათოსი, რადგანაც წარსული თანამედროვეობის გამაძლიერებელი ძალაა.

დიდია „დროებისა“ და მისი რედაქტორის ღვაწლი საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მცხოვრებთა საფიქრალ-სატიკივარის ირგვლივ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნის პროცესში. აჭარა სამსაუკუნოვანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა დედა-საქართველოს. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე სერგეი მესხი საბრძოლო ფორმაში ჩაცმული ქართული მილიციის ქვედანაყოფში სამხედრო კორესპონდენტად ჩაირიცხა და ქართულ ნაწილებთან ერთად დადგა ფეხი დედა-სამშობლოს მოწვევტილ აჭარის მადლიან მიწას, რომლის შემოერთებაც უდიდეს ბედნიერებად, დაკარგულ ძმებთან ნანატრ დაბრუნებად და ქართველთა ეროვნული ცნობიერების ამაღლების საფუძვლად მიიჩნია. აუღელვებლად ვერ წაიკითხავ დღეს თვითმხილველის მიერ განცდილ იმ ყურადსაღებ ინფორმაციას რუსეთ-თურქეთის ომის მზადებისა და მიმდინარეობის შესახებ, რომელიც „დროებაში“ იბეჭდებოდა სპეციალური რუბრიკებით – „ომის საქმე“ და „ოსმალის საქართველო“. მათი ავტორი ს. მესხია, რომელიც „ს.მ“-ს ხელმოწერით აქვეყნებდა ქობულეთისა და ბათუმის მისადგომებიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს, რომლებშიც მამულიშვილური გული ძგერს და გამჭრიახი თვალთ დანახული ეროვნული პოზიცია არის გამჟღავნებული: უდიდესი სიხარული სამსაუკუნოვანი განშორების შემდგომ სისხლი-სისხლთაგანი ძმების დაბრუნების გამო, დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა ჯერ ისევ უცნობი ნათესავი მოდგმის ადათ-წესების და ხასიათის წინაშე, ნდობის დამსახურების აუცილებლობა და დიდი სიყვარულის გამჟღავნების მოწოდება გამოარჩევს ს. მესხის სხარტ, საქმიან და აჭარლებისადმი დიდი ერთგულებით გამთბარ კორესპონდენციებს, რეპორტაჟებს, ინფორმაციულ შენიშვნებს. „ჩვენ თითქმის სრულებით არ ვიცნობთ ამ ახლად ჩვენს უბეში დაბრუნებულ მოძმეებს. ვიცით მხოლოდ, რომ ყველა ესენი გამაჰმადიანებულები არიან, რომ მომეტებულ ნაწილს ამათგანს ძველი საქართველოს ხასიათი და ჩვეულებანი ჯერაც არ დაეიწყებიათ და ასრულებენ, ვიცით, რომ ზოგან იმათ თავიანთი სამშობლო ქართული ენა ჯერაც არ დაკარგვიათ და სხვა არაფერი“ („ახლად შეძენილი საქართველო“). მთავარი საქმე წინ არის! ურთიერთგაცნობა და ურთიერთდაახლოება მიაჩნია ს. მესხს საღვთო მოვალეობად, რომლის გარეშეც ქართველთა

მთლიან ნაწილად ვერ იქცევა შემოერთებული აჭარა და ამ კუთხესთან ურთიერთობა გაძნელებად, — ირწმუნებოდა ეს დაკვირვებული კალმოსანი. „ჩვენი საღვთო მოვალეობაა, რომ კარგად გაეიცნოთ ეს ახლად შემოერთებული ჩვენი თანამოქმედები და იმათაც გაეცნოთ ჩვენი თავი. უიმიხოდ ჩვენ შორის ერთობა და ნამდვილი ძმობა, ერთი ხალხის შეილობა თავის დღეში არ ჩამოვარდება. როგორც ერთი საქართველოს შეილნი, როგორი თანამოქმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთისას ვერას გავიგებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება?“ („ახლად შექმნილი საქართველო“). ეს სტრიქონები იწერება 1878 წლის 11 მარტს, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი ახალი შეწყვეტილია და ბერლინის კონფერენციის მოლოდინში ერთი რამ გარკვეულია, — ქობულეთი, ბათუმი, ზემო და ქვემო აჭარა საქართველოს, როგორც რუსეთის ნაწილს, დაუბრუნდება. ს. მესხი წერდა: „ხრმალი ჩაგებულა, ბურთი და მოედანი ახლა დიპლომატიას დარჩათ... რამდენი მსხვერპლი მოითხოვა ამ ომმა, რამდენი უბედურება მოჰყვა ამას თან! თვითონ ომში იმდენი ხალხი არ დახოცილა, ტყვიას იმდენი არ მოუკლავს, რამდენიც სხვადასხვა ავადმყოფობისგან და გაჭირვებისაგან დაიხოცა და შემდეგში დაიხოცებთან“ („ომის შემდეგ“). მთავარი საფიქრალი შემოერთებული „ოსმალის საქართველოს“ მიმართ, ს. მესხის აზრით, იყო ის, თუ როგორი ტაქტით, როგორი მოთმინებითა და ურთიერთგაგებით მოეკიდებოდა ერთიანი საქართველო შემოერთებულთა ადათს, ნებას, ზნეობას და, რაც მთავარია, — სარწმუნოებას. როგორ დავაჯერებთ იმაში, რომ საფრთხე მათ განსხვავებული რწმენის გამო არ ემუქრებათ, რომ ჩვენ, ქართველებს, გვანტერესებს ძალით და დავიდარაბით მოწყვეტილი ჩვენი ძმების დაბრუნება და არა ის, თუ რომელ ღმერთს აღიარებენ ისინი, მათი რწმენა ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს, რადგან ამ ქართულ კუთხეს მაჰმადიანური რჯული მას შემდეგ მოახვიეს თავს, როცა ისინი ამ ქვეყანაზე ქართველებად უკვე გაჩენილნი იყვნენო: „აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლად-შემდენილ ქართველების სარწმუნოებას. ჩვენი აზრი ეს არის, — წერს ს. მესხი, — რომ არა თუ ძალდატანებით, ქადაგებითაც, ტკბილი სიტყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლმადიდებლობას... სარწმუნოება სინდისის საქმეა,

ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ მაჰმადიანის სარწმუნოების კაცი გიდგია“ („ახალი მოვალეობა“).

ს. მესხი თვითმხილველი იყო ომის შედეგად დარბეული აჭარის დანგრეული ცხოვრებისა. იგი კალამმომარჯვებული პირველი აღმოჩნდა აჭარაში და თვალყურს ადევნებდა აწიოკებული ბათუმისა და ქობულეთის ყოფას. ბათუმი ტიპური აზიური ქალაქიაო, წერდა ერთ-ერთ გამოგზავნილ კორესპონდენციაში ს. მესხი. „ბაზარი, ქუჩების სიბინძურე, შენობების არქიტექტურა, ხალხის ცხოვრება, – ყველაფერი აზიას, აღმოსავლეთს მოგვაგონებს („ბათუმისაკენ“). ამ ზღვისპირა ქალაქში ოსმალების სამ საუკუნოვანი ბატონობის შედეგად „სისუფთავე და ეკროპული სიფაქიზე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა მაინც გასული ომის წყალობით და იმ არეუ-დარევის გამო, რომელიც ამჟამად კსუფევს ბათუმში, ქალაქი სულ მთლად ბოლო მოღებულა... ქუჩებში, მოედნებზე, ზღვის ნაპირს რეიდზე კოჭებამდინ ნაგავი, მტკერი, ყოველნაირი სიმყარაღე...“ („ბათუმისაკენ“), მაგრამ ყველაზე დიდ ენებას ქალაქს მაჰმადიანთა სასაფლაო მოუტანს, საფლაოები „ერთს არშინზედ ღრმად არ არის გათხრილი“, ზედ ფიცრებია გადაფარებული, რომლებიც დამპალა და ჩამტკრეულა, რაც საშინელ სიმყარაღეს და ანტისანიტარიას ქმნის, რის გამოც ბათუმში დარჩენილთ ბევრი საყრთხე ელოდებათო. არადა, ოსმალების მოღების და ინგლისელთა დაქირავებული მსტოვრების გამუღმებული აგიტაციით ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობა ტოვებდა მამა-პაპათა მიწას, მონაგარს, საცხოვრისს და ოსმაღეთში გადასახლებას ცდილობდა. მიზეზი ბევრი იყო, მათ შორის განსაკუთრებით მძღაერობდა რუსებისადმი უნდობლობა და რჯულის ხელყოფის შიში. რუსი მოხელისაგან დენისა და შეურაცხყოფის შიშის გარდა ბათუმის და ქობულეთის მკეიდრთ აფრთხოობდა ახალი ურთიერთობები. „ჩვენ ახლა ვიცით ჩვენი ხონთქრის კანონები, ვიცით, თუ რამ შემთხვევა გვექნება, სად და ვის უნდა მიემართოთ, ჩვენი გღეხი წელიწადში შვიდ შაურს აძღვედა ხონთქარს გადასახადს და სხვა არა იცოდა რა... ახლა კი ვინ იცის, როგორ წავა ჩვენი საქმე... ეს გვაშინებს“, – უზიარებდა აჭარელთა გონიერი წინამძღოლი ხასან-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიშვილი – დ.წ.) თავის დარდს ბათუმში მყოფ ს. მესხს („ახლად შემოერთე-

ბული ქართველები“). იმხანად კიდევ ერთი საფრთხე განჩნდა: „ოსმალოს საქართველში“ აჭარლების აყრის შედეგად უცხოტომელები დაიძრნენ ბათუმსა და ქობულეთში მიტოვებული სახლებისა და დაცარიელებული მიწების მუქთად ხელში ჩასაგდებად, რაც განგაშის საფუძველად მიიჩნია ს. მესხმა. მისი გულისტკივილით სავსე პუბლიცისტური სიტყვა გამიზნული, საფუძელიანი, ქვეყნის მომავალზე დამაფიქრებელია. ს. მესხი წერდა: „ჩვენ ვიცით, ამ უამად ბათუმში ერთი სომეხიც არ მოიპოვება, რომელსაც ხეირიანი ვაჭრობა პქონოდეს, შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში – ქერჩში, სევასტოპოლში, ფეოდოსიაში და თითქმის ოდესაშიაც ბლომად არიან მეგრელები, ზოგნი ვაჭრობენ, ზოგნი ისე მუშაობენ. ერთის სიტყვით, „საქმეები აქვთ“. მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ მეგრელ ხალხს თითქმის ყველა ის თვისება აქვს, რაც საზოგადოთ ვაჭრობისათვის საჭიროა, ე. ი. ანგარიშის ცოდნა... მოხერხება, ფულის შენახვა, დაფასება და სხვა, და ამის გარდა კიდევ ერთი ისეთი ხასიათი, რომელიც ჩვენებურს ვაჭრობაში იშვიათად მოიპოვება: გამბედაობა ვაჭრობაში“ („ბათუმის მიწები“). ამიტომ, ს. მესხის აზრით, მიტოვებული მიწები და სახლები თუ გაიყიდება, ადგილობრივმა მთაერობამ ისინი უნდა მეგრელებსა და გურულებს მიჰყიდოს „შემსუბუქებული პირობებით“, მაგრამ დედა-სამშობლოს საღმრთო ვალია, შეაძლებინოს ბათუმისა და ქობულეთის მცხოვრებლებს ოდით მიწა-წყალზე დარჩენა, მამა-პაპათა საცხოვრისის და მშობლიური გარემოს არ დათმობა, „ოსმალოს მხარეში არ გადასახლება“ – ეს მუდარა გაისმის ს. მესხის პუბლიკაციებში. ამასთან რედაქტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ ეინ დაინიშნებოდა ადგილობრივ მმართველებად. თუ „ოსმალოს საქართველოში“ მოხელეებად დაინიშნებიან ისეთი პირები, რომელთაც კარგად ეცოდინებათ „ადგილობრივი მდგომარეობა, ხალხის ზნე, ხასიათი, ენა, ჩვეულება და სხვა“ („ბათუმის შექენაზედ“), მაშინ ძლივს ნაპოვნი და შემოერთებული ძმები, ისევ დასაკარგი არ გაგვიხდებაო, – იმედს გამოთქვამდა ს. მესხი.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავ აჭარიდან ჩამოსული პირველი დეპუტაციის წევრებთან – შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან და უფ. მიხეილ მეფისოვთან შეხვედრის რეპორტაჟს, რომელიც 1878 წლის 19 ივნისს თბილისში, „დროების“ გამომცემელ სტ. მელიქიშვილის ოჯახში შედგა. ს. მესხი დაწერილებით აღწერს ამ

ორი დარბაისელი პიროვნების გარეგნობას, ტკბილ ქართულ საუბარს, აჭარის მკვიდრთა მომავალზე მათ გულშემატკივრულ ფიქრს: „განათლებლი ეკირეება, ბატონო, იმათ (აჭარლებს – დწ.). ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე აბდღურად დატოვეთ?!“ („ერთი სადილი შერიფ-ბეგთან“).

აგრეთვე ფრიად საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით თბილისში, მუხრანსკის სასახლის დიდ დარბაზში გამართული სადილის ანგარიში; ამ თავეყრილობას ესწრებოდა აჭარიდან მოწვეული 16-კაციანი დეპუტაცია და დედაქალაქის საზოგადოების 90 წარჩინებული წარმომადგენელი, ეინც გამორჩეული იყო „ტკუით, შთამომავლობით და ჩინებით“ („სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისთვის“). წვეულება 1878 წლის 20 ნოემბერს გაიმართა. ეს დღე „დროებაში“ ისტორიულ დღედ გამოაცხადა: „ჩვენ ვიპოვნეთ ჩვენი დაკარგული ძმები, ჩვენ ახლად შევიძინეთ ჩვენი თანამემამულენი, რომელნიც შავ ბედის ბრუნვისაგან თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში გეყავდნენ მოშორებულნი, გაცალკავებულნი. ჩვენ ისინი შევიძინეთ. მათ ჩვენ შეგვიძინეს. ამ დღეს საქართველოს შეიღწი დაწაწილებულ საქართველოს შეერთებას ვდღესასწაულობდით“ („სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის“).

დაწაწილებული საქართველოს შეერთება, გამთელება, ერთ სხეულად გადაქცევა – ს. მესხის საუკუნეწამომდგარი ფიქრი ფიქრთაგანი, სიზმრადქცეული ოცნება გახლდათ! კითხულობ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ს. მესხის პუბლიცისტურ ნააზრევს და გიხარია შენი სახელოვანი წინაპრის შორსმჭვრეტელობა, გამჭრიახობა, საქართველოს ყველა კუთხის შეერთების, ერთენული პასუხისმგებლობის განჭვრეტის ნიჭი.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,  
2000 წ. 20 აპრილი.



## ნიკო ნიკოლაძის ბახსენება

ნიკო ნიკოლაძე იმ გამორჩეულ ქართველ მოღვაწეთა შორისაა, ვისი სახელიც შთამომავლობის უკედავ ხსოვნაში მუდმივად იარსებებს. იგი არაორდინალური მოვლენა და დროსგასწრებული მოაზროვნეა, ვისაც აზრისა და საქმის გოლიათობა ხვდა წილად.

ნიკო ნიკოლაძემ სამ ეპოქაში იცხოვრა: დაიბადა ბატონყმობის დროს (1843 წლის 27 სექტემბერს). იღვაწა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და დამკვიდრების ხანაში, შეესწრო მეოცე საუკუნის სამ რევოლუციას, აქტიურად მონაწილეობდა პირველი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს შენებაში (1918-21 წ.წ.) და 85 წლისა მიიცვალა სოციალისტური საქართველოს სინამდვილეში (1928 წ. 1 აპრილი).

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური ნაწერებიდან უკიდევანო აზრი მოედინება. გიკვირს, როგორ მოახერხა ამ პრაქტიკოსმა ერუდიტმა ახალი ცხოვრების მხარის გასწორება, მისი წინ გასწრება მაშინ, როდესაც საქართველოში ბევრი თელემდა და მამაკაპური ძილით თავს იწონებდა კიდევ. რუსეთსა და საზღვარგარეთ მიღებული განათლებით, დიდი ნიკო (როგორც მას თანამედროვენი უწოდებდნენ) თვითონ ქმნიდა დროს, მას მთქნარებით, ნება-ნება საუბარი არ შეეძლო, მისი პუბლიცისტური სიტყვა ცეცხლოვანი, მიზანსწრაფული, ფაქტებდაყურსული იყო, პოლემიკა – ლოგიკაზე დაფუძნებული, უტყუარი, ჟრუანტელის მომგვრელი. ნიკო ნიკოლაძეს არასდროს აურჩევია მეოცნების როლი, თუმც ურთულეს საქმეებს შესჭიდებია, მისი პუბლიცისტური სიტყვა ორლესულია, რომლითაც ძირკეავს მავნესა და საზიანოს, ან ხელს უწყობს ახლის დამკვიდრებას. ამიტომაც ვახტანგ კოტეტიშვილს იგი ახალი ქართული მწერლობის მესაძირკელედ და რეფორმატორად მიაჩნდა, ხოლო გერონტი ქიქოძე უღმობედ და უდოგმატო საქმის კაცად მოიაზრებდა.

ნიკო ნიკოლაძის ნააზრევის ბევრ პარამეტრს დღევანდელობასთან ისეთი მემკვიდრეობითობა აკავშირებს, რომ გიკვირს, ნუთუ, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ იწერებოდა ის სტრიქონები, რომელთა მოხმობით დღევანდელ მკითხველს ნიკო ნიკოლაძის თვალსაწიერს შევახსენებთ.

„ერთ აზროვანს ერთ ბანაკად მდგომს ერს რა არ გაუეიდოდა? ჩვენ კი ამ პსიხოლოგიურ ხანაში ერთმანეთს შევესიეთ და შევაკედით, ერთმანეთი გაეაბათილეთ, ეურადღებას ვინდა მოვვაქცევდა? მტერ-მეზობელი ყველა იმას ლოცულობდა – „წაშკიდეულო წაქიდე, ორივეს თავი წააწყვიტო!“ მტრის გულისა გავხდით მიტომ, რომ თავის დროზე ურთიერთობა ვერ მოვაწესრიგეთ“, – წერდა ნიკო ნიკოლაძე 1913 წელს პოლემიკის საფუძველზე შექმნილ ბროშურაში „ჩემ პოლიტიკაზე“.

მამულის სიყვარულსა და მსახურებას ასწავლიდა დიდი ნიკო თანამედროვეთ. სამშობლოს სიყვარული იგივეა, რაც თავდაცვის ინსტიქტიო, – ირწმუნებოდა, – „ის დამახასიათებელია ყოველი ცოცხალი ორგანიზმისთვის ისევე, როგორც სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, შიმშილი, ძილი და სხვა. ნაციონალიზმის (მამულის სიყვარულის – დ.წ.) აღმოფხვრა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია წაეშალოთ ფერი თმისა, თვალებისა, კანისა და ა.შ.“.

ეროვნული ენერგიისადმი რწმენის აღდგენა და ეროვნული თვითშეგნებით მომავლის მსახურება არის ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტის პათოსის არსი. „ქვეყნის პოლიტიკას ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჯედს, – წერდა დიდი ნიკო, – პოლიტიკა ახალი მოდური შლიაჰკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება“. ამიტომაც ეროვნული თავისუფლება ძნელად მისაწვდომი და უფრო ძნელად შესანარჩუნებელი ფუფუნებაა, მისკენ ყველა ქვეყანა ისწრაფვის დიდი თუ პატარა, მაგრამ ეროვნული თავისუფლება ეკონომიკური აღორძინებით მიიღწევა, ეროვნული მრევ-ველობა, წიაღისეულის დამუშავება, ეროვნული კრედიტისა და საბანკო საქმის დანერგვა, ეროვნული ვაჭრობა-აღებშიცემობის განვითარება, ეროვნული კადრების დაფორტიანება, ეროვნული სოფლის მეურნეობის აყვავება, – ეროვნული ეკონომიკის შექმნა არის ეროვნული დამოუკიდებლობის საფუძველი, ირწმუნებოდა: „ერი, რომლის წარმოება შეყუერხდა და სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით ხეირიანად ვეღარ აჯილდოებს მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული, იმან თუ სწრაფად ვერ მოახერხა თავისი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვევიანება, მისი საქმე წასული და დაღუპულია“.

ანგარიშგასაწვევია ნიკო ნიკოლაძის ერთი გაფრთხილებაც: „ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაფლაოზე, სადაც ამასწინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს... დიდი სამეფოების მკედელ პაწია ერს განა ეს უშველის?“

უნდა გავიხსენოთ ნიკო ნიკოლაძის წინასწარმეტყველური შეგონება: „ოცი წელი არ გაივლის (ვაპატიოთ „წლების აღრევა“ – დ.ჩ.) ისე, რომ ჩვენი ქვეყანა ან ჩვენი მამულის ახლომახლო მდებარე ქვეყნები მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა... მაშინ რუსეთისთვის საჭირო და დასაფასებელი იქნება ჩვენი ხალხის დახმარება... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზა-მზარეული დახედება ამ ბრძოლის პირველ ყიჟინას, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინა“.

ნიკო ნიკოლაძისთვის განათლება ის ბერკეტია, რომელმაც უნდა შემოაბრუნოს საქართველოს მომავალი. კლასიკურთან ერთად რეალურ განათლებაშია ქვეყნის ხსნა, რომ ეროვნული განსწავლული თაობა ემსახუროს ცხოვრების ახალ ფერხულში ჩაბმულ მამულს. მისი ღრმა რწმენით, საზოგადოება აყად თუ კარგად, ზრდის ვაჭარს, ტექნიკოსს, ვეტერინარს, პედაგოგს, ინჟინერს, ექიმს, მაგრამ არ ზრდის სამშობლოს სიყვარულით გაუღენთილ მოქალაქეს: „ჩვენ ყველამ მივიღეთ კლასიკური, რეალური, ტექნიკური და სასულიერო განათლება, მაგრამ რომელმა ჩვენგანმა მიიღო სულ მცირედი პოლიტიკური ან სამოქალაქო აღზრდა? სად და ვინ გეასწავლა ჩვენ, რომ განუყოფელი შეილები ვართ ერთი და იგივე სამშობლოსი? რომელ ჩვენგანში ცდილობდნენ გამოემუშავებინათ ბავშვობიდანვე სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცურად დაცვა სახალხო საქმისა, სახელმწიფოსადმი ერთგული სამსახური, ერთი სიტყვით, რომელ ჩვენგანს ზრდიდნენ მოქალაქედ და არა ჩინოვნიკად? განა გასაკვირია, რომ ესლა ჩვენ მოქალაქეები გვჭირდება, სანთლით ვერ მოგვიძებნია საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგული და თავდადებული მსახური. მოვიმკათ, რაც დაგეთესეთ?“.

ამრიგად, მოქალაქედ უნდა დაბადებიდანვე აღიზარდოს პიროვნება!

ეს თემა დღეს უპირატესად გასათვალისწინებელია, რადგან მოქალაქე-მამულიშვილის დეფიციტი დღეს მეტად საგრძნობია!

კიდევ ერთი სენი საზოგადოებისა, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა: – უსინდისობა, „რომლითაც ჩვენში ყველა კიდებს ხელს სრულიად უცნობ საქმეს და კისრულობს სრულიად აუწონავ ტვირთს“. ეს არის ახალ კანში შეფერილად შემოსილი არაპროფესიონალიზმი, რომელიც საზოგადოებას აზიანებს მორალურად და მატერიალურად. ზნეობრივი ვნება მთელ თაობას ღუპავს, ათეულ წლობით გაჰყვება და ფსიქოლოგიურად ამუხრუჭებს თაობის წინსვლას, – გვასწავლის ეს დიდი მოაზროვნე.

ნიკო ნიკოლაძე ადგილობრივ თვითმმართველობასთან კალმით იბრძოდა, ამხელდა, განაქიქებდა, „ობზორის“ ორი პროცესის გამო სასამართლო, დაპატიმრება, ციხე და საქართველოდან გადასახლებაც „მოიმკო“. დრომ ტრადიციული ფსიქოლოგიის არმქონე ახალი მორალის ადამიანი წარმოშვა. დიდი ნიკო კალმით იბრძოდა, რომ ადამიანთა საზოგადოება ისეთ მანქანას არ დამსგავსებოდა, ვისაც უეიციები, ეგოისტები, გულგრილი კარიერისტები მართავდნენ, ვინც ხელყოფდა პიროვნებას, ებრძოდა საღ აზრს, ბორკილს ადებდა ადამიანთა ტვინს და ბრძანებლობდა მძინარე საზოგადოებას. ნიკო ნიკოლაძე განმარტავდა, რომ არ შეიძლება იყო შემწყნარებელი და კონსერვატორი სახელში, ხოლო რევოლუციონერი – ზღურბლს გარეთ, საგარეო რეფორმატორობა და საშინაო კონსერვატორობა დამლუპველია საზოგადოებისთვისო. მას მტკიცედ სწამდა, რომ როცა საზოგადოება ჯერ კიდევ არ გამაგრებულია ისე, რომ ჭეშმარიტ მართლმსაჯულებაში ერკვეოდეს, საზოგადოების სინდისის სასამართლომ საზღვარი უნდა დაუდოს ეგოისტების მავნე მადას.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ნიკო ნიკოლაძე ყველგან და ყოველთვის საქართველოს მსახური და „მისი ერთგული, ანგარიშიანი მწყემსი“ გახლდათ. მისი მემკვიდრეობა მომავლის მკვლევარს ელის, რადგან მის მიერ ქართულ, რუსულ, ფრანგულ ენებზე შექმნილი დიდძალი ლიტერატურა თანამედროვეობით სუნთქავს.

„დილის გაზეთი“, 10 ოქტომბერი, 2001 წ.

## ალექსანდრე ნანეიშვილის პუბლიცისტის ერთი ასაქმტი

მე-19 საუკუნის 80-იანი წლები განსაკუთრებული სიმკაცრითა და რეპრესიებით გამოირჩეოდა საქართველოში. ქვეყანა ხსნას ელოდა, სოციალ-პოლიტიკური ვითარება კი კრიზისულიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდა. იმპერიის მპყრობელნი და ხელქვეითნი სხვადასხვა სატკივრით ცხოვრობდნენ... საერთო იყო ის, რომ თვითმპყრობელობას არ შეეძლო ძველებური სამართავი აპარატითა და წესებით „ლაღად“ ებატონა, დამორჩილებულ უმრავლესობას კი – თვინიერი ქედმოდრეკითა და პირუტყვის ერთგულებით ხმაამოუღებლად ეცხოვრა... თავისუფლებისათვის მებრძოლნი მავნე მეფის „მოსხეპით“ ხალხის გათავისუფლებას ვარაუდობდნენ, ამიტომაც რამდენიმეგზის თავს დაესხნენ საძულველ მონარქს, რამაც ბოლოს და ბოლოს სიცოცხლეს გამოასალმა ალექსანდრე მეორე – „მეფე-პატრონი“ რუსეთისა, რომლის სიკედილით დასჯამ განუზომლად გაზარდა რეპრესიები და შურისძიების ნაირგეარი ფორმები მთელ იმპერიაში. საქართველოში, – რუსეთის იმპერიის ამ განაპირა მხარეში, – რეპრესიები განსაკუთრებით მწვავე შეიქნა: მეფისნაცვლობა ისევე მთავარმმართველობამ შეცვალა, იდეენებოდა ყოველივე პროგრესული და განვითარებადი. ქართული თავისუფალი აზრის დათრგუნვამ არნახულ სიმკაცრეს მიაღწია. არადა, ქართველ მაულიშვილებს მხოლოდ პუბლიცისტური სიტყვით შეეძლოთ სულისშემხუთავი მოვლენებისადმი საკუთრი დამოკიდებულების გამჟღავნება და პროგრესული საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო უკეთესი მერმისის დამკვიდრებისათვის. ჩვენი ერის გამორჩეულ მამულიშვილებს ზემოქმედების გაძლიერების ნაცად საშუალებად კვლავ პუბლიცისტური სიტყვა მიაჩნდათ, რომლის ფეთქებად ძალას ყუმბარის მნიშვნელობას ანიჭებდნენ და პუბლიცისტური სიტყვით პროგრესული იდეების დანერგვას ცდილობდნენ.

ერთ-ერთი საჩინო მოღვაწე პრესის ამ რთული მისიის აღსრულების უამს XIX საუკუნის 80-იან წლებში გახლდათ სამამულო

ეურნალისტიკის ისტორიაში ნაკლებად ცნობილი ალექსანდრე ნანეიშვილი (1857-1904 წწ.), რომელიც „ღროების“ მუდმივი თანამშრომელი და დაუღალავი პუბლიცისტი იყო.

ცოცხალი მისი ნაკლებად ცნობილი ბიოგრაფიიდან.

ალექსანდრე თეუმურაზის ძე ნანეიშვილი 1857 წელს დაბადებულა ქუთაისის გუბერნიის სოფელ ორპირში. საშუალო განათლება ქუთაისის გიმნაზიაში მიუღია, სადაც საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში გაუგრძელებია, რომელიც ხელმოკლეობის გამო ვერ დაუსრულებია და სამშობლოში 1880 წლის მეორე ნახევარში დაბრუნებულა. „წერა-კითხვის გამაერცვლებელი საზოგადოების“ ინიციატივით და თვით იღია ჭავჭავაძის რეკომენდაციით ახალგაზრდა, ენერგიით, კეთილსინდისიერებით, ცოდნითა და დიდი ტაქტით გამორჩეული ალექსანდრე ნანეიშვილი ბათუმს იგზავნება იმ პირველი ქართული სკოლის გასამართავად, რომელიც „ოსმალის საქართველოს“ შემოერთების (1878 წ.) შემდეგ აჭარაში უნდა გახსნილიყო. ეს გამოუცდელი ახალგაზრდის დიდ ნიჭსა და უნარზე მიგვახიშნებს, რომელმაც უხმაუროდ, ერთგულებითა და გონიერებით დიდი საქმის მოთავეობა გასწია. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, რომლის გამგე-მასწავლებელი - ალექსანდრე ნანეიშვილი - 24 წლისა გახლდათ. ეს იყო პირველი ქართული სასწავლებელი „ოსმალის საქართველოში“, რომლის გახსნაზე ოცნებობდნენ აჭარაში მცხოვრები პროგრესული მამულიშვილები. აღ. ნანეიშვილი ამ ახალგახსნილ საგანმანათლებლო კერაში ასწავლიდა ქართულ ენას, არითმეტიკას, საღეთო რჯულს, სუფთა წერას. შემონახულია მიმოწერა ალექსანდრე ნანეიშვილისა „წერა-კითხვის გამაერცვლებელი საზოგადოების“ გამგეობასთან, რომლითაც ირკვევა, თუ რა წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა მას ქართული სკოლის გამართვის უამს. ამ სკოლის გახსნის დაგვიანების მიზეზთა შორის აღსანიშნავია დიდი უთანხმოება ბათუმის სამხედრო გუბერნატორ კომაროვთან, რომელიც ბათუმის სკოლის პროგრამას არ ამტკიცებდა, რადგანაც მასში პირველი კლასიდანვე სწავლა ქართულ ენაზე იყო გათვალისწინებული, ხოლო რუსული ენის სწავლება პირველივე წელს არ იყო განზრახული. „უპრო-

გრამოდ რომ დამეწყო, კომაროვი იმდენად უგზურია, რომ სკოლას უსათუოდ დამიხურავდა“, – წერდა მოგვიანებით ალ. ნანეიშვილი. სკოლა ამ ჯიუტი და მიზანსწრაფული ახალგაზრდის დიდი ენერჯის წყალობით მაინც გაიხსნა, გახსნას ილია ჭავჭავაძე დაესწრო. ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნით ქართული ცნობიერების დამკვიდრებისათვის ბრძოლა დაიწყო...

ალექსანდრე ნანეიშვილი 1882 წლის 15 ივლისამდე უძღვებოდა ახალგახსნილ ქართულ სკოლას. მოგვიანებით, გრიგოლ ყიფშიძე გაზეთ „ივერიაში“ ალ. ნანეიშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო დაწერილ ნეკროლოგში იუწყებოდა: „შემოერთებულ ჩვენთა ძმათა შორის საჭირო იყო დატრიალებულიყო დინჯი, მშვიდობიანი, აუჩქარებელი და გონიერი ყმაწვილკაცი და ასეთ კაცად საზოგადოების გამგეობამ ალექსანდრე ნანეიშვილი დაასახელა, შესამჩნევი და ღირსეული კაცი, რომელიც მაშინვე იღებდა მონაწილეობას მწერლობაში – იგი იყო ყოვლად მაღალი სულისა და ყოვლად კეთილი კაცი. მის მაღალ ზნეობას ვერ შეპბილავდა თვით განხორციელება შურისა და ბოროტებისა. ალექსანდრე ნანეიშვილის უმწიკვლო და უზადო ცხოვრება და მოქალაქეობა მარტივია, ჩუმი, უეფექტო, მაგრამ აზრიანი, სასიკეთო, ღირსეული, მნიშვნელოვანი“.<sup>1</sup>

ბათუმის სკოლის დირექტორად ალ. ნანეიშვილი წელიწადნახევარი დარჩენილა, „დიდხანს არ დააყენესო“, – წერს გიგა ყიფშიძე, იგი თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობაში მოლარედ გადმოუყვანიათ, სადაც 1884 წლის ბოლომდე უმუშაოა, ვიდრე სხვა ქართველ ხალხოსნებთან ერთად ციმბირში, სემიპალატინსკში არ გადაასახლეს. გადასახლებიდან ალ. ნანეიშვილი 1887 წელს დაბრუნდა და ქუთაისის ბანკის დამფუძნებლად დაიწყო მუშაობა, სადაც ექვს წელზე მეტი დაჰყო, ხოლო შემდეგ ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს მდივნად აურჩევიათ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. ალექსანდრე ნანეიშვილი გარდაიცვალა მოულოდნელად დაბა სურამში, მძიმე სენით (ჭლექით) დაავადებული, დაკრძალეს ქუთაისის 1904 წლის 14 აგვისტოს. სილოვან ხენდაძე „ივერიაში“ წერდა: განსვენებული ალექსანდრე ყოველთვის მტკიცე ხასიათს იჩენდა, დაუღალავად, გულწრფელად იბრძოდა, უანგარობასა და მოუსყიდველობას ქადაგებდა, ალექსანდრე გულითა და სულით ქართველი კაცი იყო, სამშობლო ენისა და ლიტერატურის

პროგრესულათ წინსვლის მოტრფიალე და შექმნისდაგეარად ხელის შემწყობი. ის იყო უმაღლესად პატიოსანი ადამიანი, რომლის სიტყვა და საქმე ერთი იყო, რომელსაც თამამად შეგეძლოთ ყოველ საქმეში ნდობოდით“.<sup>2</sup>

ალექსანდრე ნანეიშვილი „დროებაში“ 1880-1884 წლებში თანამშრომლობდა. გაზეთის გამოცემის რთულ გზაზე ეს პერიოდი რამდენადმე გამორჩეულია იმ თავისებურებებით, რომ 1880 წელს ჟურნალი „ივერია“ ილიამ დახურვას გადაარჩინა გაზეთ „დროების“ რედაქციასთან მისი შეერთებით, რამაც ყოველდღიურ „დროებას“ ხელისმომწერები და ავტორიტეტი შესძინა, აღმანახად ქცეულ სამთვიურ „ივერიას“ კი არსებობა შეუნარჩუნა. ალ. ნანეიშვილის თანამშრომლობის დაწყება გაზეთში სწორედ 1880 წელს დაემთხვა. სტუდენტი ალ. ნანეიშვილი პეტერბურგიდან უგზავნის წერილებს „დროების“ რედაქციას. პირველი წერილია ა. ნა-ლის ხელმოწერით (ა. ნანეიშვილის ფსევდონიმია – დ.ჩ.). „დროების“ 1880 წლის 21 ივნისს ფელეტონის განყოფილებაში დაიბეჭდა სათაურით „წერილები პეტერბურგიდამ“ (წერილი პირველი), რომელმაც იმდროინდელი მკითხველის ყურადღება იმით მიიპყრო, რომ ავტორი რუსეთის ცხოვრების კარგი მცოდნე და პირუთენელი შემფასებელი ჩანდა – ახალბედა პუბლიცისტი რუსულ ცხოვრებაზე დაკვირვებული მსჯელობით ეროვნულ სათქმელს იყო შეჭიდებული. ამ პირველ წერილში ალ. ნანეიშვილმა გამოიყენა 1880 წლის 6 ივნისს მოსკოვში ა. პუშკინის ძეგლის გახსნის ფაქტი, რათა პოეტის მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე მკითხველთან დიალოგით 80-იანი წლების რუსული მწერლობის აეკარგზე ემსჯელა და იმდროინდელი მოაზროვნე ქართული საზოგადოება აუცილებელი იდგით დაემუხტა, რის გარეშეც ბნელეთით მოცულ აწმყოში მოგვიხდება ქანაობაო, – წერდა ახალგაზრდა პუბლიცისტი. პუშკინის ძეგლის კურთხევა მსკოვში თავი მოუყარა და ერთი საფიქრალით გააერთიანა პეტერბურგის და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლები, სხვადასხვა სამეცნიერო, ლიტერატურული და სასწავლო საზოგადოებათა წარმომადგენლები, სხვადასხვა ქალაქის თვითმმართველობის დეპუტატები, მრავალი კერძო პირი. მათ იმსჯელეს განვლილი თხუთმეტი წლის მანძილზე რუსული მწერლობისა და ჟურნალ-გაზეთების აეკარგზე, იმაზე, რომ „რუსულ ლიტე-



რატურას არა ჰყავს ნიჭიერი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი, მან დაქარგა უანგარობა, პატიოსნება, რწმენის სიმტკიცე... ლიტერატურის ამისთანა საზარელი მდგომარეობის მიზეზნი არიან უპირველესად თვით რუსეთის ცხოვრების წყობილება, მერე ცენზურა, რომელიც სდევნის თავისუფალს აზრს და მერე ის გარემოება, რომ ლიტერატურას დაეპატრონენ აფერისტები, რომელთათვის ლიტერატურას იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც — მედუქნისთვის დუქანს“.<sup>1</sup>

ასეთი თამამი მსჯელობა იმდროინდელ რუსულ სინამდვილეზე ა. ნანეიშილს გაბედული მოაზროვნის სახელს უმკვიდრებდა თანამემამულეთა შორის. მათ ირწმუნეს, რომ ახალგაზრდა პუბლიცისტმა საზოგადოებრივი სატკივართ მისძრა-მოსძრა მკითხველის გონება. აღ. ნანეიშილი განუმარტავდა მის თანამემამულეთ, რომ „პუშკინის უძეგლობა“ არ ყოფილა საზოგადოების გულგრილობის მიზეზი და ვერც მისი აგება გახდის ელიტას ყურადღებიანს, „უმთავრესი მნიშვნელობა პუშკინის დღესასწაულისა, — წერდა პუბლიცისტი, — ის არის, რომ ლიტერატურის წარმომადგენელთ ერთხელ მაინც შეინანეს თავისი ცოდვანი: მგელს, მელას, და კროკოდილს ერთხელ მაინც წარმოედინათ ცრემლი, ერთხელ მაინც გვესმა მათი გულის ცემა და ტირილი... პუშკინის ძეგლი ლოდათ უნდა დააწვეს გულზე იმას, ვინც მას სდევნიდა და ვინც ეხლა სდევნის მამულისა და ლიტერატურის საუკეთესო მსახურთ“. მოსკოვში პუშკინის ძეგლის გახსნის დიდ სიკეთეს ა. ნანეიშილი იმაშიც ხედავდა, რომ ამ დღეს დაიწყო შემოწირულობანი ნ. გოგოლის ძეგლის ასაგებად. ასე რომ, „დროების“ რედაქციამ საიმედო კორესპონდენტი შეიძინა რუსეთის მიწაზე, მაგრამ იმავე წელს აღ. ნანეიშილი სამშობლოში დაბრუნდა და „დროების“ აქტიური კორესპონდენტი გახდა.

აღ. ნანეიშილის პუბლიცისტიკის შესწავლისას საინტერესოა მისი თვალსაზრისი პრესის დანიშნულებაზე, ჟურნალისა და გაზეთის როლზე, როგორც საზოგადოებრივი აზრის წარმმართველ შეუცვლელ ერთადერთ ძალაზე.

„ჩვენში მეტად სანატრელია რიგიანი ჟურნალ-გაზეთების რიცხვების გამრავლება, რადგან მწერლობა, (იგულისხმება ჟურნალისტიკა — დ.ჩ.) ერთად-ერთი საზოგადოებრივი ძალაა, რომლის საშუალებითაც შეიძლება ცოტათი მაინც გამოითქვას

და გამოიხატოს საზოგადოებრივი აზრი და გრძნობა, რაკი სხვა იარაღი არა გვაქვს ხელში, უნდა ვეცადოთ ეს ერთადერთი ძალა წარმატებით მოვიხმაროთ მოთხოვნილების და შესაძლებლობისამებრ“.<sup>5</sup>

ალ. ნანეიშვილის აზრით, პრესამ განკლდილი ოცი წლის მანძილზე მკითხველთან ყოველდღიური ურთიერთობით ზემოქმედების სასურველ შედეგს მიაღწია: „ოც წელიწადზე მეტია, რაც ჩვენი მწერლობა (პრესა – დ.ჩ.) იღვწის და მეომრობს, ბევრი მშრომელთაგანი განზე გაუდგა მას, ბევრი მოაკლდნენ და დაეიწყებას მიეცნენ, ცოტა შერჩნენ, მაგრამ მწერლობას (პრესას – დ.ჩ.) ჯერ თავი მაინც არ მოუდრეკია და სასოწარკვეთილებას არ მისცემია... ჩვენი მწერლობის (პრესის – დ.ჩ.) განვითარება ნიშნავს ჩვენი გონებითი ძალის გამაგრებას და განმტკიცებას“.<sup>6</sup> ამრიგად, ალ. ნანეიშვილი პრესას იმ დიდ საზოგადოებრივ ძალად თვლის, რომელსაც ქვეყნის გარდაქმნაში შეუცვლელი ადგილი უჭირავს, ხოლო ინტელიგენციის აღზრდაში პრესის როლი განუზომელია, რადგანაც არაფერი შეედრება ჟურნალ-გაზეთების პერმანენტული ზემოქმედების უნარსო, – ირწმუნება პუბლიცისტი.

ალ. ნანეიშვილის ღრმა რწმენით, 80-იანი წლებისათვის „ღროგამოშვებითი მწერლობის (პრესის – დ.ჩ.) წარმატება უცილო ფაქტი იყო“, რაც ქართული ინტელიგენციის აღზრდის გზადაც იქცა, მიუხედავად ამ ინტელიგენციის ნიჭის, მიმართულების და შინაგანი კეთილსინდისიერებისა: „ჩვენ ვეხებით მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების განმრავლებას და საკუთრივ მწიგნობრობაზე (ლიტერატურაზე – დ.ჩ.) არარას ვიტყვით, რადგანაც ვიცი, ღრო და ვითარების გამო უმეტეს ნაწილად ისეთ გეამთა უპყრიათ ხელთ, რომელთა სინდისი ადლობით და აბაზობით უნდა იზომებოდეს. ჟურნალ-გაზეთობა კი ამგვარ პირობებში ჯერჯერობით არ ჩამდგარა და ამისათვის მისი განმრავლებაც სანატრელი საქმეა“.<sup>7</sup>

ალ. ნანეიშვილი ირწმუნება, რომ პრესა, საქართველოს გარდა, ყველგან დიდ პატივშია. ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი – მოგებასა და ფუფუნებაში ცხოვრობენ, ჩვენში კი – „ეგ გარემოება ყოველად შეუძლებელია, და ჟურნალ-გაზეთობა რაც უნდა გავრცელებული იყოს, ის არამც თუ არ მიანიჭებს თავის მოღვაწეს შესაფერ პატივსა და სიმდიდრეს, არამედ ხშირად

მიყენებს მას უსიამოვნებას და ჩააგდებს სილატაკეში. ძალიან განთქმული და ნიჭიერი უნდა იყო, რომ მცირედი პატივი დაიმსახურო და რაც შეეხება ნივთიერი შეძლების მოპოვებას, ეს ხომ ყოველად შეუძლებელია, ამ შემთხვევაში თქვენ ვერ გიშველის თვით გენიოსობაც“.

ქართულ ენაზე გამომავალი ჟურნალ-გაზეთებიდან რომელიმეს შეწყვეტა უდიდესი დანაკლისი იყო საზოგადოების თვალსაწიერის სრულქმნის გზაზე, ამიტომ დიდი სინანულით აუწყა ალ. ნანეიშვილმა მკითხველს ქუთაისში გამომავალ გაზეთ „შრომის“ შეწყვეტა: „დღეს გულწრფელად ვაღიარებთ, რომ სწორედ სამწუხარო და დასაკლისია ჩვენის მისუსტებული მწერლობის და საზოგადოებისათვის ამ გაზეთის შექმრება, რადგანაც მწერლობას უქრება ერთი ღამეპარი და საზოგადოებას ორგანო, რომლის საშუალებითაც შეუძლიან მას თავისი მოთხოვნები, აზრთა და გრძნობათა მცირედი ნაწილი საქვეყნოდ აღიაროს“? დიდი სინანულის მიზეზი გულწრფელად და მარტივად არის გაცხადებული, რაც ალ. ნანეიშვილის პუბლიცისტური სტილით აიხსნება. რომ არა ცენზურა, ალ. ნანეიშვილის ღრმა რწმენით, „შრომა“ იარსებებდა, რადგან „ქუთაისი და საზოგადოდ იმერეთი ისეთი ნიადაგია, რომელზედაც იზრდება ჟურნალ-გაზეთობა, რადგანაც სწავლა-განათლების და წერა-კითხვის შეთვისების სურვილი მეტად გავრცელებულია სხვა და სხვა მიზეზების გამო, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში“.<sup>10</sup>

თუ ცხოვრების ვიწრო კალაპოტში მოქცეული პრესის ორგანოს დახურვა სამართლიან გულისტკივილს იწვევს ალ. ნანეიშვილში, პრესის ახალი ორგანოს დაბადება განუზომელ სიხარულს ანიჭებს ამ ნიჭიერ კალმოსანს. 1883 წელს ქუთაისში სასულიერო გაზეთ „მწყემსის“ პირველი ნომერი გამოიცა მრავალმხრივ ნიჭიერი მამულიშვილის, ბლალოჩინ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით. ალექსანდრე ნანეიშვილი გზას ულოცავს ამ გაზეთს, როგორც საჭირო და სასარგებლო გამოცემას: „ქუთაისში გამოიცა სასულიერო გაზეთი, რომელიც, რასაკვირველია, თავის სპეციალური დანიშნულების გამო ვერ იზამს „შრომის“ მაგიერობას, მაგრამ მისი მნიშვნელობა და საჭიროება მეტად ცხადია, მეტად ჩვენის სასულიერო წოდებისათვის, რომელიც ფრიად საჭიროებს გონებისთვის მარგებელს საზრდოსა“.<sup>11</sup> ალ. ნანეიშვილი მომავალ გაზეთს სამღვდელოების გონებ-

რივი და ზნეობრივი ამაღლების საშუალებად რაცხს, იმ სამღვდელ-  
ლოებისა, რომელიც ერთ დროს ფრიად განათლებული იყო და  
დიდი გავლენა ქქონდა ხალხზე, „უკანასკნელ ხანს კი – განუშე-  
ბულია და თავის სამწყისოს ზოგიერთ ალაგას ბევრად უკან  
ნამორჩენილა“. ამიტომ ახლად დაარსებულ სასულირო ორგანოს  
პედაგოგიური ხასიათიც უნდა ქქონდესო, რათა ისწავლოს და  
ასწავლოს სასულიერო პირთ. პუბლიცისტი იმედს გამოთქვამს,  
რომ „მწყემსის“ რედაქცია არ დაემსგავსება ზოგიერთ ჟურნალ-  
გაზეთს და „არ გაილაშქრებს ხორციელი განათლებისა და  
სწავლა-მეცნიერების წინააღმდეგ და იკისრებს მხოლოდ სასუ-  
ლიერო წოდების გონებრივს და ზნეობრივს წარმატებისათვის  
სამსახურს, მის ჭეშმარიტ მოთხოვნილებათა ასრულებას და  
მდგომარეობის გამოკვლევას“.12 ამიტომ პუბლიცისტი სიხარუ-  
ლით აუწყებს „დროების“ მკითხველს, რომ გარდა საღმრთო  
საკითხებისა, გაზეთი ყურადღებას დაუთმობს „დროის ხასიათს  
და მის მოთხოვნილებებს“.

აღ. ნანეიშვილმა კარგად იცის, რომ ქართული გაზეთის  
კორესპონდენტობა საპატიოა, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო  
და დაუფასებელი შრომაც არის, განსაკუთრებით პერიფერიებში,  
სადაც ხალხი გაუნათლებელი და ბნელია, სადაც ადგილობრივი  
ინფორმატორის ყოველი სიტყვა მტკივნეულად, ხშირად უგულის-  
ყუროდ, გაუგებრად აღიქმება. აღ. ნანეიშვილი კონკრეტულ  
ფაქტად იყენებს საჩხერიდან „დროებაში“ დაბეჭდილ კორესპონ-  
დენციას, რომლის ავტორმაც ამხილა პრისტაევი – თავადი ჩხვიძე,  
ხოლო თავისი ვინაობა დამალა. პროვინციული ავტორები ხშირად  
ანონიმურად წერდნენ, რადგანაც „ეაი-კორესპონდენტად“ ნათლად  
დნენ მათ ადგილებზე და გულმოდგინედ დევნიდნენ, მით უფრო,  
როცა მიყურებული კუთხის ამბებზე წერდნენ: „კორესპონდენტს  
არა აქვს არავითარი საშუალება თავისი პიროვნების და ნაწერის  
დასაცავად, გარდა გაზეთის შემწეობისა და საკუთარი რწმენი-  
სათვის სიმართლისა. ამგვარ შემთხვევაში გაკიცხულთ მოქმედე-  
ბა ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა. საზოგადოდ  
მათ შველის წყვილია, რომელიც მათთვის შეადგენს საიმედო  
ფარ-ხმალს, და დრო-გამოშვებითი მწერლობის (პრესის – დ.წ.)  
შევიწროებულ მდგომარეობას“.13 პუბლიცისტის გულისტკივილი  
მართალი სიტყვის გამო კარგად არის გამჟღავნებული, თანაც  
ჟონავს ანონიმი კორესპონდენტის გაბედულებისაკენ მოწოდება.

„დროების“ მხილებაში საკუთარი თავი ამოიცნო პრისტავმა ბ. ჩხეიძემ, აღნიშნავს ალ. ნანეიშვილი, — რომელმაც არც სასამართლოში იჩივლა, არც გაზეთს მიმართა, არც არაფერი გაარკვია ისე კორესპონდენტი იურკევიჩი ჯერ თვითონ სცემა, შემდეგ სალდათებს დააბეგვინა, გონებაშიხდილი „დამნაშავე“ სახლამდე ქუნა-ქუნა წვერებით ათრიეს და ტანსაცმელი შემოახიეს. ბუნებრივია, დაზარალებულმა იურკევიჩმა განიზრახა თავისი ღირსების დაცვა, მან საჩხერეში სამართალი ვერ ჰპოვა, მიმართა მთავრობას და გაზეთებს, „მთავრობამ მოახდინა მსუბუქი ადგილობრივი გამოძიება, მაგრამ საქმე შეჩერდა, რადაც მანქანებით ამ საქმეს ზეწარი გარდაეფარა. გაზეთებმა გეაცნობა ჩხეიძის მხეცური მოქმედება, მხოლოდ ქართული გაზეთებიდან ჩხეიძის „გმირობის“ ამბავი გარდაბეჭდეს რუსულს გაზეთებში და საქმე ამით გათავდა.“<sup>14</sup> ამ მსჯელობით პუბლიცისტმა ნათელი გახადა, თუ რა დონის პრისტავეები ამყარებენ წესრიგს პერიფერიაში.

საჩხერის საზოგადოება გულგრილი აღმოჩნდა კორესპონდენტის ბედისადმი, მთელმა სოფელმა ხმა გაიკმინდა, არავინ შეიქნა დაზარალებულის დამცველი, ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ საჩხერეში განათლებული ხალხი ცხოვრობს, მაგრამ გულთან როდი მიიტანეს „ერთი ვიღაც კორესპონდენტის შეურაცხყოფა“. უსამართლოდ დასჯილი ადამიანის დასაცავად „დროება“ და „შრომა“ ალაპარაკდა მხოლოდ, — აღნიშნავს ალ. ნანეიშვილი, — ეხლა, იმედია, ჩკითხველი წარმოიხდგენს, — ფარული სიამაყით წერს ალ. ნანეიშვილი, — „თუ რა ძნელია კორესპონდენტის მდგომარეობა პროვინციაში და რა პატივსა სცემენ ჩვენში ნაბეჭდს სიტყვას, ისიც წარმოსადგენია, თუ რა გონების და ზნეობის პარტონია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი“.<sup>15</sup> სათქმელი ნათელია, — კორესპონდენტის რთული ცხოვრება „სიმართლის მსახურებით“ უფრო დამძიმებულია, მაგრამ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე არის პუბლიცისტის მსახურების ქვაკუთხედი.

კორესპონდენტის მიმართ საზოგადოების გულგრილობა და სოფელ ჩხარში სასოფლო სკოლის გადაწვის ფაქტი ურთიერთკავშირშიაო, — წერს ალ. ნანეიშვილი. შემადრწუნებლად მიაჩნდა პუბლიცისტს სასწავლო შენობის ხელყოფა სოფლელებისგან, „რამ აიძულა სოფლელები სკოლის გარდაწვისათვის? ნუთუ

მათ არ ესმით წერა-კითხვის სარგებლობა და არა სურთ თავიანთი შეილება გამოხრდა? არა, ყოველივე ეს შეუძლებელია, რადგანაც ჩვენს ხალხს საზოგადოთ საკმარისი სურვილი აქვს სწავლისა, მაგრამ სკოლის გარდაწვა მაინც შესაძლებელი შეიქმნა.“<sup>6</sup> მიზეზი? – საზოგადოების გულგრილობა და უდარდელობა.

აღ. ნანეიშვილი ჟურნალ-გაზეთების გამოცემას ბრძოლის ველს ადარებს, რომელზედაც მუდმივად იღვრება სისხლი და ცრემლი, რაც აპოხიერებს იმ ნიადაგს, სამომავლოდ უკეთეს მოაზროვნეს რომ ზრდის: „თქვენ გეხატებათ ფართო ბრძოლის ველი, რომელზედაც შეუფერებელი და გამწარებული ბრძოლაა, რომელზედაც იღვრება შავი მელანი კი არა, არამედ სისხლი და მწარე ცრემლი... მწერლობის (პრესის – დ.ჩ.) წამებულთა სისხლი და ცრემლი ერთობ ანოყიერებს მწერლობის (პრესის) ნიადაგს და უთხრის მის გამქედავს სამარეს. ეს ნიადაგი კი აღმოაცენებს კიდევ უფრო შეუპოვარ მეომართ.“<sup>7</sup>

პრესა თავისუფალი აზრის გავრცელებას და აღორძინებას უნდა ემსახურებოდეს, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია საზოგადოების დამოკიდებულება პრესისადმი. პუბლიცისტები ხშირად სიკედილით დასჯას ამჯობინებდნენ, ვიდრე საკუთარი პრინციპების ღალატს. ამიტომ, სადაც პრესას პატივისცემით ექცევიან, იქ საზოგადოება განვითარებული და კეთილგონიერიო, აღნიშნავს აღ. ნანეიშვილი.

კმაყოფილებით შეეგება აღ. ნანეიშვილი თბილისში რუსულ ენაზე გაზეთის გამოცემის ფაქტს: „ჩვენში ადგილობრივ რუსულ მწერლობას (პრესას – დ.ჩ.) განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს და ფრიად საჭიროდ მხდის ჩვენში სინდისიერს ადგილობრივ რუსულს მწერლობას“ (პრესას – დ. ჩ.). აღ. ნანეიშვილს მტკიცედ სჯერა, წერა-ბეჭდვა ერთადერთი საშუალებაა საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის, ადამიანთა გამოფხიზლებისათვის. მისი სიტყვით, გაზეთი კავკასიაში საჭირო და აუცილებელია ბევრი თვალსაზრისით, „პირველი ისაა, რომ ჩვენს მწერლობას (პრესას – დ.ჩ.) გასაყალი აქვს და ისიც მეორე, ისევე ჩვენს ქვეყანაში და ჩვენთა თანამემამულეთა შორის, რომელთაც ისე არა ეკითხებათ რა ჩვენი ქვეყნის ბედისა, როგორც ჩინეთის იმპერიისა. გარდა ამისა, ჩვენს მწერლობას (პრესას – დ.ჩ.) უმაღლეს წრეთათვის არა აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას უნდა

ჰქონდეს, როგორც ქვეყნის აზრის და გრძნობის გამომთქმელს. ეს ესეც რომ არ იყოს, ჩვენს მწერლობას (პრესას – დ.ჩ.) და ვნას კრიჭაში ჩასდგომიან ზოგიერთი გარეშე გარემოებანი“.<sup>18</sup>

ამრიგად, სწორი საზოგადოებრივი აზრის შემუშავება და საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება, მისი ინტერესების წარმოჩენა პრესის გზით უნდა მოხდეს, ქართულ ენაზე გამოძეული ჟურნალ-გაზეთები ბევრს ცდილობენ სწორი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, – განმარტავენ ალ. ნანეიშვილი, – მაგრამ მათი მოქმედების ფარგალი შეზღუდულია. გაერცყელების არეალი – შევიწროებული, ამიტომ საქართველოში გამოძეული რუსულ პრესას ქართული კულტურისა და ყოფის ასახვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას კარგი ტრადიცია გააჩნდა. გაზეთებმა „ტიფლისკი ვესტნიკი“ და „ობზორმა“ საჩინო კვალი გააველეს სულ ცოტა ხნის წინათო, – შენიშნავენ პუბლიცისტი, – ამ რუსულმა გაზეთებმა „თავისი არსებობის მოკლე ხნის შესაფერისად კარგი სამსახური გაგვიწია, მაგრამ დრო და ვითარების გამო, ამ მწერლობას (პრესას – დ.ჩ.) ბოლო მოელო და მოედანი დარჩა – ვის? გაზეთ „კავკაზს“, რომლისთვისაც არ არსებობს არც ლიტერატურული პროგრამა, არც არაეითარი მოვალეობა, არც არაეითარი დედა-აზრები და არც ის ქვეყანა, რომელშიაც თეითონვე მოქმედებს. ჩვენს დარდიან დროში „კავკაზი“ წარმოადგენს უდარდელს საკითხავს, რაიცა შეადგენს უებარს საშუალებას საზოგადოების თეალების დახუჭვისათვის და ქვეყნის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა ჩასაფუჩქეებლად“.<sup>19</sup>

ალ. ნანეიშვილს მიაჩნია, რომ პრესა მებრძოლი, შემართული უნდა იყოს, საზრდობდეს ცხოვრების აე-კარგით და საზოგადოების მხარდაჭერით ძლიერდებოდეს. რადგანაც „კავკაზი“ ისე გამოდის, ვითომც „სადმე უჭაერო სიერცეში მოქმედებდეს“ და არა იმ ქვეყანაში, რომელსაც მრავალი საფიქრალი გააჩნია. ალ. ნანეიშვილი მიესალმება ახალი რუსული გაზეთის „ახალი მიმოხილვის“ გამოცემას და იმედოვნებს, რომ უმოკლეს დროში იგი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის თანაგრძნობასა და ყურადღებას დაიმსახურებს. ქართულ ცხოვრებაზე რუსულად წერა-ბეჭდვა, ქართული სინამდვილის აე-კარგის შეფასება რუსულად, პუბლიცისტს დროის მოთხოვნად მიაჩნდა.

ალექსანდრე ნანეიშვილის პუბლიცისტური წერილები მამხილებელი ტონით გამოირჩევა, მკითხველთან დიალოგი დაუძაბავად, საუბრის სტილში მიმდინარეობს. პუბლიცისტი იმდროინდელ მკითხველს შთააგონებს, რომ თავისუფალი აზრის დათრგუნვა დროებითია, მისი შეფერხება უკუქმედებას გამოიწვევს. აზრის სიკვდილი შეუძლებელია, ამიტომ მისი მუხრუჭი უფრო დიდ წინააღმდეგობას აღმოაცენებს. კატკოვის მსგავსთა ჯალათობით პრესის მოსპობა უსუსური ოცნება და უგუნურთა უდღეური იმედია. პუბლიცისტურ სიტყვას განუზომელი ძალა აქვს და პრესის ზემოქმედება ასაფეთქებელი ნადმის სიძლიერეს ემსგავსება, – კითხულობ ალ. ნანეიშვილის ამ ნააზრევს და ცენზურის იმჟამინდელ ვითარებაში გიკვირს ასეთი სითამამე, გაბედულება, შეუპოვრობა, ოფიციალური აზრის თავგამოდებული მხილება. ალ. ნანეიშვილის პუბლიცისტურმა წერილებმა გააღრმავა პროგრესული ქართული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი და ცხადყო პრესის გზით ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის აუცილებლობა.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

1. გაზ. „ივერია“, 1904 წ., 14 აგვისტო.
2. სილოვანი, „ალექსანდრე ნანეიშვილის დასაფლავების გამო“, გაზ. „ივერია“, 1904 წ., 22 აგვისტო.
3. ანა-ლი, „წერილები პეტერბურლიდამ“, გაზ. „დროება“, 1880 წ., 21 ივნისი.
4. იქვე.
5. ალ. ნანეიშვილი, მეთაური წერილი „თბილისი, 12 ოქტომბერი“, გაზ. „დროება“, 1883 წ., 13 ოქტომბერი.
6. ანა-ლი, „ახალი წელიწადი ჩუენი ჟურნალ-გაზეთებისათვის“, გაზ. „დროება“, 1883 წ., 13 იანვარი.
7. ანა-ლი, „ახალი წელიწადი ჩუენი ჟურნალ-გაზეთებისათვის“, გაზ. „დროება“, 1883 წ., 19 იანვარი.
8. იქვე.
9. ალ. ნანეიშვილი, „თბილისი, 19 ივლისი“, გაზ. „დროება“ 1883 წ., 20 ივლისი.
10. იქვე.
11. ალ. ნანეიშვილი, „თბილისი, 12 ოქტომბერი“, გაზ. „დროება“ 1883 წ., 13 ოქტომბერი



12. იქვე.
13. ანა-ლი, „შინ და გარეთ“, გაზ. „დროება“, 1883 წ., 19 აგვისტო.
14. იქვე.
15. იქვე.
16. იქვე.
17. ანა-ლი, „შინ და გარეთ“ (გაგრძელება), გაზ. „დროება“, 1883 წ., 25 აგვისტო.
18. აღ. ნანეიშვილი, მეთაური წერილი „რას მოკელით ახალი რუსული გაზეთებისაგან“, გაზ. „დროება“, 1883 წ., 18 დეკემბერი.
19. იქვე.

დაიბეჭდა კრებულში „მიქაელენა ალექსანდრე  
ორბელიანის ხსოვნას“,  
III სამეცნიერო კონფერენცია, 2001 წ.

## მეცნიერული ჟინით დაწერილი ისტორია

ვერაეის გააკვირვებ, თუ იტყვი, რომ წიგნის შექმნა უადრესად რთული პროცესია, ხოლო მისი გამოცემა ღღეს, – კიდევ უფრო ძნელი განსაცდელი. ამდენად, მისალოცია საზოგადოებისათვის ბატონ გურამ შარაძის 655-გვერდიანი „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ პირველი ტომის დასტამბვა.

ამ აპოკალიფსურ დროში მშობლიური ჟურნალისტიკის ისტორიის ცოდნა ძალაა, ღონეა, რომლითაც უფლის ნებას უნდა აძუე და სიბოროტისგან თავი გადაირჩინო, ქართული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის საფეხურები შეიმეცნო, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პათოსით დაიმუხტო... ასე მესმის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის გზაზე სამამულო ჟურნალისტიკის ისტორიის როლი. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია ხომ ერთიანი ქართული ჟურნალისტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ყურად შეუსწავლელი და უცნობი. რადგან ამ პერიოდზე წერა-ბეჭდვა კი არა, ფიქრიც ცოტა ხნის წინათ მკრეხელობად მიიჩნეოდა, საციმიბიროდ რომ გაგიმეტებდნენ იოლად... ამიტომ მისასაღმებელია ბატონ გურამ შარაძის მრავალწლიანი შრომა საზღვარგარეთ გამომაველი ქართული ნაბეჭდი სიტყვის მოძიების, შეგროვების და სამშობლოში ჩამოტანისა, რასაც მან ახალგაზრდობიდანვე დიდი ენერგია მოახმარა. ამ წიგნში წარმოჩენილი XX საუკუნის პირველი ნახევრის ემიგრანტული წარსული ქართველი ერის მეხსიერებაა, მეხსიერება შეუსწავლელი, სისტემაში მოუყვანელი, შეუფასებელი, რასაც გაყრთხილება და გამოყენება, ქართულ ეროვნულ აზროვნებაში ჩართვა და გაანალიზება სჭირდება, რათა მომავალმა თაობამ წინაპართა ღვაწლი დააფასოს, კუთვნილი ადგილი მიუჩინოს და ემიგრანტ მამულიშვილთა მიერ „სიტყვით ბრძოლის“ შეუსწავლელი მემკვიდრეობა გაითავისოს.

წიგნი მეცნიერული ჟინითაა შექმნილი. ავტორს ქრონოლოგიურ საფეხურებად გაუაზრებია საზღვარგარეთ გამოცემული ჟურნალ-გაზეთების ისტორია, რომელსაც შესავალი უძღვის. მასში ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის ჩასახვასა და

განვითარებაზეა მსჯელობა. ეს ნაწილი საინტერესო ილუსტრაციებითაა გაცოცხლებული: XIX საუკუნის ქართველ ჟურნალისტთა და რედაქტორთა პორტრეტები, ჟურნალ-გაზეთების თავფურცლები, რედაქციათა ადგილსამყოფელი ძველ თბილისში – ის ხედვითი მასალაა, რაც ავსებს ძირითად სათქმელს, ჟურნალისტიკამცოდნეობაში არსებულ მეცნიერულ გამოკვლევებზე რომ არის აგებული და სქოლიოში უხვად დამოწმებული (უკანასკნელ ხანებში სქოლიო ხომ თანდათან გაუწინარდა – დ.წ.), ყოველივე ეს წიგნის შესავალს დამაჯერებლობით გამოარჩევს.

პირველ თავში შესწავლილია 1873-1918 წლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოცემული ქართული პერიოდიკა – „დროშა“ (1873წ.), „საქართველო“ (1903-1905წ.), „თავისუფალი საქართველო“ (1913-1914), „ქართული გაზეთი“ (1916-1918). ამ თავს აერთიანებს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ვითარების მიმოხილვა, რომლის ფონზეც იძლება ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მსჯელობა ეროვნულ ფასეულობებზე, ფედერალური თუ დემოკრატიული რესპუბლიკის სახით საქართველოს მომავლის წარმოჩენაზე, დამოუკიდებელი საქართველოს ხვალისდელი დღისთვის საზოგადოების შემზადებაზე, რუსეთთან თუ რუსეთის გარეშე საქართველოს ყოფნა-არყოფნაზე, თავისუფალი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური გზების ძიებაზე, ევროპის პროგრესული აზროვნების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის მცდელობაზე და ასე შემდეგ. წიგნში იმ მამულიშვილთა ღვაწლის წარმოჩენაა, ვინც იძულებით მისჯილ უცხოებაში მართალი სიტყვის მსახურებით, უაღრესად მძიმე პირადი ყოფის მიუხედავად, თავისუფალი საქართველოს მომავალს სიტყვით ქმნიდა. ისინი უცხო მიწაზე „საქართველო-ისტები“ იყვნენ და მთელი შეგნებით ქმნიდნენ ქვეყნის მომავალს ემიგრანტობაში. ამ მოღვაწეთა პორტრეტები ავსებენ და ალამაზებენ ძირითად სათქმელს: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, კომანდო გეგელია, ნიკე ჟორდანიას, ზურაბ ავალიშვილი, პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი და რომელი ერთის პორტრეტული ილუსტრაცია ჩამოვთვალოთ. მათი ბიოგრაფიული დეტალებით და ეპისტოლარული მემკვიდრეობით

გამდიდრებული მეორე თავი დაუძაბავად, დიდი ინტერესით იკითხება, დღემდე უცნობ ბევრ ინფორმაციას იძლევა უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა ცხოვრების სიძნელეებზე.

მესამე თავი ხერხემალია წიგნისა; მასში გადმოცემულია პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდგომი საქართველოს ეროვნული მთავრობისა და მის გარშემო შემოკრებილი პოლიტიკური ძალების მიერ (1921 წლიდან) საზღვარგარეთ გამოცემული (1939 წლამდე) პოლიტიკური ჟურნალ-გაზეთების ისტორია: ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ (1921-1922 წ. დაბეჭდვის ადგილი სტამბოლი-პარიზი), გაზეთი „ახალი საქართველო“ (1924-1926 წ. იბეჭდებოდა პარიზი-ბერლინი), ჟურნალი „სამშობლოსათვის“ (1925 წ. გამოდიოდა პარიზში), ჟურნალი „ბროლა“ (1925-1927 წ. იბეჭდებოდა პარიზში), ჟურნალი „სახალხო საქმე“ (1926-1935 წ. ისტამბუბოდა პარიზში), გაზეთი „თეთრი გიორგი“ (1926-1939 წ. გამოდიოდა პარიზი-ბერლინი), ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1923 წ. დაისტამბა ბერლინში).

მესამე თავში განხილული პერიოდიკა ურთულესია როგორც პოლიტიკურ პარტიათა ისტორიით, ასევე ემიგრაციაში მყოფ მოღვაწეთა მრავალწახნაგოვანი სააზროვნო სპექტრით. ამ გამოცემათა კრელო ავტორმა „თეთრი გიორგის“ დევიზით გააერთიანა – „საქართველო უწინარეს ყოვლისა!“ ბატონმა გურამ შარაძემ პოლიტიკურ პარტიათა განსხვავებული კონცეფციების ანალიზით წარმოაჩინა ის ურთულესი დრო, რაც „წითელი კომუნისტური ურჩხულის“ წყალობით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მძვინვარებდა. ემიგრაციაში კი პუბლიცისტური სიტყვა თავისუფალი საქართველოს შექმნა-დაფუძნებას დასტრიალებდა. ეს პერიოდი ჟურნალისტიკამცოდნობაში მეცნიერული ყაშირია. ამ თავში დამუშავებულია უხვი ფაქტობრივი მასალა, შეჯერებულია ემიგრაციაში მყოფი მოაზროვნე ქართველ პოლიტიკოსთა თვალსაწიერი, ურყევი რწმენა საქართველოს უკეთესი ბედისა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო წიგნში ლიტერატორმა გურამ შარაძემ სძლია ჟურნალისტიკამცოდნეს.

„ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“ უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპული შეილის – ექიმ ლაშა შარაძის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა. ძნელად წარმოსადგენია უფრო შთამბეჭდავი ძეგლი მის უკვდავსაყოფად.

სტუდენტობა და მკითხველი საზოგადოება გურამ შარაძის „ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ შემდგომ ტომებს მოუთმენელი ინტერესით დაელოდება.

„დილის გაზეთი“, 27 სექტემბერი, 2001 წ.

## იოსებ ბოცვაძის ბახსენება

თბილისელი იყო, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, ინტელიგენტი არა მხოლოდ ოჯახური წარმომავლობით, არამედ აღზრდით, სულიერი წყობით, თვისებებით.

დაიბადა 1914 წლის 27 ივლისს სახალხო მასწავლებლის და საზოგადო მოღვაწის – ლუარსაბ ბოცვაძის და ნინო ბაქრაძის ოჯახში.

იოსებ ბოცვაძეს – პედაგოგების შვილსა და თავად პედაგოგს, ჰქონდა აღმზრდელის ის თანდაყოლილი ნიჭი და გუმანი, რომელსაც ვერ შეიძენ, ვერ ისწავლი, იგი სისხლში გენივითაა გამჯდარი. ნიჭიერი, მკვირცხლი, მოძრავი, ენერგიული ყმაწიელი ცოდნას დაეწაფა შრომის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში. 1930 წელს იოსებ ბოცვაძემ დაამთავრა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის მესამე პედაგოგიური ტექნიკუმი და მიენიჭა პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლის წოდება. მასწავლებელთა ოჯახის პირმშომ პედაგოგიურ სარბიელზე ორი წლის მუშაობის შემდეგ (ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის 91-ე საშუალო სკოლაში), 1933 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის თეორიულ განყოფილებაზე, რომელიც 1937 წელს დაამთავრა. პარალელურად, 1936 წლიდან სწავლობდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1939 წელს და იმავე წლის ოქტომბერში ჩაირიცხა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართული მეთოდის სპეციალობით. ასპირანტურის სრული კურსის დამთავრება ფაშისტურ გერმანიასთან ომის დაწყებას დაემთხვა. დრო იყო მძიმე, გაუსაძლისი, მეცნიერებისთვის თავშეწირვის სურვილი – ძალზე დიდი და იოსებ ბოცვაძემ 1943 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ქართული ლიტერატურის მეთოდის კუთხით, – მოიპოვა პედაგოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

სოსო ბოცვაძის არქივში ინახება მოწმობა, გაცემული კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მაშინდელ ხელმძღვანელთა მიერ, რომელიც გვაუწყებს, რომ იოსებ ბოცვაძე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე სტატიკად მუშაობდა 1931-33 წლებში. რაც დასტურია ბატონი იოსების განუსომელი სიყვარულისა თეატრისადმი, იგი ამ „მარადიულ დღესასწაულს“ მთელი ცხოვრება ეთაყვანებოდა.

ბატონმა სოსომ უმაღლესი სკოლის ლექტორის სასახელო გზა განვლო. დღეს ბევრისთვის უცხოა ჩამსვლელ პედაგოგად მუშაობა. იოსებ ბოცვაძე 1942 წლიდან ჩადიოდა და ლექციებს კითხულობდა ქუთაისისა და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში, 1945-52 წლებში იგი უძღვებოდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, შემდეგ ამავე ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. სოხუმშივე იოსებ ბოცვაძე შეთავსებით მუშაობდა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მთავარ რედაქტორად, სოხუმის თეატრის ქართული დასის სალიტერატურო განყოფილების გამგედ. მაშინ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და თეატრში ქართული სული ტრიალებდა, მნიშვნელოვანწილად, ამას იოსებ ბოცვაძეც აპირობებდა.

1952 წლის სექტემბრიდან იოსებ ბოცვაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტად დაბრუნდა, ხოლო 1953 წლიდან – ახლადშექმნილი ჟურნალისტიკის კათედრის ერთ-ერთი მესაძირკელეთაგანი გახლდათ. ჟურნალისტიკის მაშინდელ კათედრას უძღვებოდა აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, კათედრის მდივანი იოსებ ბოცვაძე იყო, კათედრის წევრები იყენენ ამაგდარი მეცნიერები – ილია ნატროშვილი, ტარიელ კვანჭილაშვილი, ნოდარ ჩხვიძე... იოსებ ბოცვაძე ჟურნალისტიკის კათედრის ხერხემალი იყო, ქართულ უნივერსიტეტში ჟურნალისტთა კადრების წრთობის პირველი დირიჟორი, ეროვნული სულით მომავალ ჟურნალისტთა აღმზრდელი. ეს გზა ახალი იყო, სიძნელე – უამრავი, დღეს სწორედ გზის დასაწყისია დასაფასებელი.

1964 წელს იოსებ ბოცვაძემ დაიცვა სადოქტორო დესერტაცია და მიენიჭა ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორის წოდება, 1979 წელს პროფესორი იოსებ ბოცვაძე ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის პირველ გამგედ აირჩიეს ახლადშექმნილ

ეურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე – 1981 წლის 29 აპრილამდე – უძღვებოდა. ოცი გრძელი, ფათერაკებით სავსე წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან...

ბატონი სოსო იმ „დიდი აკადემიის“ წევრი გახლდათ, რასაც უნივერსიტეტში ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობა ქმნიდა. იგი სტუდენტების სული და გული, მესაიდუმლე და თანამდგომი იყო, სტუდენტური ცხოვრების შუაგულში მყოფი, მათი სიხარულის გამზიარებელი, პირველი ნაბიჯების შემფასებელი და გზის დამლოცავი. მისთვის არც სტუდენტური ბოქმური ცხოვრება იყო უცხო და არც სტუდენტური ექსკურსიები, რადგან მეგობრობა ბატონი სოსოს რელიგია გახლდათ, ადამიანის სიყვარული – აუღებელი ციხე-სიმაგრე, ტოლერანტობა – შინაგანი ბუნების გამოვლენა.

მდიდარია პროფესორ იოსებ ბოცვაძის მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი სამოცზე მეტი გამოკვლევისა და ასოციატამდე სტატია-რეცენზიის ავტორია. მან შეაგროვა, კომენტარები დაურთო და ფართო მკითხველისთვის სამაგიდო წიგნად აქცია მე-19 საუკუნის გამოჩენილი პუბლიცისტების თხზულებანი. მარტო სერგეი მესხის პუბლიცისტური მემკვიდრეობის სამი ტომის შედგენა-შეგროვება, შესაშური მეცნიერული აპარატურით დასტამბვა დაამშვიდებდა ერთი მეცნიერის ბიოგრაფიას. საყურადღებოა იოსებ ბოცვაძის გამოკვლევები: „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“ (1955 წ.), „ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“ (1956), „ილია ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“ (1956), „სერგეი მესხი“ (1964), „ნიკო ლომოური“ (1966), „ქართული ეურნალისტიკა“ (1967), „სერგეი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა“ (1968), „პრესა და მწერლობა“ (1976), „საუნჯე ერისა“ (1976) და ბევრი სხვა. მანვე შეადგინა, კომენტარები დაურთო და გამოსცა ქართული პედაგოგიური აზროვნების მოჭირნახულის, პროფესორ გიორგი თავზიშვილის რჩეულ პედაგოგიურ თხზულებათა სამტომეული, აგრეთვე, თავისი სახელოვანი მამის, ილია ჭავჭავაძის საქმის ერთგულის, ეურნალ „განათლების“ დამაარსებლის – ლუარსაბ ბოცვაძის რჩეულ პედაგოგიურ თხზულებათა ოთხტომეული. ასე რომ, პროფესორმა იოსებ ბოცვაძემ სათავე დაუდო ეურნალისტიკამცოდნეობაში კრიტიკის ის-



ტორიის მეცნიერულ შესწავლას და ცალკე დარგად ჩამოყალიბებას.

გულწრფელია სოსო ბოცვაძის გახსენების ტკივილი; დაუვიწყარია ის დიდი წელიწადი, რაც მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისა და ლიტერატურული კრიტიკის კვლევის საქმეში შეიტანა ამ ნათელი აზრისა და მაძიებელი გონების მეცნიერმა, ერთგულმა მეგობარმა, გულანთებულმა მოქალაქემ. იგი დიდი ადამიანური სითბოთი და განუმეორებელი იუმორით უადვილებდა ახლობლებს არსებობას, უშურველად თესდა სიკეთეს...

„დილის გაზეთი“, 7 მაისი, 2001 წ.

## სერბები მესხი – „მამა პოლიტიკური მწერლობისა“

პროფესიონალი ჟურნალისტის – სერგეი მესხის ხანმოკლე სიცოცხლე ჭეშმარიტი მამულიშვილის ის დიდი და საშური ღვაწლია, რაც „თერგდალეულთა“ ცხოვრების წესი და არსებობის ფორმა იყო მე-19 საუკუნეში.

თავისუფლებადაკარგული საქართველოს მომავალს ახლებური გაქანებისა და უნარის ახალი თაობა ჭიდებოდა. როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „ახალი თაობა გონიერებაა, ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა... ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.V).

სერგეი მესხის პუბლიცისტური ნაწერების პირველი გამომცემელი სამსონ ფირცხალავა 1903 წელს წერდა: „ს. მესხს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი პირველი პუბლიცისტი იყო ჩვენში, იყო მამა პოლიტიკური მწერლობისა, პროგრესიულ გზაზე იდგა და იბრძოდა მოწინავე აზრებისათვის. მასთან იყო ადამიანი იშვიათის ზნეობრივის სიფაქიზისა და პირად ანგარიშს და არასაზოგადოებრივ ინტერესს ერთხელაც არ გაუმრუდებია მისი კალამი“ (ნაწერები ს. მესხისა, ს. ფირცხალავას გამოცემა, 1903).

14 წელი ქართველთა „მოქცევას“ ემსახურა ს. მესხი. ძნელი, უმადური საზოგადოების გულგრილობით დაღლდამული იყო სიტყვით ბრძოლის ეს პერიპეტეები. დღეს იგი უახლესი წარსულია, წარსული მრავლისმთქმელი და მომავლის მასაზრდოებელი. ს. მესხის თაქდაუზოგავი ღვაწლის გასიგრძეგანება მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის იმ რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაზე, სიტყვასთან ჭიდილითა და სტრიქონთა „შეკმაზებით“ რომ აღწევდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რადგანაც საქართველოს უკულმა დატრიალებული სვე-ყოფა ჩვენი პუბლიცისტების ხვედრი და ბედისწერა გახლდათ, რომელთაც მაშინდელი აზრთშემბორკავი ცენზურის პირობებში სტრიქონებშუა სათქმელის განფენით უნდა გამოეფხიზლებინათ და აღეზარდათ ძილით მოცული იმდროინდელი ქართველობა.

სერგეი სიმონის ძე მესხი დაიბადა 1845 წლის 25 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიის სოფ. რიონში აზნაურ სიმონ მესხისა და მაგდალინა მარჯანიშვილის ოჯახში. მესხების დიდი სახლობა ცამეტი შვილით იყო მდიდარი. მამა – სიმონ მესხი იმდროისათვის ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი ქუთაისში საგუბერნიო სასამართლოში საქმის მწარმოებლად მსახურობდა, რუსულის მცოდნე – ხშირად თარჯიმნობდა კიდევ. დედა – მაგდალინა მარჯანიშვილი (სახელგანთქმული რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის მამის და) სამაგალითო მანდილოსანი, „ფეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე და კარგი დეკლამატორი, პოემის ადგილების კითხვით ზრდიდა თურმე ცამეტ შვილს, რომელთაც პირველდაწყებითი განათლება გონიერი და განსწავლული დედის წყალობით სახლში მიიღეს.

მესხის ოჯახი საოცარი ხომლი იყო გასული საუკუნის მეორე ნახევარში, რომლის თითოეული წევრი უშრეტ სანთლად ენთო ქართულ კულტურას და ლიტერატურასო. – წერდნენ ს. მესხის დაძმების შესახებ. მართლაც, რომელი მათგანი ვახსენოთ... ცნობილი რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგი კოტე მესხი, ვისი სახელის გარეშეც ქართული თეატრი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან უფერული და უსულო იქნებოდა; ეუფემია მესხი – სერგეის და, ქართული თეატრის მშვენება, ვინც 40 წელი ქართული სცენური ხელოვნების თავისთავადობას ამკვიდრებდა, რითაც ქართველ ქალთა ემანსიპაციის სათავეებთან იდგა და თეატრალური დღესასწაულების სული და გული იყო ქართულ სასცენო ხელოვნებაში; სერგეის უფროსი ძმა გიორგი, რომელსაც ნ. ნიკოლაძესთან, გ. წერეთელთან, დ. აბდუშელიშვილთან ერთად უსწავლია ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა ცნობილი „არაულობის“ შემდგომ მოსკოვის უნივერსიტეტში გადასულა, დაუმთავრებია და ქუთაისის გიმნაზიაში ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებლად დაუწყო მუშაობა. /მისი ქალიშვილის – მარიამის შვილი იყო ქართული სცენის ბერმუხა, დაუეიწყარი ვერიკო ანჯაფარიძე/; სერგეის მომდევნო ძმა – ივანე მესხი, ცნობილი ჟურნალისტი და სახალხო მასწავლებელი გახლდათ, იგი ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე სწავლობდა, საიდანაც შვეიცარიაში გადავიდა და ციურიხის უნივერსიტეტის

პედაგოგიური ფაქულტეტი დაამთავრა. ციურიხში ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ საზოგადოება „უღელის“ უცვლელ მდივანს, ციურიხიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ჭიჭინაძესთან ერთად ქუთაისში შეეიცარიული ტიპის დაწყებითი პანსიონი გაუხსნია გლეხის შეილებისათვის, რომელიც მალე მეფის ხელისუფლებამ დახურა და მასწავლებლობა აუკრძალა „თავისუფლად მოაზროვნე“ ივანეს. მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სერგეის უმცროსი ძმა დავითი, რომელსაც ქუთაისის გიმნაზიაში უსწავლია, მაგრამ ლათინური ენის მასწავლებელთან კონფლიქტის გამო გიმნაზია მიუტოვებია. თბილისში, „დროების“ რედაქციაში სერგეის წამოუყვანია. გაზეთთან დაახლოებული ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი შეიქნენ დავით მესხის გზის გამკვალავნი. „თუ მწერალი არ გაეხდი, მათ მარაქაში მაინც გაეერევიო“, – მოკრძალებით წერდა იგი „მოგონებებში“. ამ მემუარული მასალით მან სიმონ მესხის მრავალრიცხოვანი სახლობის საუკუნენამომდგარი ქართული ყოფის პირუთენელი ისტორია დაგვიტოვა და ამ არაორდინალური ქართული ოჯახის მაგალითზე დავიწყების ზანტი ბურუსი ააცდინა იმდროინდელი საზოგადო ცხოვრების ამჯერად გაფერმკთალეულ დღეებს, რომელთა მონატრების სურნელით სუნთქავს „მოგონებების“ ყოველი სტრიქონი (აღბათ, უნდა გაეიხსენოთ სიმონ მესხის ოჯახის სხვა წევრებიც, სერგეის ძმები – მიხეილი, ნესტორი, კონსტანტინე, დები – პელაგია, მარიამი, ანა, ნინო, რომელთა საქმიანობა ქართული თეატრის, ქართული სასწავლებლის, ქართული გაზეთისა და რიონის მესხისეული მამულის ირგვლივ იყრის თავს. მათი დამმოძღვრავი, გზის გამკვალავი მშობლების შემდეგ სერგეი მესხი იყო).

პირველდაწყებითი განათლება სერგეი მესხმა ოჯახში მიიღო, იგი მკვირცხლი გონების, ცოდნისწადილით აღვსილი ყმაწვილი ყოფილა. თერთმეტი წლისა, 1856 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეუყვანიათ, თანაც გიმნაზიასთან არსებულ კეთილ-შობილთა პანსიონში საკუთარი ხარჯით ჩაურიცხავთ. ცოდნის შეძენის მაძიებელი სერგეი ბევრს კითხულობდა და თვითგან-ვითარებით გამოირჩეოდა. საკუთარი აკადემიური წარმატების გამო მესამე კლასიდან სერგეი სახელმწიფო ხარჯზე გადაუყვ-

ნიათ. გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 1863 წელს იგი გაემგზავრა პეტრეს ქალაქში და უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე კავკასიის სტიპენდიანტად ჩაირიცხა. სწავლის ხუთი წელი თვითგანვითარების საუკეთესო პერიოდი იყო ს. მესხისათვის.

სერგეი მესხმა 1867 წელს წარმატებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ქუთაისს დაბრუნდა. მას სურდა სახელმწიფო სასწავლებელში მასწავლებლის ადგილი ეწოვა, მაგრამ იძულებული იყო, მდივნობა დაეწყო სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში. ეს ჩინოვნიკური საქმე ს. მესხს შედარებით უზრუნველ ცხოვრებას უქადდა, მაგრამ 1869 წ. აპრილში გაზეთ „დროების“ რედაქტორმა გ. წერეთელმა პეტერბურგს გამგზავრება განიზრახა სწავლის დასრულების მიზნით, ს. მესხს კი დროებითი რედაქტორობა შესთავაზა. სერგეი თბილისში გადმოსახლდა. 1869 წლის 17/29 აპრილიდან „დროებას“ ხელს აწერს რედაქტორი სერგეი მესხი. ამ დღიდან ს. მესხის ცხოვრება განწყოფელია „დროების“ ისტორიისაგან.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში გაზეთ „დროებას“ უნივერსიტეტის სადარი საქმიანობის აღსრულება მოუხდა. ეს იყო დრო პუშანისტური, დემოკრატიული და ეკონომიკური იდეებით ქართული საზოგადოების პერმანენტული დამოძღვრისა, რასაც ბუნებით ღირიკოსი, შემართებით – უდრეკი და მამულის უკიდევანო სიყვარულით აღვსილი სერგეი მესხი თავდაუზოგავი ენერგიით ემსახურა. „მთელი თოთხმეტი წელიწადი ტანჯვით, ვაებით, უფულობით და ათასნაირ დამაბრკოლებელ გარემოებით თითქმის ერთმა კაცმა ატარა თავის მხრებზედ ეგ მძიმე ტვირთი გაზეთისა... გამოცემა გაზეთისა ჩვენში, თუმცა წვალებდა და ტანჯვა, მაგრამ აუცილებელი საჭიროებაც არის ქვეყნისათვის“, – წერდა ს. მესხის შესახებ ილია ჭავჭავაძე („შინაური მიმოხილვა“, 1883, III, ტ. V).

გაზეთი „დროება“ ს. მესხმა ვალით და 200 ხელისმომწერით ჩაიბარა. მისი ოცნება იყო ხელისმომწერთა მომრავლება და ყოველკვირეული გაზეთის პერიოდულობის გაზრდა. ამიტომ 1870 წლის იანვარის „დროებაში“ ჩნდება შავი შრიფტით აწყობილი განცხადება – „ვისაც გაზეთის ხელისმომწერის ფული სრულად არ შემოუტანიათ, მათ გვარებს გამოვაცხადებთ“. ამ

გამაფრთხილებელმა განცხადებამ შედეგი გამოიღო. უარყოფითი კონტექსტით სახელისა და გეარის გამოცხადებას ურჩი ხელისმომწერი დარჩენილი თანხის დაფარვას ამჯობინებდა. „300 ხელისმომწერი რომ მყავდეს, სამასჯერ გადაეალ ყირამალაზედო“, – წერდა ერთ-ერთ პირად წერილში ს. მესხი. სამასი ხელისმომწერი საოცნებო იყო რედაქტორისთვის სამოცდაათიან წლებში, ოთხმოციანი წლებისთვის „დროების“ პოპულარობა გაიზარდა. ხელისმომწერთა რიცხვმა ექვსასს გადააჭარბა. ს. მესხის მცდელობით „დროება“ ამერ-იმერის – ერთიანი საქართველოს – გაზეთი გახდა. მასში წაიკითხავდით მასალებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – ქართლ-კახეთი, გურია-სამეგრელო, იმერეთი-სვანეთი, ლეჩხუმი-აფხაზეთი, საინგილო-მესხეთი ის არეალია, საიდანაც გამოგზავნილი კორესპონდენციები ერთიანი საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს წარმოაჩენენ განყოფილებებში – „საქართველო“, „დღიური“, „ჩვენი ფოსტა“, „დაბა და სოფელი“, „ჩვენ გეწერენ“ და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთს და მის რედაქტორს მატერიალურად ძალიან უჭირდა. სერგეი მესხი ხშირად გამოუვალ სიძნელეს რომ განიცდიდა გაზეთის ქალაქისა თუ სხვა ხარჯის გამო, პირად ნივთებს აგირაევებდა. მას ბევრჯერ თავისი ოქროს საათი და რიონის მამული დაუგირაევებია, რათა ფული ეშოვა გაზეთის ხარჯის დასაფარად. ძალზე იშვიათად ვინმე თუ მატერიალურად დაეხმარებოდა რედაქციას. ერთ კერძო წერილში სერგეი წერდა: „გაზეთს მუდამი თანამშრომელი და გამგე მხოლოდ ერთი კაცი ვყუვარ, და კვირაში სამჯერ გაზეთის გამოცემა, მგონია, ისე ადვილი საქმე არ არის, რანაირად დაეფაცურობ, დაერბივარ, რომ მნახო, გაგეცინება... ღამეში 3-4 საათი თუ მძინავს, მუდამ დაერბივარ, ნელა სიარული თითქოს დამავიწყდა! და ამ დაუწყნარებელ შრომასთან არც სულის მშვიდობა მაქვს: ყოველ დილას მოვალეები შემოიწურებიან ჩემს ოთახში და ამნაირად მთელ დღეს ჩამიშხამებენ ხოლმე!“ (ს. მესხი, წერილები). არადა, გაზეთი „დროება“ იმდროინდელი ქართული აზროვნების წარმმართავე, მოწინავე ქართული ენერჯის დამრავლავი გახლდათ, ყოველივეს დირიჟორი კი მისი რედაქტორი ს. მესხი იყო. მას სჯეროდა, რომ ცარიზმის უზურპაციის წინააღმდეგ გაერთიანებული, შეთანხმებული, გონივრული ბრძოლა იყო საჭირო, რასაც გაზეთმა უნდა უმეგზუროსო.

ს. მესხს მტკიცედ სწამდა, რომ ერთ თაობას, ერთ მოდგმას ბევრის გაკეთება არ შეუძლია: „ამ თავით გარუსებისგან რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და ქართველობა დავიფაროთ, ისიც ბევრი იქნება“ (ს. მესხი, წერილები).

რედაქტორობის პირველი დღეებიდანვე ს. მესხი საზოგადო საფიქრალს სთავაზობს მიძინებულ მკითხველს და ახალი ქართული ცხოვრების სხვადასხვა წახნაგზე ესაუბრება. მხოლოდ საზოგადო საფიქრალთ მკითხველის დამუხტვა კი არა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცხოვრების გაცნობა და ამერ-იმერის ურთიერთდაახლოება რედაქტორის არსებითი საზრუნავია. როდესაც კახეთში, ქიზიყში გვალვასა და სეტყვის შედეგად აუტანელი სიცხისაგან გაჩენილი ხანძრის გამო მოუსაველიანი წელი დადგა, ულუკმაპუროდ დარჩენილი ქიზიყელები ყველაფერს ყიდდნენ, შიმშილისაგან თავი რომ გადაერჩინათ. ს. მესხი გულმოკლული წერდა: „ქიზიყელები ჯგუფ-ჯგუფად, მთელი ოჯახობით სტოვებენ თურმე თავიანთ მამა-პაპეულ ადგილებს და ლეკებში და სხვა ქვეყნებში გადადიან და, შიმშილით რომ არ ამოწყდნენ, მოსამსახურებად დგებიან. აი ამისთანა საქმე უქნა ამ მშვენიერ და ნაყოფიან სიღნაღის მაზრის კურჭულს შარშანდელმა გვალვამ და სეტყვამ“.

რედაქტორი თხოვნით მიმართავდა ყველას, დახმარების ხელი გაეწვდინათ ქიზიყელთათვის.

ორი თვის შემდეგ ს. მესხი კმაყოფილებით აუწყებდა მკითხველს, რომ „დროების“ მიმართვამ დადებითი შედეგი გამოიღო, რედაქციაში შემოწირულობანი უწყვეტად იგზავნებოდა, შემოწირველთა გვარებს ს. მესხი გაზეთში აქვეყნებდა, შეგროვდა 500 მანეთზე მეტი დამშეულ ქიზიყელთათვის. „რამდენადაც გეახსოვს, ეს პირველი შემთხვევაა“, – აუწყებდა მკითხველს ს. მესხი და ყველაზე დიდ შედეგად ის მიაჩნდა, რომ „პირდაპირი სარგებლობის მოტანის გარდა, ამგვარ დახმარებას სხვა სიკეთეც მოსდევს. ის ბაღებს საზოგადოების წევრთა შორის ერთმანეთის იმედს, ნდობას და ძმურ სიყვარულს“, რაც საზოგადო საფიქრალად, საზოგადო ტკივილის მაღამოდ მიაჩნია ქართველების გულგრილობით შეძრულ კუბლიცისტს.

ს. მესხი მეტად მკაცრი და უკომპრომისო იყო საკუთარი თავისადმი. მან კარგად იცოდა, რომ ქვეყნის სამსახური

მსხვერპლს და თავშეწირვას მოითხოვდა, ამიტომ 1873 წელს სწავლის გაღრმავების მიზნით ევროპაში გაემგზავრა. პარიზში იგი მონღოლებით სწავლობდა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას, კომუნართა ბრძოლების პერიპეტიებს, ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, ფრანგულ ფილოსოფიას, საფრანგეთის მჭერმეტყველების ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიას, ოცნებობდა პარიზში რევოლუციის დაწყებაზე და „თუ ღეთის მადლით, რევოლუცია მოხდა... ჩვენს კვარტალში საუკეთესო ბარიკადს გაემართავთო“, – ირწმუნებოდა, რესპუბლიკის გამარჯვებას და გარბაღდთან შეხვედრას ნატრობდა, ჟენევის კონგრესზე დასწრებას ეშურებოდა. ამასთან, როდესაც ფრანგი რესპუბლიკელების – გამბეტასა და ლოკრუას – გაცნობის შანსი გაუჩნდა, უკან დაიხია და შემდეგი საგულისხმო მიზეზით ახსნა თავშეკავება: „საფრანგეთის ბელი რესპუბლიკელებს ჩაუვარდებათ ხელში, – წერდა პარიზიდან თავის საცოლეს ეკატერინე მელიქიშვილს, – და იმათი მეგობრობა და გაცნობა ჩვენი ქვეყნისათვის უნაყოფოდ არ ჩაივლის, მაგრამ, საუბედუროდ, ენა არ ვიცი, და მე, საქართველოს ერთი გაზეთის რედაქტორს სრულებით არა მსურს, რომ გონება გაუხსნელად ვენივნო აქაურ რესპუბლიკელებს“. ამ სიტყვებში დიდ სინანულთან ერთად ს. მესხის დიდი პასუხისმგებლობაც ჩანს, რაც მის პიროვნულ ხიბლს აძლიერებს.

პარიზში სწავლის წელიწადი და ორი თვე საქართველოს მომავალზე ფიქრით იყო სავსე. როგორი ცოდნის შეტანა იქნება უპირატესი გაზეთის გზით, როგორ გამოსცეს „დროება“ კვირაში ჯერ სამჯერ, შემდეგ ყოველდღიურად, როგორ გააცნოს ქართველ მკითხველს ევროპაში გამოჩენილი პიროვნებების – მადამ როლანის, ეანა დარკის, ჟორჟ ზანდის, დაეიდ ლივინგსტონის, გარბაღდის, გიორგი ვაშინგტონის, რობერტ ოუენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთული გზა, მათი ვინაობა, მათი მსახურება სამშობლო – ქვეყნისადმი. საფრანგეთიდან თბილისში გზავნის პარიზული ცხოვრების წერილმან-მსხვილმანის შემცველ კორესპონდენციებს სათაურით – „ქართველი ევროპაში. ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“. თბილისურ ცხოვრებაზე ფიქრი არ შორდება. „როგორც მწყურვალს წყალი, ისე მომინდება ხანდისხან თფილისში ყოფნა, გაზეთის ხელში ჩაგდება, მოწინავე სტატიების წერა, საზოგადოებაში ლაპარაკის აღძვრა, გაზეთის გაცხოველება“, – წერდა ჟენევაში თავის საცოლეს. „დროება“



და მისი ბედი ხომ მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. „დროება“, „დროება“! მომწერეთ მის შესახებ, გამოიგზავნეთ გაზეთის ნომრები“, – ითხოვდა პარიზიდან, გული წყლებოდა, რომ თბილისში დარჩენილები „დროებას“ უფერულს და უსახურს გამოცემდნენ.

საყურადღებოა ს. მესხის თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ რას უნდა ითხოვდეს საზოგადოება პიროვნებისაგან. „ყოველი კაცისაგან ჩვენი საქმისათვის მხოლოდ იმის გამოტანას უნდა ვთხოვლობდეთ და ესცდილობდეთ, რისიც მოცემა იმას შეუძლია. თუ კაცი ჭკვიანია, ჩვენ იმის ჭკვით უნდა ვსარგებლობდეთ საზოგადო საქმისათვის, თუ მდიდარია და ჭკეაზე სუსტია, არა უშავს რა, ჩვენთვის, როგორც ყოველი საზოგადო საქმის წაძყვანისათვის, ფულებიც აუცილებლად საჭიროა და იმის ფულებიც უნდა ვისარგებლოთ, თუ შეიძლება. ამიტომ მდიდარ ახალგაზრდებს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ იმნაირად მივმართოთ იმათი ჭკუა, რომ თავიანთი შეძლება საზოგადო საქმეებისათვის არ დაიშეორონ“ (ს. მესხი, წერილები).

1874 წლის სექტემბერში ს. მესხი სამშობლოში გამოემგზავრა. პარიზიდან ჯერ პეტერბურგს ჩაჰვიდა (უსახსროდ დარჩენილს 16 კაპიკი და თამარ მეფის თანწაღებული სურათი ჩამოჰყვა პეტრეს ქალაქში), შემდეგ ნასესხები თანხით თბილისამდე ჩამოაღწია.

1874 წლის 4 ოქტომბერს ს. მესხი გულში ჩამწედომი სტატიით – „სალამი“ – მონატრებულ მკითხველს მიეახლა, სათუთად აუხსნა ერთ წელზე მეტი ხნით განშორების დიდი ნაღველი, ისიც გულწრფელად მოუთხრო, რომ სხვა ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებაზე დაკვირვებამ ბევრი დასკვნის გამოტანის უფლება მისცა. რა ხდება საქართველოში? „ისევ ის მიძინებული საზოგადო ცხოვრება, ისევ ძველებური წერილმანი სარგებლობისა და ინტერესებისათვის თავგანწირული ბრძოლა, ისევ ძველებური უთანხმოება, შფოთი და განხეთქილება თანამემამულეებს შორის! საზოგადო საქმეების ნაცვლად – პიროვნული, სიყვარულის ნაცვლად – სიძულვილი, შრომის ნაცვლად – უზრუნველობა, იმედის ნაცვლად – სასოწარკვეთილება!... უცხო ქვეყნებისა და ხალხების დანახვამ ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო მომეტებულად შემაყვარა. ამათი ცხოვრების გაცნობამ საუკე-

თესო მომავლის იმედი და მომეტებული ენერგია აღძრა ჩემში!“ (ს. მესხი, „საღამი“).

უცხოეთიდან ჩამოსვლისთანავე ს. მესხი „დროების“ პერიოდულობის გაზრდას ცდილობს. კარგად აქვს შეგნებული, რომ „ჯერ ითქმება რამე და მერე იქმნება“. თქმა გაზეთის გამოკვირაში სამჯერ უფრო მარჯვეა, ვიდრე ერთხელო და გაზეთის შემოქმედების გამოყენება საზოგადოების აღმზრდელის, დამრიგებლის და გზის გამკვალავის ფუნქციითაც სურს, იგი რედაქციის გარშემო საუკეთესო ძალების შემოკრებას ახერხებს. „აღმოსავლეთს ილიკოს (ილია ჭავჭავაძის – დ. ჩ.) შემწევობით დავიპყრობ და დასავლეთს აკაკის დახმარებით“, – უზიარებს განზრახვას ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილს შვეიცარიაში გაგზავნილ ეპისტოლეში (პირადი წერილების მიწერ-მოწერის ტრადიცია ჩვენს სინამდვილეში ტექნიკის მრავალი „საოცრების“ გაჩენის წყალობით მოიშალა; ქაღალდს მინდობილმა სიტყვამ გარდასული ცხოვრების პირუთენელი მემატინანის ძალა და სურნელი დაკარგა. ამდენად, პროფ. იოსებ ბოცვაძის მიერ სოხუმში მეოცე საუკუნის 50-იან წლებში გამოცემული ს. მესხის „წერილები“, დღეს რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული, გაქრობის გზაზე დამდგარი ეპისტოლარული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშია. ეს წიგნი ცხადად წარმოგვისახავს გასული საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების ჩავლილ პერიპეტიებს).

მართლაც, ს. მესხის დიდი მცდელობით და „გაველნიან პირთა“ ხელშეწყობით (ნამესტნიკის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მუხრანსკიმ ბარონ ნიკოლაის არყოფნის დროს გასცა ნებართვა გაზეთის სამჯერ გამოცემაზე). „დროება“ 1875 წლიდან კვირაში სამჯერ გამოვიდა, ხოლო 1877 წლის იელისში, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემდგომ, ს. მესხმა აიხდინა დიდი ხნის ოცნება და ყოველდღიური გაზეთის გამოცემის ნებართვა მიიღო. მართალია, ყოველდღიური გაზეთის ფორმატი დაპატარავდა, მაგრამ საზოგადოება მუდამდღე იღებდა ს. მესხის „სისხლითა და ცრემლით დანამულ გაზეთს“, რომლის დევიზად რედაქტორმა აქცია პრინციპი – „მოკლედ, მაგრამ ყველაფერზე“.

სერგეი მესხი ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი ჟურნალისტი გახლდათ სამამულო ჟურნალისტიკამცოდნეობაში. ამდენად, საყურადღებოა მისი კონცეფცია პრესის როლისა და

ადგილის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მით უფრო, რომ ეს თვალსაზრისი თვით „დროების“ დამკვიდრების პროცესში იქმნებოდა, „დროებისა“, რომელიც ქართველობას გაზეთის ფუნქციის და პრინციპების შემეცნებას უყალიბებდა.

ს. მესხის განმარტებით, მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, გაზეთიც ხალხს უნდა ემსახურებოდეს, მისი ინტერესებით უნდა სულდგმოვლობდეს.

ასობით და ათასობით ადამიანის ხელშეწყობით და დახმარებით გამოდის გაზეთი განათლებულ ქვეყნებში. საზოგადოებას აინტერესებს გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რაც ხელისმომწერთა სიმრავლით გამოიხატება. რაც უფრო წიგნიერია საზოგადოება, მით უფრო მრავალრიცხოვანია გაზეთის მკითხველი, თორემ გლეხს „არც ეგაზეთება და არც ეწიგნება“.

ს. მესხი საზღვარგარეთული გაზეთების რედაქციების შემადგენლობას და სტრუქტურას რომ აცნობს იმდროინდელ მკითხველს, განუმარტავს: უცხო ქვეყნებში გაზეთის რედაქცია შედგება განყოფილებებისა და მთავარი რედაქტორისაგან. თითოეულ განყოფილებას თავისი რედაქტორი, ანუ რედაქციის მუდმივი თანამშრომელი ჰყავს. მთავარი რედაქტორი გაზეთის იდეურ მიმართულებას ქმნის, განყოფილებათა მიერ წარმოდგენილ მასალებს ერთი იდეით კრავს, ამოწმებს, რომ გაზეთში არ დაიბეჭდოს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია. მუდმივი თანამშრომლების გარდა საზღვარგარეთ გაზეთებს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავთ, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან აწვდიან მასალებს რედაქციას ადგილობრივ საინტერესო ცხოვრებაზე. ამასთან, გაზეთი სპეციალურ კორესპონდენტებს აგზავნის სხვადასხვა ადგილზე საინტერესო ინფორმაციის შესაგროვებლად, სასურველი კორესპონდენტის მოსაპოვებლად. მაგალითად, ინგლისურმა გაზეთმა 1864-66 წლებში სპეციალური კორესპონდენტი მიაყვანა ამერიკაში საომარ მოქმედებებზე პირუთენელი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ამერიკიდან მიღებულ მასალას მარტო ეს ინგლისური გაზეთი ბეჭდავდა. ასევე საფრანგეთის ომიანობის დროს ინგლისურმა გაზეთმა სამი სპეციალური კორესპონდენტი გაგზავნა პარიზს სწორი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამრიგად, რედაქტორი უხსნის „დროების“ მკითხველს, რომ „განათლებული ქვეყნების გაზეთებს აქვთ საშუალება კარგად წაიყვანონ თავიანთი საქმე და საინ-

ტერესო ცნობები და ამბები მიაწოდონ თავის მკითხველებს. ამ საშუალებას (თანამშრომელთა სიმრავლეს – დ. ჩ.) იმათ აძლევს თვითონ საზოგადოება, რომელსაც ეხალისება საკუთარი და სხვა ქვეყნის ამბების შეტყობა და იმიტომ იწერს გაზეთებს. „განათლებულ ქვეყნებში ეს ორი საქმე: გაზეთის სიკეთე და იმის გავრცელება საზოგადოებაში, თითქმის ყოველთვის კუდი კუდზე არიან ერთმანეთზე გადაბმულნი“ („დროების“ აღსარება“).

ს. მესხი საოცარი უბრალოებით აცნობს იმდროინდელ მკითხველს გაზეთის გასაჭირს ქართულ სინამდვილეში: ხელისმომწერთა გულგრილობის გამო „დროების“ რედაქცია გამოუვალ დღეშია, ეკონომიკური სიდუხჭირე ორი თანამშრომლის რჩენის უფლებასაც არ აძლევს გაზეთს, სპეციალური კორესპონდენტის, ან საკუთარი კორესპონდენტის შენახვა ხომ საოცნებოა რედაქციისათვის. 1870 წელს „დროებას“ ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე უძღვებოდნენ, „დროებას“ ჰონორარი არ გაუცია. ს. მესხი ოცნებობს, ორ ქალაქში მაინც ჰყავდეს საკუთარი კორესპონდენტი გაზეთს, მაგრამ საიდან? გულგრილი საზოგადოება გაზეთის საფასურსაც არ უხდის რედაქციას. „დროების“ სამასი ხელისმომწერიდან ასს ჯერაც არ დაუფარავს გაზეთის ვალიო.

ს. მესხი ცდილობს, სათქმელი მიიტანოს საზოგადოების ყურამდე ისე, რომ „საზოგადოების ტვინში კვალი დასტოვოს“. მკითხველები არსად ერთი აზრის და ერთი ფიქრის არ არიან. განათლებულ მკითხველს სხვაგვარი გაზეთი მოსწონს. გაუნათლებელს სხვაგვარი, თავადს თავისი მოთხოვნა აქვს, ვაჭარს – თავისი, მოხუცებულის და ახალგაზრდის ინტერესებიც არ ემთხვევა ერთმანეთს, ყოველი მკითხველი თავის საკითხავს ეძებს გაზეთში, ერთადერთი ქართული გაზეთის ნომერი რომ იგეგმება, – აღნიშნავს რედაქტორი, – „მაშინ იმას არც თავადი ჰყავს მხედველობაში და არც აზნაური, არც გლეხი და არც წინოენიკი, არც ვაჭარი და არც ოჯახის კაცი, – იმას ჰყავს მხედველობაში საშუალო მკითხველი – ქართველი („დროების“ მკითხველები“).

გაზეთს ზემოქმედების დიდი ძალა აქვს, – ირწმუნება ს. მესხი. საზღვარგარეთ საზოგადო სარბიელზე გამოსულ, ან მომავალში გამოსასულელ პიროვნებას დაბეჭდილი მასალით უწევინ პროპაგანდას, იბეჭდება – ბიოგრაფია, მშობლების ვინაობა

და საქმიანობა, თუ რა კარგი ან ცუდი ჩაიდინა სხვადასხვა დროს, ვინ არიან მისი მეგობრები, თუნდ, მტრები. „ერთი სიტყვით, სულ უბრალო, წერილმან გარემოებასაც არ გაუშვებენ იმის ცხოვრებიდამ, საქვეყნოდ რომ არ გამოაცხადონ“. („პოლემიკის მნიშვნელობა“). გაზეთში მასალა კერძო ინტერესებით არ უნდა იკვებებოდეს, იმიტომ კი არ უნდა წერდეს ჟურნალისტი, რომ ხალისი აქვს და თავისი ნაბეჭდის ხილვა სურს, არამედ ყოველ კორესპონდენციას საზოგადო ინტერესი და საზოგადო ზემოქმედების ძალა უნდა ჰქონდეს, – განმარტავს ს. მესხი და ირწმუნება, რომ „დროებაში“ პიროვნული, კერძო მნიშვნელობის კორესპონდენციები არ დაიბეჭდება („გაზეთის თანამშრომელი“). არც იმის შეგვეშინდება, თუ საერთო ინტერესებისათვის „თავმოყვარე კაცების“ მხილება დაგეჭირდება. „სანამ რომელსამე საზოგადო მნიშვნელობის მქონებელ საქმესა ან პირს აქვებდა, მანამ ამ საქმის გამკეთებელთა და პირთა სახეში „დროება“ მშვენიერი, პატიოსანი, ჭკვიანი, სარწმუნო გაზეთი იყო“ („ლიტერატურული პატიოსნება“). დღეს თუ მავანთა მხილება გაბედა, უპატიოსნო გაზეთად გადაიქცევაო; ამის მტკიცება არ არის პროფესიული პატიოსნება, განმარტავს ს. მესხი, – ლიტერატურული (ჟურნალისტური) პატიოსნება მძიმე ხვედრია და „დროების“ რედაქტორს ამ ტვირთის ტარების არ ეშინია, რადგან მტკიცედ სწამს, რომ ადამიანთა ერთობლიობა სხვადასხვა განწყობის, სხვადასხვა მიზნის, სხვადასხვა აზრის და მისწრაფების მქონე ინდივიდებისაგან შედგება; იმიტომ გაზეთს უჩნდება მტერიც. გაზეთმა მათთან პოლემიკაში უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიციის სისწორე, აზრთა შეხლა-შემოხლა, სიმართლის მტკიცების ხელოვნება ჭეშმარიტების მიღწევის საფუძველია... „გაზეთი, რომელსაც მოწინააღმდეგე არა ჰყავს, რომელიც არავის არ სძულს, რომლის პაზრებსა და მიმართულებას ყველა ეთანხმება, ის გაზეთი ან მკედარ საზოგადოებაში უნდა გამოდიოდეს, და ან თვითონ უნდა იყოს მკედარი... რა გაზეთია ის გაზეთი, რომლის პაზრები და მიმართულება ყველას მოსწონს დიდსა და პატარას, გლეხსა და ბატონს, ერისკაცსა და ბერს?“ („ორთავეს“).

ამრიგად, პოზიციათა შეუთავსებლობის დროს ჯანსაღი პოლემიკა, ურთიერთკრიტიკა პატიოსან გზად მიაჩნია ს. მესხს.

არა ლანძღვა-გინება, არა ბინძური სიტყვების კორიანტელი, არა პირადულობით მკითხველის გაბეზრება, არამედ ჯანსაღი ლიტერატურული პაექრობა – გარდუვალია პატიოსანი გაზეთისთვის, უკიუინებს რედაქტორი იმდროინდელ მკითხველს და სწორ პუბლიცისტურ კონცეფციას ამკვიდრებს.

ს. მესხი იზიარებს ლონდონში გამართულ ჟურნალისტთა კრებაზე ავსტრიის ელჩის – გრაფ ბეისტიის გამონათქვამს – „პრესა მეექვსე ნაწილი არის დედამიწისა, გაზეთი სახელმწიფოა სახელმწიფოში“ (გავიხსენოთ პრესის „მეოთხე ხელისუფლებად“ ზედწოდება დღეს). ვის მხარეზეც პრესა დადგება დასაყვლეთის ქვეყნებში, ის გამარჯვებული რჩება; ამიტომ „მმართველობა უნდა დაეკითხოს და ყური უგდოს“ პრესას, ამ მოტივით ცდილობს ევროპაში ხელისუფლება ჟურნალ-გაზეთების გადაბირებას და პრესის კეთილგანწყობის მოპოვებას. „ნეტარ-ხსენებული ნაპოლეონ მესამე ყოველ წელიწადს რამდენსამე მილიონს ხარჯავდა მხოლოდ სულმდაბალი გაზეთების მოსასყიდველად, რომელთა მოვალეობა იყო, რომ იმის მმართველობა ექოთ“. რატომ აქვს გაზეთს ასეთი ძალა? იმიტომ, რომ გაზეთი ნაბეჭდი სიტყვისაგან შედგება, ხოლო სიტყვა პირველქმნილი ტექნიკურია. „პირველად იყო სიტყვა“ და სიტყვით დაფუძნდა ქრისტეს მცნება, სიტყვითვე დამკვიდრდება ყოველივე ახალი ჩვენს ქვეყანაში.

რა მოეთხოვება ქართულ გაზეთს? – სვამს კითხვას ს. მესხი. ქართული გაზეთის ვალია „თვალი გამოაჭყეტინოს ხალხს, წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოადვიდოს, გააგებინოს, რომ ერთს წერტილზე განერება დამღუპველია ხალხისათვის“. („რა მოეთხოვება გაზეთს“).

გაზეთი კუდში კი არ უნდა მიჩანჩალებდეს ცხოვრებას, არამედ წინ უნდა უძღოდეს მას, კი არ ფორთხავდეს, უნდა აღვიძებდეს საზოგადოების მიძინებულ ყოფას, აფხიზლებდეს ახლად გამოღვიძებულს, ყურში ჩასძახოდეს გამარჯვების რწმენას. ერთი რამ გვაკლია ქართველებს, ეს ერთი – თანხმობა და ერთობაა, რომლის აღზრდაც გაზეთმა უნდა იკისროს.

ს. მესხი ქართველთა ეროვნული თვითშეგნების თავდაუზოგავი დამცველია. იგი პუბლიცისტური სიტყვით ცდილობდა ეროვნული თავმოყვარეობის გაღვიძებას, იმ შინაგანი ძალის

„აფეთქებას“, რაც ხალხს კონკრეტულ ერად აყალიბებს და სხვა ერისაგან განასხვავებს, („ჩვენი თავმოყვარეობა“).

ს. მესხის აზრით, მისდროინდელ ქართველს თანდათან დრო და ჯამის კვალობაზე დააკლდა გამორჩეული ეროვნული თავმოყვარეობა, გაუქრა შინაგანი სიამაყე და გაეზარდა კუჭის მოყვარეობა. „მიჩვენეთ, ვის ესმის ეხლა რიგიანათ თავმოყვარეობა? დამისახელებთ, ვის არ მიაჩნია თავმოყვარეობა თავის საკუთარი კუჭის გაძღომით... სიამაყე ხომ აღარც კი ესმით რა არის (სიამაყე ჩვენ მხოლოდ ჩვენი შთამომავლობის ტრაბახობათ მიგვაჩნია). ყველა მზათ არის თავის მოძმეს სამარე გაუთხაროს, თუ კი იცის, რომ ამით იმას რაიმე შეემატება“... („ჩვენი თავმოყვარეობა“).

კუჭისმოყვარეობა დამღუპველია ერისთვისო, – ამ აქსიომას ბევრ წერილში სხვადასხვაგვარი პუბლიცისტური ხერხით წამოჭრის ხოლმე ს. მესხი. იგი მოთმინებით, შეგონებით იმ თავმოყვარეობაზე ზემოქმედებას ცდილობს, რომლის აღდგენაც მთელი არსებით სურს, რადგან სჯერა, რომ ერის დაუმონავე სულის, რაინდული შემართებისა და თვითმყოფადობის გენეტიკური კოდის გაქრობა შეუძლებელია!

ქართული ენა ოდითი ენაა ისტორიის ქარტეხილებს გადარჩენილი და ერის საკუთრებად ქცეული. ენა ერის უმთავრესი ციხე-ბურჯია ყოველგან და ყოველთვის. მეცხრამეტე საუკუნის რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით ქართული ენა საკუთარ სამშობლოში ისეთი ძალით იღვენებოდა, რომ, თუ დამცველი არ ეყოლებოდა, ქართველობის გადაშენებას წინ არაფერი დაუდგებოდა. ახალი თაობის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი მშობლიური ენის გადარჩენა იყო, რაშიც ახალი თაობა, უწინარეს ყოვლისა, მამულიშვილური ვალის აღსრულებას ხედავდა. მათ მრავალი საფრთხე ეღობებოდათ, მაგრამ „ის უმაღლესი აზრი, რომ ისინი ასრულებენ კაცური კაცის მოვალეობას, რომ ისინი მუქთად არ გაუზრდია თავის საყვარელ და მანუგეშებელ მამულს. ამაზე მომეტებული ნეტარება კაცისათვის კიდევლა იქნება, რომ ის გრძნობდეს, რომ სასარგებლო არის თავისი ქვეყნისათვის? ეს უნდა იყოს ყოველი კაცის იდეალი და ცხოვრების დანიშნულება“... – ამ სამოქმედო პრინციპით ს. მესხი ქართული ენის ერთგული ჭირისუფალი და კალამშემართული ქომაგი იყო რედაქტორობის თოთხმეტი წლის მანძილზე.

ახალგაზრდობის აღზრდა მშობლიურ ენაზე უნდა ხდებოდეს, – აქსიომად ქცეული ეს პრინციპი ს. მესხისთვის სამოქმედო პროგრამა იყო. გაზეთში იგი პერმანენტულად ბეჭდავდა სტატიებს, შენიშვნებს, წერილებს თუ კორესპონდენციებს იმ უდავო ჭეშმარიტებაზე, რომ მოზარდმა პირველდაწყებითი განათლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს. ეს მაშინ, როცა სასწავლებლებში ქართული ენა იღვევებოდა, ქართული ჟურნალ-გაზეთების თუ წიგნების კითხვისათვის მოსწავლეებს სჯიდნენ და სასწავლებლიდან რიცხავდნენ. სწავლის დაწყება მშობლიურ ენაზე არა მხოლოდ აღზრდის პრინციპებით არის მართებული, წერდა ს. მესხი, არამედ თვით ერის ხეაღინდელი დღით არის ნაკარნახევი. „ამისთანა დროში ცოტათი უფრო გარდამეტებული მამულის სიყვარულიც უაღაგო არ არის“ („ორთავეს“).

ცარიზმის პოლიტიკა – „გათიშე და იბატონე“, – უწინარესად, ენის დევნით იწყებოდა, რადგანაც „უხენაეს ხელისუფალთ“ იმის სწავლა არ სჭირდებოდათ, რომ სწორედ ენა იყო ეროვნულობის საყრდენი და ფუძეთა ფუძე. ამიტომ 1872 წელს რუსულ გაზეთ „კაეკაზ“-ში გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიაში გამოთქმულ თვალსაზრისს „ხეპრულს და უაზროს“ უწოდებს და ნაცარტუტად აქცევს ამ სტატიის ლაიტმოტივს: „ადგილობრივი ენების სწავლება კაეკასიის სასწავლებლებში საჭირო არ არის ... კაეკასიის წყრილი ერებისათვის აუცილებლათ საჭიროა, თაეი დაანებონ მშობლიურ ენებს, თუ წარმატება და ყოვლის მხრით რუსეთთან გათანასწოლება ქსურთ, რუსული ენა და ცივილიზაცია შეითვისონო“ („რუსული გაზეთის აზრი წერილ ხალხებსა და სამშობლო ენებზე“). ს. მესხის კალამი დაუნდობელია ასეთი დიდმპყრობელური პოზიციის მიმართ.

გიორგი მუხრანსკიმ 1872 წელს გაზეთ „კაეკაზის“ დამატებად დაბეჭდა ბროშურა, რომლის ძირითადი აზრი შემდეგია: მცირერიცხოვანმა ხალხებმა ნებაყოფლობით უარი უნდა თქვან საკუთარ ენაზე, შეითვისონ მრავალრიცხოვანი ხალხების ენა და შეუერთდნენ დიდ ერებს, „თვითონ წერილი ხალხები თავის-თავისა და საზოგადოთ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის უნდა სამუდამოთ გაქქრენ და აღირიცხონ დედა-მიწიდანო“.

დინჯი და მიზანმიმართულია ს. მესხის პასუხის ტონი, დამაჯერებელი და არგუმენტირებულია ძირითადი სათქმელი: „პატარა



ხალხები უნდა „გაუქმდნენო“, იმათი ენა უნდა მოისპოს და თვითონ იმათ დიდი ხალხების ენა უნდა შეითვისონო... ავტორს ხალხი და მათი ენა რომელისაზე დეპარტამენტის თანამდებობათ მიაჩნია! თითქო ხალხის ენის გაუქმება ისე ადვილი და შესაძლებელი იყოს, როგორც რომელისაზე თანამდებობისა დეპარტამენტში!“ ს. მესხი ხმაძალდა აცხადებს, რომ მშობლიური ენა ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის და მისი წართმევა სიცოცხლის წართმევას უდრის, რისთვისაც თავის შეწირვა ხალხს უყოყმანოდ შეუძლია. ხალხი მცირერიცხოვანი იქნება, თუ მრავალრიცხოვანი, ენას არსებობის ფორმად იყენებს, თავისი თვითმყოფადობის დასტურად აღიარებს, ენაში ამჟღავნებს ხასიათს, თვისებას, თავისუფლებისაკენ სწრაფვას; ხალხის მრავალრიცხოვნობა ერის განათლებულობას სრულიად არ ნიშნავს. მრავალრიცხოვანი ინდივიდი ვერასდროს გახდება მცირერიცხოვანი ინგლისის დონის, ასევე ვერ შეედრება განათლებით მრავალრიცხოვანი ჩინეთი და მცირერიცხოვანი შვეიცარია, მრავალრიცხოვანი იაპონია და მცირერიცხოვანი ბელგია. რიცხვით სიმრავლე ვერ იქმნ განათლების ხარისხს. მცირერიცხოვნობა – არ ნიშნავს გაუნათლებლობას. ასე რომ, რიცხვით მრავალი ერები რიცხვით მცირე ერების „გაუქმებას“ არ უნდა ცდილობდნენ, ეს „მცდელობა“ უნაყოფო ოცნებაა. ერი ერად ყოფნაზე ნებაყოფლობით არ იტყვის უარს. ენა ერის საზომ-საწონი და სახლაოა.

მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლება გაზეთის დიდი განსჯისა და მსჯელობის საგანი იყო. ს. მესხი მკითხველებს იმაზეც ესაუბრებოდა, თუ როგორი განათლება იყო საჭირო იმდროინდელ საქართველოში – კლასიკური, თუ რეალური? – ერთიცა და მეორეც! ამასთან კლასიკურ, თუ რეალურ სასწავლებლებში ქალები და ვაჟები ერთ მერხზე უნდა იხსდნენ, ერთად უნდა სწავლობდნენ, ფიქრობდა ს. მესხი, რაც ბოლოს მოუღებდა მათ გაუცხოებას და ხელს შეუწყობდა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებას.

ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ქართულ ცხოვრებას ახალი ენერგიით მუხტავდა, ქალთათვის უფლებების მოპოვება ახალი კალაპოტით მიაქანებდა იმდროინდელ სინამდვილეს. ს. მესხი ქალთა განათლების დამცველი და ქალთა უფლებებისათვის დაუღალავი მებრძოლი

იყო. იგი იმდროინდელ საზოგადოებას ხმამაღლა აუწყებდა, რომ „ქალიც კაცია და იმასაც „კაცური“ უფლება – ადამიანურათ და არა პირუტყვეულათ არსებობისა უნდა ჰქონდესო“ („რა დაუპარგავს ქალებს და რას დაემებენ ისინი“). გაუხსენით ქალებს შებორკილი ხელ-ფეხი, მიეცით უმაღლესში სწავლის უფლება, დააწაფეთ ცოდნას და მამაკაცებზე არანაკლებ ჰკვიან, განათლებულ და საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებად ჩამოყალიბდებიან, მიეცით კაცების გვერდით დგომის უფლება, გაუფართოეთ პორიზონტი, მარტო შეილოსნობისთვის რომ არ გაჩენილან, – ეს რწმენა ჩაუნერგეთ და როგორი ჯანსაღი ძალა შექმატება ჩვენს საზოგადოებას, მაშინ მიხედვებითო.

ს. მესხის პუბლიცისტიკაში დიდი ადგილი ეთმობა მსჯელობას საქართველოში რკინიგზის გაყვანის აუცილებლობისა და ქვეყნისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ. 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძის ინიციატივით დაწყებული ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება როდი ჰქონდათ. ყოველი ახალი ხომ კითხვის ნიშნებს და განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოშობს ხოლმე. ასე იყო მაშინაც. ზოგი ფიქრობდა, რომ ეს „ცეცხლის გემი“ უცხოელი კაპიტალისტებისთვის იქნებოდა სარფიანი, რადგან ისინი საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს ადვილად გაიტანდნენ მის ფარგლებს გარეთ, ზოგსაც მხოლოდ ვაჭართა გამდიდრების წყაროდ ესახებოდა ახალი ცხოვრების დასტურად შემოჭრილი ეს პირველი მერცხალი. ს. მესხი განუმარტავდა იმდროინდელ მკითხველს, რომ რკინიგზა „ერთმანეთზე დაშორებულ მცხოვრებლებს გაუადვილებს მისულა-მოსულას, ალებ-მეცემობას, განაღვიძებს ვაჭრობას და ერთის სიტყვით, შეუმსუბუქებს მათ ყოველგვარ კავშირს“ („ფოთი-თფილისის რკინის გზა“). მაგრამ უმთავრესი სიკეთე, ს. მესხის აზრით, არის ზნეობითი მხარე ამ დიდი საქმისა, რომ ქართლელები, იმერლები, გურულები და მეგრელები „ჩვენი ნაჭერ-ნაჭერათ დაკუწული ქვეყნის მცხოვრებლები, ერთის მამა-პაპის შვილები“ ურთიერთს შეიცნობენ, ურთიერთს დაუახლოვდებიან, ურთიერთის ჭირითა და ლხინით დაიმუხტებიან: „ჩვენ ერთ ბედ ქვეშ მყოფთა, ერთმანეთთან მისულა-მოსულა და კავშირი არ გექონდა. ქართლელმა კახეთის ხასიათი და ცხოვრება არ იცის, კახელმა იმერელის, იმერელმა მეგრალის, მეგრელმა გურულის და საზოგადოთ ყველანი

ერთმანეთს ვერ იცნობენ... ეს რკინის გზა ცოტა არის მაინც მოსპობს ამ ჩვენი მოძქეების ერთმანეთთან გაუგებლობას და განცალკევებას და მომეტებულ კავშირსა და ერთობას დაამკვიდრებს მოძქე ხალხებს შორის“ („ფოთი-თფილისის რკინის გზა“).

როდესაც კახეთში რკინიგზის გაყენის აუცილებლობის საკითხი დადგა, ს. მესხი საზოგადოებას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა, რკინიგზის ტრაექტორიის სწორ შერჩევაზე უმახვილებდა ყურადღებას.

რკინიგზის სიკეთე დიდია, მისი გაყენა – აუცილებელი, ამერიკის მცხოვრებთა დაახლოება, ზნეობრივი სრულყოფა, თუ ეკონომიკური წარმატება რკინიგზით დანიჭარდება და სხვაგვარი ცხოვრების საფუძვლად შეიქმნებაო, – სჯეროდა ს. მესხს.

სხარტი პოლემიკური სტილით გამოირჩევა ს. მესხის პუბლიცისტიკა, როცა ბანკის თემა მომძლავრდა გაზეთში. „ბანკონიადა“ ქართული ყოფის არსებითი მუხტია, ქართული ენერჯის სისხლსავესე ძარღვია მგრძნობიარე, ფეთქებადი ისტორიით. ს. მესხის თვალსაწიერი ღრმად სწვდება ქართული ბანკის ასაველ-დასაველს და ხშირად განსხვავებულ, კრიტიკულ თვალსაზრისს გამოთქვამს თბილისის თუ ქუთაისის ბანკების გამართვისა და საქმიანობის გამო. მისი მსჯელობის საფუძველია ბანკით ქართული საქმის კეთება, ეროვნული კეთილდღეობის მიღწევა, პაექრობა საქმიანი, არსებითი, მამულიშვილის პოზიციიდან მიმდინარეობს. ს. მესხის ძირითადი პოსტულატი შეიძლება: „ბანკის დაარსება ისეთი საზოგადო საქმეა, რომელშიც ჯიბრს, ერთმანეთში უთანხმოებას და ხარბობას არ უნდა ქონდეს ადგილი... ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ყველანი პირად სარგებლობას მივსდევთ. ჩვენ არ გვაქვს სურვილი და ხალისი, რომ ჩვენი მოძმის ბედნიერება და კეთილდღეობა ჩვენივე პირადი კეთილდღეობა და ბედნიერებაა“ („თბილისის გუბერნიის აზნაურების საზოგადო ბანკი“). ბანკმა ქართველი ინტელიგენციის დიდი ენერჯია შეიწირა, რადგან აზრთა ურთიერთდაპირისპირება ჩასახვის დღიდან თან სდევდა საბანკო საქმიანობას.

1877 წლის ნოემბრიდან „დროებაში“ სოლოლაკელის ფსევდონიმით იბეჭდება კვირის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტების ანალიზი სათაურით – „მასლაათი“. „მასლაათი“ საკვირაო საკითხავი იყო გაზეთში. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა და დინჯ მუსაიფს, მშვიდობიან საუბარს ნიშნავს.

„მასლაათის“ პრობლემათა რკალი ორად იყოფა: საგარეო საკითხებზე და საშინაო ცხოვრების აე-კარგზე – „აქეთურ-იქეთურზე“ სერიოზული მსჯელობა. „მასლაათის“ ავტორმა კარგად იცის, რომ ცხოვრება ბრძოლაა, რომელიც „ქვეყნის დაარსებიდამევე არ შეწყვეტილა და არც შეწყდება“. ბრძოლას ძლიერი წარმართავს და იგებს, სიძლიერე ცოდნით იჭედება, ცოდნა იმარჯვებს, რაც ცხოვრების კანონზომიერებაა, ამ კანონზომიერებას განსახლურავს რეალობა. „მასლაათში“ ს. მესხი ქართველთა საქმიანობასა თუ საზოგადო ყოფაში მომხდარ მნიშვნელოვან, თუ უმნიშვნელო ფაქტებზე მსჯელობს, მაგრამ გულისტკივილით წერს, რომ საზოგადოებრივი ქედრადობის პრობლემებზე საუბარი ყოველთვის „ჩურჩულით იწყება და ჩურჩულითვე თავდებაო“ („მასლაათი“).

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემოერთებულ „ოსმალის საქართველოს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „მასლაათის“ პრობლემატიკაში. ამ მხარეს მზრუნველობა და ყურადღება ესაჭიროება, „ხალხი სამი წელიწადია დაიარაღებული ფეხზე დგას. ამ ხნის განმავლობაში იმას არც უხნავს, არც უთესია, და, მაშასადამე, არც არა მოუჩქია“ („მასლაათი“). ეს მხარე შეეკლას ელის, საჭიროა შემოერთებული ქართველების მატერიალური დახმარება, მორალური თანადგომა, ზნეობრივი მფარველობა, რაც ხვალინდელი დღის ფიქრის სათავე და ეროვნული სატკივარია ქართველებისათვისო.

„მასლაათის“ მწვავე მახვილი მიმართულია გაზეთ „ობზორისა“ და მისი რედაქტორის – ნიკო ნიკოლაძის წინააღმდეგ. პოლემიკის ქვაკუთხედია პრობლემა – საჭიროა თუ არა გაზეთი რუსულ ენაზე, უნდა წეროს თუ არა ქართველმა ჟურნალისტმა რუსულად...

ს. მესხის პოლემიკური ტონი ზოგჯერ მოუზომავე და დაუნდობელია. საკითხის დასმით, მსჯელობის თანმიმდევრობით, პუბლიცისტური ოსტატობით „მასლაათი“ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

ს. მესხი დიდი ტაქტითა და მონდომებით სხვადასხვა ხალხების კონსოლიდაციასა და სხვა ერის პატივისცემას უქადაგებდა იმდროინდელ მკითხველს. მისი კორესპონდენციები, წერილები და ფელეტონები იმ უდავო ჭეშმარიტებას ამკვიდრებდნენ, რომ

ხალხთა შორის მტრობა და შუღლი დამღუპველია როგორც ძლიერი, ასევე სუსტი ერისათვის. „ყველასათვის, ვისაც ყურთასმენა აქვს გასაგონებლათ და ტვინი გასაგებათ, — წერდა ს. მესხი — ვაცხადებთ: ჩვენ (ე.ი. ქართველები — დ.ჩ.) არც ერთი ხალხის მტერი არა ვართ, რადგან კარგათ გვესმის, რომ ხალხი ყოველთვის უბრალოა იმ, ხშირათ საძაგელ საქმეებში, რომელსაც ზოგიერთი იმის წარმომადგენელი ჩაღიან, კარგათ ვიცით, რომ ჩვენ, კავკასიაში, ყველას საზოგადო სასიხარულო ან სადარდებელი ბედი გვაქვს, გვესმის, რომ ჩვენ, ერთათ მცხოვრებთა, ერთი ჭაპანი უნდა გვით“ („რისთვის გეიწყრებიან?“).

ს. მესხი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ვართ მტერი ყველასი, ვინც ხალხს სწავრავს, ვინც ადამიანის კაცურ ღირსებას ამცირებს“ („რისთვის გეიწყრებიან?“). განსაკუთრებით გამოარჩევს ს. მესხი ებრაელთა უუფლებო ყოფას რუსეთის იმპერიაში. ამ დევნილ და შევიწროებულ ერს საქართველოში უხსოვარი დროიდან უცხოვრია, საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობა ამ ცოდო-მადლით საგსე მიწაზე, რომელსაც ჩვენი სამშობლო — საქართველო ჰქვია და რომლის კალთებ ქვეშ თავშეფარებულ ებრაელ ხალხს მეორე სამშობლო უპოვია. მათი უფლებების დაცვა ერეკლე მეორეს ტრაქტატის საგანგებო პუნქტადაც ჰქონია შეტანილი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროსო. ს. მესხი სიხარულით აუწყებდა საზოგადოებას, რომ რუსეთის იმპერიაში მზადდება კანონი, რომლითაც ებრაელებს „დასახლებისა და ცხოვრების კანონიერი უფლება მიეცემათ“ („ებრაელების შესახებ“). რედაქტორის ტონი ღინჯი და გულში ჩამწვდომია, მთავარი სათქმელი წინ აქვს პუბლიცისტს, ამიტომ მკითხველს განაწყობს ყურადღებით წაიკითხოს პუბლიკაცია: „თუ ებრაელს მოქალაქის უფლება ექნება მინიჭებული, თუ კანონი და ხალხი ისე შეხედავს, როგორც ადამიანს, დარწმუნებული იყავით, რომ ისიც კანონიერს და კაცურს გზას დაადგება, დაანებებს თავს იმ საძაგელ გზებსა, იმ იდუმალათ ქრისტიანების მოტყუებასა და დაჩაგვრის სურვილსა, რომელიც ახლა მიყენებული შევიწროების შურის საძიებლათ გადაქცევი“ („ებრაელების შესახებ“). ძალადობა და უუფლებობა ხალხის უკუქმედებას იწვევს. ებრაელებს პოლიტიკური, სოციალური და ადამიანის ღირსების გამომხატველი

სხვა უფლებები კანონით თუ ექნებათ მინიჭებული ისე, როგორც საფრანგეთშია, ებრაელობაც სხვაგვარი გახდება. ს. მესხის არგუმენტაცია შემდეგია, – მიეცით კანონით თანასწორი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები ებრაელ ხალხს, პატივი მიაგეთ მათ პიროვნულ ღირსებებს და „ებრაელები ისეთივე თანამოქალაქენი და თანა-მოძმენი შეიქნებიან ქრისტიანებისა, როგორც ჩვენ ვართ ერთმანეთში“ („ებრაელების შესახებ“).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობასა და შედეგებზე ს. მესხის მსჯელობა. ამ ომში რუსეთის გამარჯვებამ ძირძველი ქართული კუთხე – აჭარა – სამსაუკუნოვანი განშორების შემდგომ დედა – საქართველოს შემოუერთა. დიდია „დროებისა“ და მისი რედაქტორის ღვაწლი შემოერთებული აჭარლების საფიქრალ – სატიკივარზე ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნის საქმეში. ამ ომის დაწყებისთანავე ს. მესხი სამხედრო კორესპონდენტად გაემგზავრა ქართულ ნაწილებთან ერთად აჭარის დასაბრუნებლად და ერთ-ერთმა პირველმა პუბლიცისტთაგან დაადგა ყვები დედა-სამშობლოს სამი საუკუნის მანძილზე მოწყვეტილ განუმეორებელ ქართულ კუთხეს, რომლის შემოერთებაც უდიდეს ბედნიერებად, დაკარგულ ძმებთან ნანატრ დაბრუნებად მიიჩნია. აღვლევების გარეშე ვერ წაიკითხავ დღეს ყურადსაღებ ინფორმაციას რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის შესახებ, რაც „დროებაში“ იბეჭდებოდა სპეციალური რუბრიკით – „ომის საქმე“ და „ოსმალოს-საქართველო“. „ს. მ.“-ს ხელმოწერით აქვეყნებდა ქობულეთისა და ბათუმის მისაღვომებიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს, რომელთა პათოსი იყო ახლადშემოერთებული თანამოძმეების კარგად გაცნობა, ერთობის, ურთიერთგაგების, დახმარებისა და მზრუნველობის გამოჩენა იმის მიუხედავად, რომელი ღმერთის მადიდებელი იქნებოდნენ ისინი, რადგანაც ბედის უკუღმართობით იქცნენ აჭარელები მაჰმადიანებად, თორემ ამ ქვეყანაზე ქართველებად დაიბადნენ და რწმენა შემდეგ მოახვიეს თავს, რაც სინდისის თავისუფლებას უკავშირდება. ამიტომაც, ბურთი და მოედანი ახლა დიპლომატიას დარჩაო: „ტკბილი სიტყვითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლმადიდებლობას... სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი“ („ახალი მოვალეობა“).

ს. მესხი კალამმომარჯვებული თვალყურს ადევნებდა აწიოკებული ბათუმისა და ქობულეთის ცხოვრებას. ბათუმი ტიპური აზიური ქალაქიაო, წერდა გამოგზავნილ კორესპონდენციაში. ამ ზღვისპირა ქალაქში სისუფთავე და ევროპული სიფაქიზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა „ქალაქი სულ მთლად ბოლო მოღებულა... ქუჩებში, მოედნებზე, ზღვის ნაპირის სიღამაზე კოჭებამდის ნაგავი, მტვერი, ყოველნაირი სიმყრალე...“ („ბათუმისკენ“), ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობა ტოვებდა მამა-პაპათა მიწას, მონაგარს, საცხოვრისს და ოსმალეთში გადასახლებას ცდილობდა. მიზეზი ბევრი იყო, მათ შორის განსაკუთრებით რუსებისადმი უნდობლობა, რჯულის ხელყოფის შიში მძლავრობდა. დევნისა და შეურაცხყოფის შიშის გარდა, ბათუმისა და ქობულეთის მკვიდრთ აფთხოვდა ურთიერთობებიც. კიდევ ერთი საფრთხე გაჩნდა: „ოსმალს საქართველოდან“ აჭარლების აყრის შედეგად („მუხაჯირობის“ დროს) უცხოტომელები დაიძრნენ ბათუმსა და ქობულეთში მიტოვებული სახლებისა და დაცარიელებული მიწების მუქთად ხელში ჩასაგდებად, რაც ს. მესხმა განგაშით აუწყა „დროების“ მკითხველთ: ამიტომ, ს. მესხის აზრით, მიტოვებული მიწები და სახლები თუ გაიყიდება, ადგილობრივმა მთავრობამ ისინი უნდა მეგრელებს და გურულებს მიჰყიდოს „შემსუბუქებული პირობით“. მაგრამ დედა-სამშობლოს საღმრთო ვალია, შეაძლებინოს ბათუმისა და ქობულეთის მცხოვრებთ საკუთარ მიწა-წყალზე დარჩენა!

საყურადღებოა, აჭარიდან ჩამოსული პირველი დეკუტაციის წევრებთან – შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან და უფ. მიხეილ მეფოსოვთან შეხვედრის რეპორტაჟი, რომელიც 1878 წლის 19 ივნისს თბილისში, „დროების“ გამომცემელ სტ. მელიქიშვილის ოჯახში შედგა, რასაც ს. მესხი დაწერილებით აღწერს. აჭარელთა მთავარი სათხოვარია – „განათლებლი უჭირვება, ბატონო, ამათ (აჭარლებს – დ. ჩ.). ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგი აქ მოიყვენეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ისე უნდა... აბა, რა მმა ხართ, თუ ისე აბდღურად დატოვებთ?!“ („ერთი სადილი შერიფ-ბეგთან“). დიდი ინტერესით იკითხება დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით თბილისში, მუხრანსკის სასახლის დიდ დარბაზში გამართული სადილის ანგარიში. ამ თაყვრილობას ესწრებოდა აჭარიდან მოწვეული

16 კაციანი დეპუტაცია და დედაქალაქის საზოგადოების 90 წარმომადგენელი წარმომადგენელი, ვინც გამორჩეული იყო „ჭკუით, შთამომავლობით და ჩინებით“ („სადილი ახლად შემოერთებულ ქართველებისთვის“). წვეულება 1878 წლის 20 ნოემბერს გაიმართა. ეს დღე „დროებაში“ საქართველოს შეერთების დღედ გამოაცხადა.

უნდა აღინიშნოს ს. მესხის ლიტერატურულ-კრიტიკული ესეები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, კრიტიკული მიმოხილვები, ბიბლიოგრაფიები, რომლებიც მის ჟურნალისტურ მემკვიდრეობაში გამოირჩევა კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ყოველმხრივი ანალიზით, მკითხველთა გარკვეული წრისათვის სხარტი განმარტება-მითითებით, წარმოქმნილი ლიტერატურული პროცესების უტყუარი პროგნოზირებით. ს. მესხის „ბიბლიოგრაფიები“ ქართული ლიტერატურული კრიტიკის გარკვეული ეტაპის აღმნიშვნელი კრიტიკული აზროვნების საყურადღებო ნაწილია, ხოლო თეატრალური რეცენზიები იმდროინდელ მკითხველს ასწავლიდა სპექტაკლის არსის შეცნობას, პიესის ავტორის განსაზღვრას, მსახიობის ოსტატობის აღქმას და თეატრალური სანახაობის გაცნობას. აღდგენილი ქართული თეატრის (1879 წ.) ყოველი წარმოდგენის რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობის შეფასება, ქართული თეატრალური დასის წარმატება – წარუმატებლობაზე მასალაათი, მსახიობთა ოსტატობის გარჩევა-დაფასება მესხის პუბლიცისტიკას გამოარჩევს როგორც პროფესიონალის ნაფიქრ-ნააზრეს, პროფესიონალისა, რომელიც თეატრალური წერილებითაც მამულიშვილურ ვალს იხდიდა და იმდროინდელი მთელმხარე საზოგადოების თვალსაწიერის გაფართოებასა და დახვეწას ცდილობდა.

დიდია ს. მესხის რედაქტორობით გამომავალი „დროების“ როლი ქართველთა საფიქრალ-სატკივარის ირგვლივ საზოგადოების გამიზნულად დარაზმვის საქმეში, რაც „დროების“ ათი წლისთავის იუბილზეც საგანგებოდ აღინიშნა. 1876 წლის 4 მარტს ქართველმა საზოგადოებამ თბილისში, მონ-პლეზირის ბაღში საგანგებოდ სადილი გამართა „დროების“ გამოცემიდან 10 წლის საიუბილეოდ, რომელსაც დაესწრო ყველა, ვინც მოისურვა და 5 მანეთი არ დაინანა ბილეთის საყიდლად. ბევრი სიტყვა ითქვა „დროებისა“ და მისი რედაქტორის მამულიშვილურ



რი ღვაწლის აღსანიშნავად. გამორჩეულად მაინც შემდეგი აღინიშნა: „გაზეთს ესმოდა და ესმის სამშობლო ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა ყოველის ხალხისათვის, იმას ესმოდა და ესმის, რომ ლიტერატურა საზოგადოთ და პერიოდული განსაკუთრებით, ძალაა, რომ ყოველმა პატიოსანმა კაცმა ეს ძალა თავის ქვეყნის სასარგებლოდ უნდა მოიხმაროს. („დროება“ 1866-1876 წ.წ.)“ ყოველივეს სულისჩამდგმელი ს. მესხი იყო – რედაქტორი ერთადერთი ევროპული ტიპის გაზეთისა საქართველოში, ქართული უნივერსიტეტის სადარი საქმეების გაძღოლა რომ შეძლო მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში.

„ცრემლითა და სისხლით“ (როგორც ივ. მაჩაბელი ბრძანებდა) დანამული გაზეთის ყოველი ნომრის ხელმძღვანელობამ ს. მესხის ჯანმრთელობა შეარყია. 1883 წლის 22 აპრილს მძიმე სენით დაუძღურებულმა დატოვა რედაქტორის პოსტი, რომელიც სასიქადულო მამულიშიღის – ივანე მაჩაბელს გადასცა. გამოსათხოვარ წერილში – „ჩემს მკითხველს“ – ს. მესხმა შემდეგი ცრემლნარევი სიტყვებით მიმართა თავის სათვალველ მკითხველს: „ვცდილობდი სწორი გზა ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა გამეყვლია და რამდენადაც შემიძლო, კეთილი სამსახური და ერთგულება არ მომეკლო ჩვენის ქვეყნისათვის“ („ჩემს მკითხველს“). ამ ერთობ მოკრძალებულ გამოსათხოვარში ს. მესხის პიროვნების დიდი ღირსება ჩანს, პიროვნებისა, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ყველაფერი რომ სამშობლოს სამსახურ-პლოზე მიიტანა, რათა უსულგულობა გაეღლო და მამულის სამსახურისკენ წარემართა საზოგადოების დიდი ენერგია.

1883 წლის 21 ივლისს „ლიტერატურისათვის წამებული“ (როგორც „დროების“ სარედაქციო განცხადებაში წერდნენ) ს. მესხი ფილტვებით დაავადებული აბასთუმანში გარდაიცვალა. იგი ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე მშობლიურ სოფელ რიონში მესხების საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს. გამოსათხოვარ წერილში „დროება“ წერდა: „სერგეიმ უარპყო პირადი კეთილდღეობა, ტკბილი ცხოვრება ამა სოფლისა და შესწირა თავი მეტად ძნელს, უჩინარს, უმაღურს, მაგრამ მის სამშობლოსათვის ფრთხილად სასარგებლო საქმეს, რომელმაც გაკიცხვისა და ღანძღვის მეტი არც სიმდიდრე, არც პატივი და უბრალო მადლობაც კი არ მისცა მას. სერგეი მუშაობდა თავ-გამოდებით, მანამ არ დაეცა გმირულად, როგორც მხედარი ბრძოლის ველზე.

ჩვენს ერთობ ზნეობაწამხდარ საუკუნეში სერგეი თითქმის ერთად ერთი კაცი იყო, რომელიც მოღვაწეობდა საქმისათვის და არა ტაშისათვის“. დავით სოსლანი კი აღნიშნავდა: სერგეი მესხის ფიზიკური და გონებრივი ძალა „დროების“ თითოეულ ნომერს წვეთ-წვეთად ჩაედვარა და „ესე თითო წვეთად დაშრა, თავს შემოეფლო და მტლად დაედო ჩვენს საზოგადო საქმესო“.

ამრიგად, განუზომელია ს. მესხის პუბლიცისტური მემკვიდრეობის მნიშვნელობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სააზროვნო სივრცეში. პუბლიცისტური სიტყვა ქართული მწერლობის ორგანული ნაწილი და საზოგადოებრივი აზრის შექმნის სრულფასოვანი ბერკეტია. მართალია, ს. მესხს „ზეცით მონაბერი პოეტური ნიჭი“ არ ჰქონია, აღნიშნავდნენ გამოსათხოვარ სიტყვაში, მაგრამ მისი მახვილი და მიზანმიმართული პუბლიცისტური სიტყვა აფხიზლებდა, ზრდიდა და რაზმავდა მკითხველს, მამულის სიყვარულითა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობით აღავსებდა იმდროინდელ საზოგადოებას, პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში ს. მესხის პუბლიცისტური მემკვიდრეობის ჯანსაღი ტრადიცია საფუძვლად დაედო მეოცე საუკუნის სისხლსავსე პუბლიცისტურობას.

„ქართული მწერლობა“, ტ. 18,  
გამომცემლობა „ნაკადული“, 2001.

## ძვეყანამ სანთლად რომ აბინთოს...

(კრელო იოსებ იმედაშვილისა)

ორი საუკუნის (XIX და XX სს.) გასაყარზე დაიწყო იოსებ იმედაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. 1876 წლის მარტში ხაშში (საგარეჯოს რ-ნი), ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულმა, ადრე დაობლებულმა, ცხოვრების ფერხულში მწყემსად შეაბიჯა, 12 წლისა წერა-კითხვას „დაუმეგობრდა“ და თბილისში საზეინკლო სახელოსნოში სიმართლისათვის ბრძოლა ისწავლა. დემოსიდან გამოსულს ნიჭი უფალმა, სიბრძნე – ხალხში აღზრდამ „დააბერტყა“, თვითგანკითარებამ და წიგნის სიყვარულმა დარბაისელ მოაზროვნედ აქცია და ნათლობა „ივერიაში“ მიაღებინა.

იოსებ იმედაშვილი ქართული კულტურისა და სიტყვაკაზმულობის თაედაუზოგავი მსახური გახლდათ. მისი მოთხრობები და პიესები გასაგები და ახლობელი იყო იმ ხალხისათვის, ვინც გარე კახეთის „მაძასახლისთ მამასახლისად“ აირჩია, ვინც 1905 წელს თბილისში ჩამოუძღვა გარე კახეთის შეიარაღებულ დეკლარაციას და მეფისნაცვალს გურიიდან ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის გამოყვანა მოსთხოვა. ეს მოთხოვნა მაშინ დააკმაყოფილეს...

„სცენა და მწერლობა, სახიობა და სიტყვა, – აი, ორი და-ძმა, ორი უძლიერესი ბერკეტი ჩვენი ეროვნული აღორძინებისა“, – სწამდა იოსებ იმედაშვილს და მთელი ცხოვრება სიტყვის მსახური და სცენის ერთგული დარჩა.

იოსებ იმედაშვილის მოღვაწეობის დრო იყო ძნელი, ქვეყნის მომავალი – შეუცნობელი, საზოგადოება – პარტიებად დაყოფილი, ეროვნული ცნობიერება – მიძინებული. რომანოვების უზურპაციისა და ბოლშევიკების „აღზევების“ ხანაში იგი აცხადებდა: „რომელიმე განკერძოებული პარტია, წოდება ჩვენთვის არ არსებობს, ჩვენი რწმენაა ხელოვნების უმაღლეს მოთხოვნილებას – მისწრაფებათა დაცვა და განვითარება იმდენად, რამდენადაც იგი ხალხთა შეერთებას, ამაღლებასა და მათ შორის სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურება“.

1910 წლის 2 იანვარს ქართული თეატრის აღდგენის დღის სახსოვრად იოსებ იმედაშვილმა გამოსცა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც მცირეოდენი ინტერვალებით 1926 წლამდე გამოდიოდა. მეტად ბოზოქარი პერიოდია ეს 16 წელი არა მხოლოდ ქართველი ხალხის ცხოვრებაში: მსოფლიო ომის გაუხადებისობა, თებერვლის რევოლუცია და ორხელისუფლებიანობა რუსეთში, ოქტომბრის რევოლუცია, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იმავე საქართველოში (1921 წ.). – რაც დამანგრეველია ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რადგანაც მოხდა ეროვნული ცნობიერების ხელყოფა, სულიერ ფასეულობათა დევალვაცია. თავსმოხვეული საბჭოთა ხელისუფლების ქამს (1926 წ.) ჟურნალი ერთადერთი კერძო გამოცემა იყო სოციალისტურ სიერცეში, რომელსაც „მიქონდა ხელოვნების ღამპარი ხალხში და მთელი ხალხი მიჰყავდა ხელოვნების ტაძარში“.

ი. იმედაშვილის კრედო იყო: „თუ გინდა, რომ ქვეყანამ სანთლად ავინთოს, ქვეყნის სამსახურში თავი უნდა დასწვა“.

დიდი ილიას მკვლევლობიდან სამიოდე წლის შემდეგ გამოსული „თეატრი და ცხოვრება“ „ივერიის“ ტრადიციების გამგრძელებელი იყო. ჟურნალის მეთაური წერილები, „ივერიის“ მეთაურების მსგავსად, იყო „ხალხური, მარტივი, ნათელი“ (აკაკი). ჟურნალის რუბრიკა „მარცვლები“ ილიას „დამაკვირდის“ ფუნქციას ასრულებდა. რუბრიკა „წერილი ამბები“, „ივერიის“ შეწყვეტილი გზის გაგრძელებას წარმოადგენდა, ხოლო ქართული საეკლესიო თემატიკით ჟურნალის ესოდენ დიდი დაინტერესება, ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისთვის წერილების გამოქვეყნება მაშინ, როცა უღმერთობითა და ათეიზმით სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია „თავს იწონებდა“, ქართული ეროვნული სულის აღორძინების ილიასეული კრედოს („ენა, მამული, სარწმუნოება“) მსგავსად მოიაზრება. თეატრი დღესასწაულია რედაქტორისათვის, დღესასწაული ქართული სატკივართა და სიხარულით, რომელშიც „მსახიობმა ხელოვნება ცხოვრებას უნდა გადააჯაჭვოს, ცხოვრება ხელოვნებას დაუკავშიროს და მით ხალხი ახალ ცხოვრებას აზიაროს“. თეატრი „სათვალსეირო“ და გასართობი როდია მხოლოდ, სცენამ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება უნდა წარმოშვას, აამაღლოს, რადგან იოსებ იმედაშვილის ღრმა რწმენით, „ხელოვნებას სამშობლო

არ აქვს, მთელი ქვეყანაა მისი აკვანი, ყველასათვის ერთია და ყოველთა შემაკავეშირებელია“.

„თეატრი და ცხოვრება“ ქართული თეატრის ორი ბუმბერაზის – კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის დაპირისპირების ამსახველ მასალებსაც ბეჭდავს. ახალგაზრდა მსახიობთა კორპორაცია „დურუჯის“ წარმოშობას რედაქტორი ბუნებრივ პროცესად მიიჩნევდა, თეატრალური ახალგაზრდობის „ძიებებს“ მიესალმებოდა, მაგრამ კონფრონტაციის გზას გამორიცხავდა.

იოსებ იმედაშვილის ჟურნალში წერენ ყველა იმათზე, ვინც ქართულ საქმეს ემსახურებოდა განურჩევლად ეროვნებისა. აღელვების გარეშე ვერ გაეცნობით სოფელ ხაშმის სკოლის აშენებიდან 50 წლისთავეისადმი მიძღვნილ ფოტომატიანეს: სკოლის შენობის ფასადი, მშენებლობის პროგრამის ავტორი – ალ. მოზლოკელი, მასწავლებელი ი. ბაქრაძე (ვინც 24 წელი ასწავლიდა ამ სკოლაში), გლეხები – პ. ლალიძე და ი. ყურკაციშვილი, ვინც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სკოლის შენობის აგებაში.

ფოტოილუსტრაციისა და სიტყვის შერწყმით იოსებ იმედაშვილი ახალ პუბლიცისტურ ესთეტიკას ამკვიდრებდა. ეს ესთეტიკა ემსახურება დაბალი თუ მაღალი წრიდან გამოსული ქართველის პორტრეტის შექმნას. დღეს ეს ფოტომასალა დიდ კრძალვას და მოწიწებას იმსახურებს, რადგანაც ფოტოილუსტრაციებზე მეოცე საუკუნის ათიანი წლების გარდასულ დღეთა და პიროვნებათა საშური ისტორიული მემკვიდრეობაა შემორჩენილი.

ვრცლად მსჯელობს ჟურნალი საქართველოს ერთიანობის პრობლემებზე. იოსებ იმედაშვილი ერთიანი საქართველოს მეხოტბეა. კვირაში ერთხელ გამომავალი ჟურნალის ფურცლებზე წაიკითხავთ საყურადღებო მასალებს კახეთის, ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, განსაკუთრებით აჭარის ყოფა-ცხოვრებაზე, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ საკითხებსა და ტრადიციებზე (ფოტოილუსტრაციებით).

უნდა აღინიშნოს იოსებ იმედაშვილის განსაკუთრებული დამოკიდებულება აჭარისადმი. 1915 წლის 28 ივნისს სპეციალური ნომერი გამოდის, რომლის გარეკანზე მსხვილი შრიფტით აწყობილია „ქართველ მაჰმადიანთა ნომერი“. ბევრ საყურადღებო ფაქტზე მსჯელობს რედაქტორი. მეთაურ წერილში – „სულმა სული იცნო“ – ვკითხულობთ: „დღემდე თუ ის ვერ შეძლეს,

რომ სარწმუნოებით მაჰმადის მიმდევარნი ეროვნულად მოეკლათ, დღეს თვით ხალხმა – როგორც ქრისტიანმა, ისე მაჰმადიანმა ქართველმა, – უნდა გამოიდოს თავი ურთიერთთან დასაახლოებლად“. ამ ურთიერთდაახლოებას იოსებ იმედაშვილმა ბევრი ენერჯია დაახარჯა როგორც საინტერესო საჟურნალო მასალებით, ისე პირადი ურთიერთობებით აჭარის ღირსეულ მამულიშვილებთან. იოსებ იმედაშვილმა იმდროინდელ საზოგადოებას შეახსენა საქართველოსთან აჭარის შემოერთების ისტორია (1878 წ.), თბილისში ჩამოსული აჭარის პირველი დელეგაციის მიღება და 1878 წლის 20 ნოემბრის „შეერთების დღედ“ გამოცხადება გაზეთ „დროების“ მიერ, ასევე თეთრწვერა, დინჯი და გამჭრიახი გულო კაიკაციშვილის გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული ერენის მოედანზე აკაკის ცხედართან 1915 წლის 8 თებერვალს, რომლის დარბაისლურმა ქართულმა, გულისგულიდან ამოთქმულმა მუდარამ, – „თქვენი ძმები ვართ, შავ დროთა წყალობით თქვენგან მოწყვეტილნი, ხელი გამოგვიწოდეთ, შევერთდეთ!“ – მთელ სამგლოვიარო პროცესიას გუგუნით რომ გადაუარა. იოსებ იმედაშვილმა ჟურნალის მკითხველს ტკბილადმოქართულე ხოჯა მუფდი ეფენდი ხალიფაშვილის პორტრეტი მიაწოდა, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ოსმალების ბატონობის დროიდან, ჯამეში ქართულად ქადაგებდა და „ყურანს“ ქართულად უხსნიდა მრევლს, რის გამოც სტამბოლში სამართალში მიუციათ, მაგრამ მას შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს სამსჯავროს წინაშე: „ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართულია, ასე უფრო გავაგებინებ „ყურანის“ სიბრძნესო“. ჟურნალი აქვეყნებდა აგრეთვე ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის მქადაგებელ ჰაიდარ აბაშიძისა და მემედ ბეგ აბაშიძის სიტყვებსა და წერილებს, რომელთა პათოსი – აჭარა საქართველოსთან ერთად – მოწოდებდა გასდევდა ჟურნალს.

საყურადღებოა ჟურნალის სახელწოდების გააზრებაც – თეატრი იოსებ იმედაშვილისათვის საზოგადოების აღზრდისა და გაწვრთნის აკეანია, დიდი ტკივილისა და დიდი სიხარულის ჭიდილია, ადამიანური სისუსტისა თუ სიძლიერის ზეიმი და განა ცხოვრება თეატრი არ არის თავისი არსით, სიყვარულით, ტანჯვით, გამარჯვებითა და დამარცხებით?! თეატრი და ცხოვრება ის რეალობაა იოსებ იმედაშვილისთვის, რომელშიც ცხოვრობს

საზოგადოება, თეატრი ცხოვრებისეულია, ცხოვრება – თეატრალური, ასე შერწყმული მთლიანობა 16 წლის მანძილზე ყოველ კვირა დღეს ქართველ მკითხველს ფრიად ამაღლებულ თვალსაწიერს უშეკიდრებდა.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის  
უნივერსიტეტში წაკითხული მოხსენება,  
17 მაისი, 2002 წ.

## ბილოცავ, ბილოცავ!

ხმა დაირხა, პაატა ნაცელიშვილს მრგვალი თარიღი უსრულდებო. ვიფიქრე, ალბათ, ორმოცი, – მერე დამიზუსტეს, – არა, ორმოცდაათიო. გათენების საინტერესო ხანა დამდგარა შენს ცხოვრებაში მოსალოცი და ამადელეებელი! ჩაეფიქრდი... რა დრო გასულა, ჩემო პაატა, შენი სტუდენტობიდან?! მე კი გუშინდელივით მახსოვს შენი გამხდარი სახე, ანთებული თვალები, უკანა მერხზე ჯდომა, ლექციის ბოლოს შეკითხვები. ერთ-ერთი შეკითხვა ახლაც ყურში ჩამესმის. ვანო მანაბლის რედაქტორობაზე ესაუბრობდი, ახლადგამოქვეყნებული საარქივო მასალები მიმოვიხილე და ბ-ნ ვახტანგ ჭელიძის უმშენიერესი რომანიც მოვიხმე. ვანოს გაუჩინარების ვერსიები ავხსენი, საარქივო წყაროთი „გაგამაგრე“. შენი შეკითხვა ასეთი იყო: „ვინ იყო მართალი ამ დავიდარებაში, ილია თუ ვანო მანაბელი?“ ჩემთვის, ისევე, როგორც გონიერი ყველა ქართველისთვის, ორივე პიროვნება განუმეორებელი და საამაყო, გულში სათუთად სატარებელია დღესაც. „ორივეს თავისი სიმართლე ჰქონდა... ერთს ხასიათის სიმტკიცე შეელოდა, მეორეს – ფეთქებადობა ღუპავდა მეთქი“, ამას ბევრი სხვა განმარტებაც მოჰყვა, ეპიზოდები ჩვენი სახელოვანი წინაპრების ცხოვრებიდან. შენ მისმენდი, ჯგუფიც, რასაკვირველია, მე კი დღემდე ვეძებ პასუხს და გული მწყდება, რატომ მოხდა ყოველივე, რატომ?

ასე, ჩემო პაატა, კიდევ ერთი ეპიზოდი ამოტივტივდა გონებიდან: ერთხელ უნივერსიტეტიდან ერთმანეთს დავემგზავრეთ. შენ პატარა ყმაწვილი გახლდა, ჩემი ძმა არისო, გამაცნანი, მიცკევიჩის ქუჩაზე მივიღივართ, მარკების მოყვარულები იკრიბებიან, შეიძლება რომელიმე გავცვალოთ კიდევ, რაც ჩვენ არ გვაქვსო. გაოცებული დაერინი შენი გატაცებით. მთასვლელობა რომ გიყვარდა, – ვიცოდი, მარკების შეგროვება?! – ახალი აღმოჩენა იყო, მაგრამ შენი „მარკომანია და სხვა“ რომ წაგიკითხე, მივხედი, რატომ ატარებდი თან შენს უმცროს ძამიკოს, მასაც ასწავლიდი იმ დიდ სიბრძნეს, რომ „შემგროვებლის ყველა სახე სასარგებლოა, ნებისმიერი მათგანი რაღაცას მატებს, რაღაცით ამდიდრებს ადამიანს“. შენ



ხომ 12 წლისას ასე უხეშად გატკინეს გული, როცა გაკვეთილზე შენი საყვარელი მარკები გადაგიხიეს?! მე მჯერა შენი: „მარკები მუდამ აკეთებენ თავის კეთილ საქმეს: აჩვენენ ადამიანს ფიქრს, გამოუმუშავენ მას ანალიზის უნარს, ნებისყოფას, მხატვრულ გემოვნებას, აჩვენენ სისტემატურ და ასოციაციურ აზროვნებას“.

არადა, სკოლა ასოციაციური და სისტემატიზებული ცოდნის მიმცემი უნდა იყოს, რასაც დაწყებითი სკოლის პედაგოგები უნდა უყრიდნენ საფუძველს. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ასეთი განსხვავებული მეთოდი „ამონაშვილის პედაგოგიკას“ ახასიათებდა. ის ერთადერთი იყო, რომელიც უნიშნო სწავლებით, თამაშით, წითელი და ღურჯი ბურთების გამოყენებით მოსწავლეს პირველივე კლასიდან პიროვნებად ზრდიდა, საკუთარი აზრის გამოთქმას აჩვენებდა. ეს აზრი არ იყო დაშტამპული, ან მასწავლებლის ნაკარნახევი. ეს იყო პატარა არსების თვალსაზრისი, ოღონდ ასევე ბავშვური სიმართლით ნაკარნახევი და დიდი გულწრფელობით გაჯერებული. I ექსპერიმენტული სკოლის დაწყებით კლასში ნანა ყიფიანის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს პაატა ნაცვლიშვილმა არტისტიკული გაკვეთილი, იმპროვიზაციითა და პედაგოგიური ფეირვერკით საესე, ცოდნის ნამდვილი დღესასწაული უწოდა. დიახ, ეს ასე იყო და ასე არის დღესაც, ოღონდ შალვა ამონაშვილის სახელს დღეს ნაკლებად ახსენებენ. ამ ნარკვევის სათაურია „სწავლის ძირი ტკბილი არის!“ - რაც პაატას მიგნებად მიმანია.

პაატა ნაცვლიშვილს ბევრი „უხეტიალია“ ამ უსწორმასწორო წუთისოფელში. იგი ალპინისტია და მისდევს პრინციპს – „ალპინისტს არა აქვს შეცდომის ან დამარცხების უფლება. მთაში შეცდომა ხშირად სიკვდილით მთავრდება“, (არც ჟურნალისტს აქვს შეცდომის უფლება, ეს კარგად იცის პაატამ და ჟურნალისტური ცხოვრება შეუკვლომლად გაუვლია), რას არ შესჭიდებია?! – ზღვისა და ოკეანის უკიდუგანო სივრცეს (მატროსად გემზე სამი წელი იმუშავა), თვითმფრინავში სიკვდილისთვის თვალეში ჩაუხვდავს („მოდო, ენახოთ თუშეთი“), მენიხბედ შეეგება ტიმ სევერინის „არგოს“ თურქეთის საზღვარზე და ათ ქართველ ნიზოსანთან ერთად „არგო“ ბათუმში შემოიყვანა („მოგზაურობა „არგოთი“), შექმნა „ოლიმპიური ჩემპიონის თეორემა“, „ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე!“. „ქაღალდის წერო“, „ბედნიერი ჭირისუ-

ფალი“, „საქართველოს მიწა“ და ბევრი მშვენიერი წიგნი, რომელთაც საფუძვლად მისი პუბლიცისტური წერილები დაედო.

პროფესიონალი პუბლიცისტის-პაატა ნაცვლიშვილის ნაზრევში მისი გულისა და გონების, ცოდნისა და განათლების ნაჟური დიდი გემოვნებითა და დაწურული ემოციითაა შეკრული, მათში ახლებური ხედვის ნიჭი ძალუმობს, ამიტომაც ასე საინტერესოდ იკითხება ოცზე მეტი წლის წინ შექმნილი პუბლიკაციები დღესაც. მათი გადაკითხვა გარწმუნებს, რომ პაატას წერისა და კითხვის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. არ შეუძლია იმიტომ, რომ როცა პაატა წერს, თხზავს, ქმნის, – მაშინ ცოცხლობს, სიცოცხლე კი ყველაზე დიდი საჩუქარია ცისქვეშეთში!

„დილის გაზეთი“, 17 ოქტომბერი, 2002 წ.

## პრესა და საზოგადოება ნიკო ნიკოლაძის 1879-1880 წლების პუბლიცისტურ წერილებში

1. მე-19 საუკ. 80-იანი წლების ქართულ სინამდვილეს ნ. ნიკოლაძე „ჭიანჭველეთს“ უწოდებდა /ტ. 7, გვ. 378/, ხოლო იმდროინდელ საზოგადოებას – „ბავშვივით მიმნდობ საზოგადოებას“, რომელსაც ხშირად პრესა პურის ნაცველად ქვას აწვდიდა /ტ. 7, გვ. 423/;

2. პრესამ საზოგადოებას „კრაეი სპილოდ არ უნდა წარუდგინოს“, ხრიკიანობა პრესისა ყველა შემთხვევაში მავნებელია, ირწმუნება გამოცდილი ნ. ნიკოლაძე, „წარუხოცველ ლაქად მიეცხება ხოლმე პრესას და აღმოუფხვრელ ზიანს აყენებს მის გაველენას საზოგადოებაზე“ /ტ. 7, გვ. 357/;

3. ნ. ნიკოლაძე ვერ ეგუება საზოგადოების წაყრუებას, გაჩუმებას, „ურთიერთ ქება-დიდებას“ იმ ჯადოქრულ წრეს, რომელშიც იმჟამინდელი ქართული პრესა ჩაიკეტა. პუბლიცისტი ბურჭქებში არ უნდა იმალებოდეს, „ღუმილის შეთქმულება“ უცხო უნდა იყოს საზოგადოებისათვის /ტ. 7, გვ. 373/, მას არ უნდა დაეუფლოს ნაცრისფერი მოთმინება, რომელიც, ბ. ბელინსკის განმარტებით, „სახედრის სათნოებაა“ /ტ. 7, გვ. 427/;

4. როდესაც პუბლიცისტი შემტვეი ტონით ამჟღავნებს ნაკლოვანებათა მიმართ შეურიგებლობას, აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, ქართული პრესის „საყვედპუროდ განსწავლული“ ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელსაც არც გამბედაობა, არც ნებისყოფა, არც ცოდნა არ გააჩნია, რომ საზოგადოების ღირსეული წევრი იყოს, თავს ესხმის ეროვნული ღირსების დამცველთ, რაზეც საზოგადოება დუმს. ეს ღუმილი – მომაკვდინებელია სამომავლოდ პროგრესის გამარჯვებისათვის;

5. ნ. ნიკოლაძე დიდი გულისტკივილით აღნიშნავს საზოგადოების გარინდებას, პრესაში დასმული მტკივნეული საკითხებისადმი წაყრუებას, რაც მას „სამშობლოს ხსნად კი არა, მის მიძინებად მიაჩნია. და თუ ეს კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანს, მაშინ ამგეარ მიძინებას შეიძლება სამუდამო განსვენებაც მოჰყვესო“ /ტ. 7, გვ. 449/;

6. „ერეკნისმოედნელი პუბლიცისტების“ კანის გამოცელამ და „პრესის ღუმლის თეორიის ღალატმა“ ის შედეგი უნდა გამოიღოს, ირწუნება ნ. ნიკოლაძე, რომ საზოგადოებამ შეძლოს ეროვნული თვითშეგნებით მომავალი თაობის აღზრდა, საზოგადოებრივი აზრის წინსვლა, დღევანდელი მხილებით ხვალინდელი დღის შენება.

2002 წლის იენისში ეურნალისტიკის  
ფაკულტეტის რესპუბლიკურ კონფერენციაზე  
წაკითხული მოხსენების თეზისები.

## „ივერიის“ ტრადიციებს აბრძენებდა

ქართული თეატრის ადდგენის დღის სახსოვრად 2 იანვარს 1910 წლისა იოსებ იმედაშვილმა კეთილ ადამიანთა (მიტროფანე ლალიძე) დახმარებით გამოსცა ყოველთვიური ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც 1926 წლამდე გამოდიოდა. დრო იყო ბობოქარი, შეუცნობელი, ეროვნული ცნობიერება მიძინებული“, რომანოვების უზურპაცია – შეურყეველი, ბოლშევიკების „აღსევება“ – შეუწერებელი, საზოგადოება გათითოკაცებული, პარტიულობით „გაბრუებული“.

უიმედობით დასწეულბულ ქართველ მკითხველს „თეატრი და ცხოვრება“ გამაერთიანებელ მესიტყვედ მოეწვინა. ამასთან, ეს დასურათხატებული ჟურნალი „ივერიის“ ტრადიციების დამცველი და გამაგრბელბული აღმოჩნდა. „ივერიის“ მეთაურების მსგავსად „თეატრი და ცხოვრების“ მეთაური წერილები იყო „ხალხური, მარტივი, ნათელი“ (აკაკი წერეთელი), ჟურნალის რუბრიკას – მარცვლები“ – „დამაკვირდის“ ფუნქცია ჰქონდა, ხოლო რუბრიკა „წერილი ამბები“, რომელიც მოკლე ინფორმაციული შენიშვნებისაგან შედგებოდა, ყოველკვირეული მსხვილი ამბების მატბიანედ ჩამოყალიბდა, რომელმაც შემოინახა ფაქტებით „დაყურსული“ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უტყუარი რეალობა. „ივერიის“ ტრადიციის გაგრბელბებად უნდა მივიჩნიოთ ი. იმედაშვილის ჟურნალის ქართული საეკლესიო თემატიკით ესოდენ დიდი დაინტერესება მაშინ, როდესაც ათეიზმითა და ღმერთის „გაქრობით“ მოწამლული იმდროინდელი საზოგადოება თავს იწონებდა ქრისტიანობასთან „პაექრობით“.

„თეატრი და ცხოვრება“ ილიას „ივერიის“ თეატრალური „პოლიტიკის“ ამალორბინებელიც გახლდათ. თეატრი იოსებ იმედაშვილისთვის დღესასწაულია, ზეიმბა ქართული სატიკეარითა და სიხარულით, რომელშიც „მსახიობმა ხელოვნება ცხოვრებას უნდა გადააჯაჭვოს, ცხოვრება ხელოვნებას დაუკაფშიროს და მათ ხალხი ახალ ცხოვრებას აზიაროს“. თეატრი „სათვალსეირო“ და გასართობი როდბა მხოლოდ, სცენამ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება უნდა აღზარდოს“. ი. იმე-

დაშვილი საზოგადოებას უნერგავდა, რომ „ხელოვნებას სამშობლო არა აქვს, მთელი ქვეყანაა მისი აკვანი, ყველასთვის ერთია და ყოველთა შექაქავშირებელი“. ი. იმედაშვილის ჟურნალი „ივერიის“ მსგავსად ემსახურა ეროვნული სულის აღორძინებას, „მაშული, ენა, სარწმუნოება“, – ამ კრედოს დაცვა ი. იმედაშვილმა ჟურნალის ერთ-ერთ ძირითად მიზნად აღიარა.

საყურადღებოა ჟურნალის სახელწოდებაც. თეატრი იოსებ იმედაშვილისთვის საზოგადოების გაწვერთნის აკვანია, ქართული სულის შთაბერვის საფუძველია, დიდი ტკივილისა და დიდი სიხარულის ჭიდილია, ადამიანური სისუსტისა თუ სიძლიერის ზეიმი და განა ცხოვრება თავისი არსით – სიყვარულით, წამებით, გამარჯვებით, ღალატითა და დამარცხებით თეატრი არ არის?! თეატრი ცხოვრებისეულია, ცხოვრება თეატრალური, – ასე შერწყმული მთლიანობაა ღვთითობოძებული ეს ქვეყანა, რომელშიც ეროვნული თვითშეგნება საზოგადოებისა სხვა ხალხებთან ურთიერთობის წარმართველია. ჟურნალს უყვარს ყველა, ვინც ქართულ საქმეს ემსახურება განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, ეს დიდი მოვალეობა „თეატრი და ცხოვრებისა“ ილიას „ივერიით“ იყო შთაგონებული.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წ. 7 დეკემბერი.

## ქურნალისტიკის ფაქულტეტის მისაპირკმლე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალი გზის დასაწყისი, ახალი საქმის გაძღოლა რთულია, ამასთან გზის გაკვლევა, პირველი ხნულის გავლება შეიძლება სხვადასხვაგვარ ხიფათთანაც იყოს წილნაყარი. ვინ იცის, რას ფიქრობდა ნიჭით, გემოვნებით, ზნეობითა და სიტყვით გამორჩეული ბ-ნი გიორგი ჯიბლაძე, როდესაც XX ს. 50-იან წლებში მაშინდელ ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქურნალისტთა აღსაზრდელი კერის შექმნა განიზრახა. დრო იყო სხვაგვარი. ყოველ სიახლეს ცენტრის – მოსკოვის დასტური სჭირდებოდა. ამ თანხმობის მიღება იმხანად საკმაოდ მაღალ პოსტზე მყოფმა ბ-ნმა გიორგიმ შეძლო. 1949 წელს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაფუძნდა ქურნალისტიკის სპეციალიზაცია, დაარსდა ქურნალისტიკის კათედრა, რომლის პირველი გამგე პროფ. გიორგი ჯიბლაძე გახლდათ. ეს ახალი დარგის და ახალი მეცნიერების საფუძველის ჩაყრა იყო – ქურნალისტიკამცოდნეობა და ქურნალისტთა კადრების მომზადება, დღევანდელი მედიისა და „მეოთხე ხელისუფლების“ ზეობა სწორედ მაშინ დაიწყო და ბ-ნ გიორგის სახელს დაუკაეშირდა სამარადქამოდ.

დღეს არ შეიძლება არ გაეხსენოთ ქურნალისტიკის კათედრის პირველი შემადგენლობა, ვინც ქურნალისტთა პირველი თაობის აღზრდაში გაუკვალაუი გზის მეგზურობა იკისრა პროფ. გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით. ესენი გახლდნენ მეცნიერები – იოსებ ბოცვაძე, ილია ნატროშვილი, ტარიელ კვანჭილაშვილი, პრაქტიკოსები დავით მჭედლიშვილი, ნიკო შველიძე, გიორგი მერკვილაძე. საგანგებოდ გამოიყოფიდი ფილოსოფიის ფაკულტეტიდან ბ-ი გიორგის ინიციატივით მოწვეულ უნიჭიერეს ახალგაზრდა ნოდარ ჩხეიძეს, რომელიც მაშინდელი ქურნალისტიკის განყოფილების სული და გული, სტუდენტების კერპი გახდა შემდგომ, რომელმაც კრიტიკის ისტორიაში პირველმა ბ-ნი გიორგის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ეს დარგი – კრიტიკის ისტორიის კურსი – ბ-ნმა გიორგიმ ჩამოაყალიბა უნივერსიტეტში.

მშვენიერებისა და ამაღლებულის ტრფიალი, სულით ესთეტი, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე იყო უურნალისტიკის კათედრის შემქმნელი. გარეგნული მომხიბვლელობა მისი პიროვნების საეიზიტო ბარათი გახლდათ. მრავალმხრივი იყო ბ-ნი გიორგის მეცნიერული ინტერესები – ლიტერატურათმცოდნეობა, კრიტიკა, პედაგოგიკა, ესეისტიკა, ესთეტიკა, პუბლიცისტიკა – ეს მცირე ჩამონათვალია მისი მეცნიერული ინტერესებისა.

არსისეული არტისტიზმი ახასიათებდა. აჩქარებული ნაბიჯით მომღიმარი დადიოდა, თითქოს შინაგანი რიტმი კარნახობსო ამგვარ მოძრაობას, ცდილობდა არ დაეგვიანა ლექციაზე და ყველაფერი მოესწრო. ოდნავ მოგუდული ხმით, ექსპრესიული გზნებით იწყებდა საუბარს, შესტიკულაციაც მოხდენილი ჰქონდა, სათქმელი კი სრულიად განსხვავებული – ესთეტიკა და ცხოვრება, ხელოვნება და სინამდვილე, ლაოკოონი, მოსე, დავითი, სიქსტის კაპელა და ბევრი სხვა მაშინ ჩვენთვის უცნობ პრობლემაზე განსჯით გეამახსოვრდებოდა ბ-ნი გიორგის ლექციები. იტალიური თუ ქართული ხელოვნების ესთეტიზმი, ხელოვანის სულის გახსნა და წარმოჩენა, ქართული მწერლობის მიღწევები მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, – ეს იყო ბ-ნი გიორგის ლექციის მიზანი მაშინ, როდესაც იმ რუხ სინამდვილეში დახვეწილი გარემო ნაკლებად იგრძნობდა.

რა ჰქონდა საერთო ესთეტიკოსს უურნალისტიკასთან? ჯერ ერთი ბიოგრაფია, იგი სრულიად ახალგაზრდა გაზეთის რედაქტორი გახლდათ. თანაც სხვადასხვა შემოქმედის პუბლიცისტური ანალიზისას იქსოვებოდა ბ-ნი გიორგის უურნალისტური ხედვა, უურნალისტიკათმცოდნეობის საფუძვლები, ესთეტიზმით საყვარელი პუბლიცისტური სტილისტიკა.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის სულიერი პორტრეტის შექმნას ბ-ნმა გიორგიმ დიდი დრო და ენერგია შეაღია, რაც მაშინდელი სინამდვილის წინააღმდეგ მიმართულ ამბოხადაც შეიძლება ჩაეთვალოს.

ერთ ამონარიდს გაგიზიარებთ, რათა წარმოვაჩინო ის რედუნება, რომლითაც ბ-ნი გიორგი ჯიბლაძე მეცნიერული ღირებულების ნიმუშებს ქმნიდა: „ათეული წლების განმავლობაში, – წერს იგი, – ჩვენ ისე ვსწავლობდით და ისე ვითვისებდით ილიას მემკვიდრეობას, როგორც არქეოლოგები იკვლევენ გარდასული დროის ძეგლებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ,



თუ ილია ჭავჭავაძე წარსულ ეპოქას ეკუთვნის როგორც ადამიანი, სამაგიეროდ, როგორც მწერალი, მოაზროვნე, მოღვაწე, ჩვენი წინამორბედია, ჩვენი თანამედროვეა“.

კიდევ ერთი. 1942 წელს, როდესაც ფაშიზმის ავიამფრინავები იჭრებოდნენ კავკასიის ცის სიღრმეში და ბრძოლები მარუხის უღელტეხილთან ახლოს მიმდინარეობდა, ბ-ნმა გიორგიმ გამოაქვეყნა ნაშრომი – „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში“, რაც დროით იყო ნაკარნახევი. ისე ილიას პუბლიცისტიკის გაცოცხლებით მსჯელობდა საკუთარი ქვეყნის აწმყოზე, ბუღ-იღბალზე, ხეაღინდელ დღეზე.

ბ-ნი გიორგი ჯიბლაძე უყვარდათ, ან არ უყვარდათ, ინდიფერენტული მისადმი არაეინ იყო. სიკეთე, სიახლე, ეროვნულობა – აი, რა განკარგავდა მის მრავალმხრივ ნიჭს. ჩვენ, ჟურნალისტიკის განყოფილების იმჟამინდელ სტუდენტებს, გვეამაყებოდა, რომ ჩვენი კათედრის გამგე გამორჩეული გახლდათ გარეგნული ხიბლით, ამაღლებული სულისკეთებით, ცოდნის სხაგვარი გადმოცემით! ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ ბ-ნ გიორგის მაღალი პოსტი ეჭირა, მაგრამ ჩვენ ყველანი – მისი სტუდენტები – ძალიან ვუყვარდით, თანამღებობა მის პიროვნებას არ „ამძიმებდა“.

ამ ორმოცდაათზე მეტი ხნის წინათ ჩაყრილ საძირველზე ჟურნალისტთა მყარი შენობა ამოიზიდა. დღეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ოთხი კათედრა და სამი სპეციალობაა, რომელიც მაღალი რეიტინგით გამოირჩევა, ბალავრის გამჭრელი კი არდავიწყებასმიცემული 90 წლის სასახელო მამულიშვილია, რომელიც ესთეტიზმის შარავანდელით დამშვენებულ ჭაბუკად დარჩა მიუხედავად გადატანილი დიდი ქარტეხილებისა.

იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა 2003 წ. 10 მაისი.  
დაიბუკდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10. V. 2003.

## ნატა თათარაშვილის გახსენება

პრიალა, მეტყველი, რწმენით საესე შავი თვალები, რომლის გუბა გალაკტიონის „დაბინდული ქლიავის ფერს“ გაგახსენებდა, ერთი შეხედვით მშვიდი, შინაგანად ანთებული, ღიმილიანი ნატა თათარაშვილი თავდაჭერითა და სიღარბაისლით ჩვენს წინაპარ ბანოვანთა სადარ ხიბლს ამკვიდრებდა, სიღინჯე არ იყო მისი პოზა, ხშირად მხრების რიტმული რხევით უჩვეულო აჩქარებას ამჟღავნებდა... ნაბიჯი მუდამ მოზომილი ჰქონდა, როგორც ყველაფერი ცხოვრებაში. ღიმილიანი ღუმილით უფრო მეტს ამბობდა, ვიდრე სიტყვებით, სიტყვა ხომ საფანელია, გული რომ მისძრამოს-ძრას, გონს საწვაევი მისცეს და ჰკუა „ააფეთქოს“. ამ აფორიაქებულ ჰკუას ზოგი რისთვის იყენებს და ზოგი რისთვის... ნატა სიკეთის მთესველი, უხმაუროდ სიკარგის მქმნელი გახლდათ, მას ეს გენში ჰქონდა ჩაკირული. აკი, ინტერვიუში განაცხადა: „ახლობლები ჩემგან მხოლოდ სიძლიერეს, შეუდრეკლობას, კეთილ და კარგ განწყობას, სხვისი თანადგომისთვის მზადყოფნას ელიანო“. არადა, შინაგანი წონასწორობის ეტალონი იყო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის. მას ჟურნალისტიკის განყოფილება ჰქონდა დამთავრებული, მე მისი ლექტორი და დიპლომის ხელმძღვანელი გახლდით. ნატა სტუდენტობიდან პასუხისმგებლობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. იგი ჯგუფის ლიდერი, შემდეგ კი – თანაკურსელთა პატრონი იყო... ბეერის გახსენება შეიძლება. ვაგლახ, რომ მოგონებებმა წამლექა, ყურში ნატას ხმა ჩამძახის: „მე თქვენ გემეგობრებით, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქეთ?“ რა უნდა მქონოდა საწინააღმდეგო?! ხან ზედაზენსა თუ მცხეთაში ვართ ლექსის, „კორიანტელით“, ხან ერევანსა და ერმიადინში, რიფსიმესა თუ ზვარტნოცში. ეს ნატას სტუდენტობის წლები იყო... მას შემდეგ მსოფლიოს თითქმის ყველა ქალაქი მოიარა, მათი „დალაშქერის“ პერიპეტიებს სხვადასხვაგვარი ხიბლით ყვებოდა. ერთი განსაკუთრებით მიფორიაქებს ხსოვნას, რადგან თვითონ იყო გახარებული, საწადელს რომ მიადწია... დიდი წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ მიიღო უფლება იერუსალიმის სიახლოვეს ქრისტიანულ ტაძარში ქართული წილკნის ღვთის-

მშობლის ხატის ასლი ჩაებრძანებინა. დღის სამ საათზე „მამაო ჩვენო“ ქართულად გააგონა სხვა ქრისტიანული ქვეყნებიდან ჩატანილ სიწმინდეებს. ამ ღოცვას ნატას სათაყვანო პირშიო, დედისერთა ნატუკა კითხულობდა, დელაედა, ძალიან დელაედა, შავი არაბი ღვთისმსახური ამწიედებდა, მაგრამ ძალას სხვა რამ, მისი დათოს უხილაევი თანაყოფნა კმატებდა. ღვთისმშობლის იმ უმწეენიერესი ხატის ორეულის ისრაელის მიწაზე დაბრძანებით ნატამ დიდი ეროვნული ეალი აღასრულა და წინაპრების ნაკეალეუსაც მოეფერა.

ძნელია დღეს ნატაზე წარსულ დროში ფიქრი, მისი უცრემლოდ გახსენება. დმერთმა იცოდეს, ენით გამოუთქმელად დაგეწევიტა გული... ეინ იცის, რამდენი რამ დარჩა გასაკეთებელი... მახსოვს, რა უზომოდ დამუხტული დაბრუნდა მოსკოვის კონფერენციიდან (ეს მისი უკანასკნელი მივლინება აღმოჩნდა), საესე იყო შთაბეჭდილებებით, იდეებით, სამოქმედო გეგმებით. ფაკულტეტის შემოქმედებით-პრაქტიკულ კონფერენციაზე მოხსენებით უნდა გამოსულიყო გულახდილად, პროფესიულად. მოსკოვისა და თბილისის სატელევიზიო სკოლებზე ფიქრი დიდი, საქმიანი დასკვნებისაკენ უბიძგებდა, ბევრი საყურადღებო დაკვირვების შემოთავაზებას ეშურებოდა. ეაგლახ, სემინარზე გამოსვლის თარიღმა გადაიწია და სამუდამოდაც... როგორ ვიფიქრებდი, რომ ასე უმალ დაიმსხერეოდა მომაკლის ნატასეული კოწიკი.

ცოლის პროფესია ყველაზე რთულ და გამორჩეულ პროფესიად მიაჩნდა, შეუდარებელი ერთგულებითა და ჟინით ემსახურა ნატა ამ ურთულეს დარგს ქალის ყოფისა. სიტყვით აღუწერელი თავგანწირვა და უკიდეგანო სიყვარული ახლდა თან უცნაურად მძიმე განსაცდელის ჟამს, რამაც მისი მეუღლის რაინდული სული გაამედაუნა. ის სული, რომლითაც მოხიბლულმა ნატამ ასე ლამაზად და აზრიანად დათოს გვერდით ორი ასეული წელი ფრთაშესხმული გაატარა.

მენდეთ, ძნელია ჩემთვის დღევანდელი გამოსვლა, მაგრამ დადუმებაც მიტირდა. მე ჩემი ნატა გავიხსენე ერთი თვალის გადაელებით. გულში ბევრი, ძალიან ბევრი გამოუთქმელი – სევდა, დარდი, მონატრება, უთქმელი სათქმელი დარჩა, ბევრი სხვაც. იმ გულში, რომლის ტკივილიც გაუყუჩებელია...

ნატა თათარაშვილის წიგნის პრეზენტაციაზე  
წარმოთქმული სიტყვა. 15 მაისი, 2003 წელი.

## დროსბასწრებული მამულიშვილი

„ყოველ დროს თავისი საქმე და საჭიროება აქვს,  
ნაადრევი ყველაფერი დღენაკლულია“.  
(ნიკო ნიკოლაძე).

აზრისა და საქმის გოლიათი, ევროპული განათლებით ქართულ ცხოვრებასე მოყიქრალი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სინამდვილის რეფორმატორი, ახალი ქართული ლიტერატურის მესაძირკველედ აღიარებული 160 წლის ნიკო ნიკოლაძე თანამედროვეა დღესაც.

დიდმა ნიკომ ქართული საზოგადოების სულის ქირურგია წამოიწყო მაშინ, როდესაც „საზოგადო აზრს ეძინა, ტვინის განძრევა, გაუმჯობესება, შემუშავება არავის საჭირო საქმედ არ მიანდა“. ნიკო ნიკოლაძე ჟურნალისტიკაში პირველად 16 წლისა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოჩნდა და თითქმის 70 წელი კალამი ხელიდან არ გაუგდია. მისი პუბლიცისტური ნაწერებიდან სიბრძნე და მხოლოდ სიბრძნე მოედინება. გიკვირს, რა ენერგიასა და ცოდნას შეეძლო ამდენი სიახლისთვის მხარის გასწორება, ღონიერი პრაქტიკული ნაბიჯებით სიარული და „ულმობელი საქმის კაცის“ სახელით ცხოვრება, სამ ენაზე წერა და აზროვნება.

დიახ, სასტიკი სინამდვილის შეცნობა-ანალიზითა და პრაქტიკული საქმეებით გამოირჩევა ნიკო ნიკოლაძის ხანგრძლივი მოღვაწეობა. იგი ბატონყმობისდროინდელ საქართველოში დაიბადა (1843 წ.), ბატონყმობის გაუქმების კანონი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა მოისმინა სენატის მოედანზე (1861 წ.), სტუდენტურ „არეულობაში“ მონაწილეობისთვის პეტრეპაულეს კაზემატებსა და კრონშტადტის ციხეში „მოინათლა“, ნ. ჩერნიშევსკის ხელდასხით თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა ცხოვრების მიზნად დაისახა, საფრანგეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში მიღებული ევროპული განათლება ქართული საზოგადოების აღზრდა-გარდაქმნას მოახმარა, ეროვნული კაპიტალიზმის განვითარებას უმეგზურა, ქალაქი

ფოთი და საქართველოს საზღვაოსნო კარიბჭე – ფოთის ნაესად-გური ააშენ-დაამშვენა, სამი რევოლუციის შემსწრე შეიქმნა, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებაში (1918 წ. 26 მაისი), იყო პირველი ქართული დემოკრატიული ქვეყნის პარლამენტის დეპუტატი და დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატი, შემდეგ სოციალისტური საქართველოს კულტურული ცხოვრების მაშენებელიც. 85 წლისა აღესრულა 1928 წლის 1 აპრილს.

ძნელია, საგაზეთო წერილში თუნდაც მოკლედ იმსჯელო ნიკო ნიკოლაძის ღვაწლზე. ეგებ, ის ძირითადი მუხტი გაეიხსენოთ, რომლითაც დიდი ნიკო ჩვენი თანამედროვე იყო გუშინ, არის დღეს და იქნება ხვალაც:

ნიკო ნიკოლაძის მთავარი პრინციპი ეროვნული ერთობა გახლდათ. ეროვნული თვითმოქმედება და ეროვნული თვითმმართველობა ამ ერთობის ღერძად მიაჩნდა ქრიატიანობაზე დაყრდნობით, რადგან რწმენა ღეთისა და სიყვარული მამულისა ადამიანის საზრისად ესახებოდა, რითაც ქვეყნის სიძლიერეს მოიაზრებდა.

„რა უბედურება იქნებოდა, – წერს ერთგან ნიკო, – ჩვენი ქვეყნისათვის, რომ ქართლელმა, კახელმა და იმერელმა ოდესმე ქართველობა ითაკილონ და თავიანთი თავი ქართლელით, კახელით და იმერელით მოიწონონ. ხალხის ამგვარ ხასიათს მამულის ნამდვილი სიკვდილი და მიწასთან გასწორება მოსდევს“.

ნიკო ნიკოლაძე შინაგანი ინერტულობის დაძლევისა და უმოქმედობისაგან თავის დაღწევას უქადაგებდა იმდროინდელ საზოგადოებას: „ჩვენ გვსურს, რომ საზოგადო სიკეთე შემწვარი, გამომცხვარი, მარილწყურული ჩაგვიცივიდეს პირში. ჩვენ პირის მოქნევაც გვეზარებაო“... ყოველივე კი ზნეობრივ დაცემისკენ მიმავალ მოღლიპულ გზად მიაჩნდა. ამ ზნეობითი სენისაგან განკურნება განათლებით, ცოდნით, ტექნიკის სიახლეების შემოღებით ეწადა. ნიკო ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა საზოგადოებას ათავისუფლებს ეკონომიკური მონობისაგან, რაც ყველა ქვეყნის სიძლიერის საფუძველიაო, ირწმუნებოდა. ქვეყნის დამოუკიდებლობა ეროვნული მრეწველობის აღმავლობასა და გასაყიდად გასატანი ეროვნული წარმოების დოვლათზეა დამოკიდებულიო. ქვეყნის

აღორძინება ეროვნული ეკონომიკის აღორძინებით იწყება და ეროვნული მრეწველობის სრულქმნით მიმდინარეობსო, – გვასწავლიდა დიდი ნიკო.

ნიკო ნიკოლაძეს ყველას საქმედ როდი მიაჩნდა პოლიტიკა. მოდური შლიაპკა როდია პოლიტიკა, ყველამ დაიხუროს და გაპრიალებულ პარკეტზე სასიარულოდ გამოიყენოსო. „პოლიტიკა მეცნიერება და ცოდნაა, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამაპაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება“. ნიკო ნიკოლაძეს ღრმად სწამს, რომ „ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოა და სასტიკად ისჯება“. ამიტომაც მისთვის მიუღებელია „საზოგადო დუმილი“, რომელიც ტყვიასავით უხშობს გონებას ხალხს.

ნიკო ნიკოლაძე დროსგასწრებული მოღვაწეა, რომელსაც პრაქტიკულ საქმიანობაში ბადალი არა ჰყავდა. მან პირველმა შექმნა ისეთი ბანკი, რომელმაც გამოუშვა ობლიგაციები, რომლის მოგებაც ფოთის კეთილმოწყობისათვის გამოიყენა, ხოლო ფოთის ქუჩების ელექტროგანათება უჩვეულო სიახლე იყო იმხანად, ამასთან ფოთის პორტიდან გასატან ტვირთზე ნახევარკაპიკიანი საფუთო გადასახადის დაწესებით, ანუ საბაჟო გადასახადის შემოღებით, უპრეცედენტოდ ნოვატორული ნაბიჯი გადადგა. ნიკო ნიკოლაძემ ფოთის პორტის მშენებლობა დაასრულა, ფოთის ნავსადგური საქართველოს კარიბჭედ და შავ ზღვაზე გამორჩეულ პორტად აქცია.

ნიკო ნიკოლაძის სანუკვარი ოცნება იყო საქართველოში ყველა მცხოვრების ერთობა და ურთიერთსიყვარული ეხილა: „შეერთდით ყველა: რუსი, თათარი, ფრანგი, სომეხი, ქართველი, ურია, ლეკი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი“ ქვეყნის სიძლიერე ამ შეთანხმების შედეგიაო, – ირწმუნებოდა.

მრავალი ათეული წლის წინათ შექმნილ ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობას, პერსპექტიულ გეგმებს, პრაქტიკულ საქმიანობას დიდი ინტერესით ეცნობი დღესაც. მიზანში ამოღებული მისი ფრაზა აზრის სიახლით, გზის გაკვლევის კარნახით გამოირჩევა, მისი პუბლიცისტური სიტყვა მასშტაბურია, იგი არ დანლუნგებულა, საკუთარი ინტონაციით და სიახლის რეგისტრით გამოირჩევა, გვეძახის, გვაფხიზლებს, ოღონდ ყური დაუგდოთ, ოღონდ შევისმინოთ!

## ნიკო ნიკოლაძის გამოსქვეყნებული სტატია – „ღრონი მეზობენ“

ქვემოთ წარმოდგენილ წერილზე თვალის გადავლებაც კი გვარწმუნებს, რომ ნიკო ნიკოლაძე მომავლის პუბლიცისტი, მისი ნააზრევი დღესაც საჩინოა, ანგარიშგასაწევია 90 წლის წინათ გაცხადებული მისი პოზიცია. საქართველოს კავშირურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, საქართველოს ადგილი ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, საითკენ აიღოს გეზი რუსეთისაგან თავდახსნილმა ქართულმა სახელმწიფომ – დასაელეთისკენ, თუ ჩრდილოეთისკენ, სად არის მისი ადგილი?

6. ნიკოლაძის მსოფლგაგებით, საქართველომ გენუის როლი უნდა იკისროს, სახმელეთო და საზღვაო ხიდი გახდეს ევროპასა და აზიას შორის, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობის საფუძველზე – ეს აუცილებლობა არის ღრმა ცოდნა, ცოდნა ახალი დარგების, ახალი ტექნოლოგიების, ცოდნა მეცნიერების საფუძველების, რომლის სიღრმეების გაგებით უნდა აირჩიოს გზა ევროპისკენ, ევროპას არ სჭირდება მონები, იგი მცოდნე, მეცნიერების კანონებით სრულკმნილ პარტნიორებთან მეგობრობს. „ბედნიერი მდებარეობა უქადის ჩვენს ქვეყანას ბრწყინვალე მომავალს, თუ შრომას არ დაეიზარებთ და გონიერათ ვისარგებლეთ გარემოებებით“.

ჩვენი დიდი წინაპრის მიერ მეოცე საუკუნის ათიან წლებში დაწერილი ეს პუბლიცისტური წერილი ისე იკითხება დღეს, თითქოს გუშინ დაასრულა ამ სახელოვანმა მამულიშვილმა სათქმელის ქაღალდზე გადატანა, დასაბეჭდად გაამზადა, გადაბეჭდა კიდევც, ჩაასწორა წითელი მელნით, მაგრამ არ გამოუქვეყნებია. რატომ? დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაჭირდება და საიდუმლოდ დარჩება... ეს წერილი, ნ. ნიკოლაძის ხელით ჩასწორებული, ინახება ეროვნული ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძის სახელობის ფონდში და პირველად ქვეყნდება. ჩაიკითხეთ და დარწმუნდით, რომ საქართველოს ადგილის განსაზღვრის ნ. ნიკოლაძისეული ხედვა არ მოძველებულა, დასკვნები – დღევანდელით სუნთქავს, მის ფიქრს მართებული

კალაპოტი გაუჭრია და დამკვიდრებას ცდილობს. ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური სიტყვა კვლავ გვაფხიზლებს, მოგვიწოდებს, გვირჩევს, ვუგდებთ კი ყურს? ვითვალისწინებთ?

წერილი დაუთარიღებელია. ჩვენი აზრით, იგი 1918 წელს გერმანიიდან ნ. ნიკოლაძის დაბრუნების შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. გთავაზობთ ტექსტს:

### „დრონი მეზობენ“

ომმა ძირეულად შეცვალა საქართველოს მნიშვნელობა სხვა ქვეყნებისთვის. ჩვენი არსებობის ახალი ხანა მარტო მით კი არ გაირჩევა უწინდელისაგან, რომ რუსეთმა მიგვატოვა და საკუთარი სვე-ბედის მოპასუხე გახდით. ჩვენს სამშობლოს დაუბრუნდა ძველი მისი ღირსება, მეთექვსმეტე საუკუნიდამ დაკარგული, უმჯობეს ხიდესი დასაველეთ და აღმოსაველეთს შუა. ამერიკის აღმოჩენამ და ზღვაოსნობის წარმატებამ ღირსება ახადა ჩვენს ხმელეთის გზას. ეხლანდელ ომს ნევსითი თუ უნებრიო მიზნით დაედო გადაწყვეტოს, – ვის ექვემდებარება გზები იმ ქვეყნებისაკენ, საცა, შორეულ აღმოსაველეთ და სამხრეთში ცხოვრობს საში მეოთხედი კაცობრიობისა. დასაველეთის სახელმწიფონი როდილა მაღავენ გადაწყვეტილებას, დაუხშონ საშვალ ევროპას ზღვის გზა. ეს მოუსპობს მას ყველა იმ მასალების შოვნას, რომელნიც კეგებენ მის წარმოებას და მრეწველობას. მისი არსებობა სხვის ქეიფზე იქნება დამოკიდებულნი. ამ გარემოებაში მან უნდა გამოძებნოს სხვა გზა, იმ მასალების საზიდი, რომელიც ომამდი ზღვით დაჰქონდა ბამბის, მატყლის, ღვინის, ტყაის, აბრეშუმის, თუთუნის და სხვა. უადვილესი გზა ამაყებისთვის ჩვენს ქვეყანაზე დევს. ბრუნდება დრო გახურებული აღებ-მიცემობისა შავი ზღვით, კავკასიაზე, რომელმაც ერთ-ნამცევა გენუას და ვენეციას მსოფლიოს თაოსნობა მიანიჭა ოდესმე.

ბევრი იფიქრებს: შავი შეიკერის, ეს საჭიროება მოისპობაო, მაგრამ ზაგმა კიდევ რომ შეუცვლელათ აღადგინოს ომისწინანდელი მდგომარეობა, ხსოვნა ხომ მაინც დარჩება გზის დროებითი შეკერისა, და ამ ხიფათის განმეორებას ყველა მოერიდება. ამას გარდა ომსა და ზავს შუა განსხვავება არსებობს მარტო ბრბოსთვის, ნამდვილათ კი მთელი ცხოვრება ერისა და



სახელმწიფოსი შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის. ბრძოლა ხან აშკარა და სისხლ-მღერელი, ხან ფარული და იარაღ-მღესი. ყოველ ჯანმრთელ არსების ბუნებას შეადგენს უძლომი სურვილი წარჩინებისა, ქიშპობისა, სპორტისა. იდეალი მუდმივი მშეიდობიანობისა და არსებული მდგომარეობის ხელუხლებლობისა, რომელიც სახეა პოლიტიკურ მოღვაწეობის დროშაზე, ნამდვილათ ხორციელდება მარტო ადამიანის ან ერის სიკვდილის შემდეგ, ცხოვრება კი მუდმივი ცვლილება და მზადებაა. ეხლანდელი ომი ნახევარი საუკუნე მზადდებოდა და როგორც კი მას ზავი შესწყვეტს, ზავს იმწამსვე ახალ ომისათვის მზადება თან დაჰყვება. ამ მიზეზით, საშუალ ევროპას, რომელიც ეხლა მძიმეთ იტანჯება ბამბის, მატყლის და სხვა ხორაგის შიმშილით, მეორეთ მოსვლამდინაც კი არ დაავიწყდება გზის მარტოხელობის სიავე. საქართველო რომ შევლის გზა და სანდო ხიდია, ეს აწი ყველასთვის სამუდამოთ უეჭვო დარჩება.

ჩემ სიყმაწვილის დროს მოხუც პლატონ იოსელიანს ვაყუედრიდი ერთხელ-თქვენი თაობა ქართველობის თვითმოქმედობას არ აღვიძებდა მეთქი (თურმე ეს მხილება ყოველმა ახალმა თაობამ ძველს თავსე უნდა ახვიოს). ფილოსოფოსი თავს მით იმართლებდა, რომ ჩვენს ხალხს შთამომავლობითი თვისება სულ სხვა დაჰყოლიაო. მან გაათავა თავის ახსნა ასე:

– მეხუთე იმპერიას ვხრავთ, ვხრავთ, ვხრავთ!

თაგვის ხელობა არავის ენატრება. არც ცალიერი ხიდეთ ყოფნა სხვისთვის უნდა აკმაყოფილებდეს ერის თავმოყვარეობას. გენუელების ფაშფაშის დროს ჩვენში როდი გვცალოდა დაეფიქრებულ ვყოფილვიყოთ საკითხზე, ესარგებლობთ თუ არა საკმაოდ ჩენი ქვეყნის მდებარეობით? ერთმანეთს ვაკედებოდით, ეხლა კი ამ სისულელეს არ ჩავიდნთ. ხუმრობის დრო აღარ არის. ხალხებს შუა ომს დღეს სიკვდილი მოსდევს, ან გადარჩენა და ვაი მას, ვის ეს არ ესმის! ჩვენც უნდა ვიმეცადინოთ.

იმ იმპერიებიდამ, რომელნიც აქამდე ჩვენ გვეფლობდნენ ან გვხრავდნენ, ეხლანდელი ევროპა – ორივე ბანაკისა – მით განირჩევა, რომ ჩვენგან მონობას კი არა, თანამშრომლობას მოითხოვს. მონები მას აღარ სჭირია. მონების მაგიერ მან მანქანები გაიჩინა. მას უნდა გაეუთანასწორდეთ, ან გაექრეთ. ეს მისი კანონი კი არა, ბუნების წესია. ეს უნდა გეახსოვდეს დიდ და პატარას, მთაერობას და ერს. ერთათ ერთი მიზანი

უნდა ჰქონდეს აწი: ღირსნი გავხდეთ ამხანაგობისა მრეწველობის და განათლების იმავე ხარისხამდი ავმაღლდეთ, რომელიც საჭიროა დღეს ერის არსებობის შესარჩენათ. ეეცადოთ აეცილდეთ რუსეთის უბედურებას. გვახსოვდეს, იმ არსებობისთვის ბრძოლაში, რომლის ხანა გახსნა ჩვენში და ჩვენს გარშემო რუსეთის დაშლამ, მარტო დამოუკიდებლობის გამოცხადება და უცხოეთისგან ცნობა როდი გვეყოფა. ამ წვა-დაგვიდამ მარტოს გამოვა უვნები, ვინც თავის საჭიროებებს საკუთარივე საშუალებით დაიკმაყოფილებს. ვინც სხვისი სარჩენი და სათრევი არ გახდება, პირიქით სხვისთვის დამხმარეთ, ამხანაგათ გამოდგება.

ჩვენი ხალხი რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში თვით-არსებობისთვის იბრძოდა საკუთარი სახელმწიფო აპარატით. მან ყველა სხვა მეზობლებზე უფრო ხანგრძლივ შეირჩინა სახელმწიფო წყობილება და ტრადიცია. ამ მიზეზით მას ეღირსა ეხლანდელი ომისა და არეულობის დროს უაღრესი ბედნიერება – ერთობის დაცვა პოლიტიკურ მოქმედებაში შესახებ გარეშე ქვეყნებისა. იმედია, ეს თვისება მწიფე ერებისა, ვის პარტიებს ყველას ერთი და იგივე გარეშე (საგარეო – დ. ჩ) პოლიტიკა აეროებს, რაკინდ სხვა და სხვა ფერი ან წინააღმდეგი იყოს მათი პროგრამა საშინაო მოქმედებისა, მუდმივი დარჩება ჩვენში. ვიხელმძღვანელოთ ქვეყნის მაგალითით, დავიარადდეთ უმჯობესი მოწყობილებით, დავეწაფოთ თანამედროვე ცოდნას და გამოცდილებას. ბედნიერი მდებარეობა უქადის ჩვენს ქვეყანას ბრწყინვალე მომავალს, თუ შრომას არ დავიზარებთ და გონიერათ ვისარგებლებთ გარემოებით.

ნ. ნიკოლაძე

დაიბეჭდა „დილის გაზეთში“,  
15. 12. 2003წ.

## წინათქმა

წიგნისა „პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის  
(მენშევიკების) პერიოდის პრესა“, (1918-1921 წ.წ.)“,  
დამხმარე სახელმძღვანელო.

XX საუკუნის დადგომა და დამკვიდრება პარადოქსებით  
გამორჩეული იყო არა მხოლოდ ევროპისათვის... და ნურავის  
გაუკვირდება, თუ ვიტყვით, მით უფრო საქართველოსათვის.

ფრიდრიხ ნიცშეს განმარტებით, – „ჩვენი საუკუნე (XX საუ-  
კუნე – დ.ჩ.) მარიონეტით ქანაობს სიმახინჯესა და ველუ-  
რობის სამიჯნოებს შუა“. საქართველომ ამ საუკუნის პირველ  
ოცწლეულში თავისი ბედის ნათელი და ბნელი სულ მცირე  
დროში ერთმანეთის მონაცვლეობით გამოსცადა, ვერ დატება  
სახელმწიფოებრიობის ნანატრი აღდგენით, მაგრამ შექმნა პრეცე-  
დენტი რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევისა, მან ხომ შეიდი  
ათეული წელი საბჭოთა ხელისუფლების „სიტკობების“ ხვედრი  
გაიზიარა, რადგან სოციალ-დემოკრატიულმა მოძღვრებამ ე. ლუ-  
ნინის „გენიალობით“ მხოლოდ ეკონომიკურად განუვითარებელ  
რომანოვების რუსეთის იმპერიის ნამსხერვეებზე კპოვა ასპარეზი.

ასე რომ, XX საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიის  
გამოკვლევა-შესწავლა ფრიად საპატიო და აუცილებელ საქმედ  
იქცა, რადგან მრავალი ათეული წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის  
ისტორიის ამ ეტაპზე „კრიზისის დაძვრაც“ კი იმდენად ტაბუდა-  
დებული და შეუძლებელი იყო, რომ მოაზროვნე საზოგადოება  
თვალს ხუჭავდა, დუმდა, ფიქრობდა და სათქმელს სათქმელზე  
აგროვებდა, თუმც ხმამაღლა ვერას აცხადებდა ქართული  
ცხოვრების ამ ნათელ მონაკვეთზე, რადგან დრო იყო ისეთი,  
„თქმითაც დაშავდებისო“ რომ ბატონობდა...

უკანასკნელ ხანს პირველი დემოკრატიული ქართული სა-  
ხელმწიფოს ისტორიის შესწავლის მიზნით (1918-1921 წ.წ.) კვლე-  
ვა-ძიება დაიწყო და რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც გამო-  
ქვეყნდა. XX საუკუნის ბინადარნი ვალში არიან საუკუნის წი-  
ნანდელი ქართული ისტორიის პერიპეტეების შესწავლის წინაშე

და მართებული, სწორი დასკვნის გამოტანა ეკისრებათ, რასაც მომავალი თაობების ცნობიერების ჩამოყალიბება უნდა დაეფუძნოს. „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა!“ – ნ. ნიკოლაძის ეს პოსტულატი უდევს საფუძვლად XX საუკუნის 20-იანი წლების მედიის ანალიზის საქმეს, რაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრამ დაისახა მიზნად და მენშევიკების პერიოდის პრესის ისტორიის (1918-1921 წ.წ.) შესწავლა-გაანალიზებით ქართული ცნობიერებიდან ამოგლეჯილი ორგანული ნაწილის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა განიზრახა. ნარკვევების ეს წიგნი პირველი ცდაა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიცისტიკური მასალების ანალიზისა.

თუ სიტყვა აზრის საშენი ქვაა, პუბლიცისტიკა კი – ამ სიტყვის არქიტექტორი, სიტყვისა და აზრის დღემდე შეუსწავლელი ამ არქიტექტურული მთლიანობის სისტემატიზაცია ნარკვევების შემქმნელებს, ალბათ, სითამამედ არ ჩაეთვლება.

როგორც არქიტექტურულ ძეგლს აქვს ფასადი, გვერდხედი, თუ ზედახედი, სიტყვით შექმნილ პუბლიცისტიკურ აზრსაც გააჩნია ძირითადი და შენაკადი სათქმელი. ამ პერიოდის ძირითადი სათქმელი (პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული) მეცნიერების ბევრი დარგისთვის საერთო და საცნაურია. შენაკადი სათქმელი ხშირად ჟურნალ-გაზეთების პუბლიცისტიკური სიტყვის განსხვავებულობით გამოიკვეთება, რასაც სხვადასხვა ავტორის ნიჭი და განსწავლულობა უდევს საფუძვლად. ეს პუბლიცისტიკური სიტყვა იმავდროულად თანამედროვეობის ისტორიას ქმნის, – პუბლიცისტიკა ხომ დროის ბებიაქალად არის მიჩნეული.

„ყველა ვრს თავისი ეროვნული კულტურა გააჩნია, მიუხედავად იმისა, რამდენი გასცა და რამდენი მიიღო“ (მიხ. წერეთელი). ამიტომაც მენშევიკური მთავრობის პერიოდში მედიის ფურცლებზე შექმნილი საზოგადოებრივი აზრის შესწავლას და ეროვნული ცნობიერების წარმოჩენას მიუძღვნა ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრამ ნარკვევების ეს წიგნი, რომელიც დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან.

ყველა საქმიან შენიშვნას ავტორები მადლიერებით და სიამოვნებით მიიღებენ, გაითვალისწინებენ.

## ნიკო ნიკოლაძე და თვითმმართველობა

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესოა დღესაც და, ალბათ, ყოველთვის ასე იქნება. ეს არის ის მემკვიდრეობა, რასაც დრო კიდევ მეტ ფასს შემატებს. ქალბატონი დალი ჩიკვილაძე ნიკოლაძის ნააზრევს თითქმის ნახევარი საუკუნეა „წაველობს, ეფერება და ამზეურებს“. ის ნიკოლაძეს „ულმობელი საქმის კაცს“, „დროსგასწრებულ მამულიწვილს“ უწოდებს და თანამედროვეებს ურჩევს, გაეცნონ მის ნააზრევს. „ნიკოლაძის რვა ტომია გამოცემული. თუ დღევანდელები შიგ ჩაიხედავენ, იმდენ რამეს აღმოაჩენენ, რომ მათ დღეს მართუა, ანუ, ხელმძღვანელობა, ალბათ, არ გაუჭირდებათ“, – ამბობს ქალბატონი დალი. ჩვენი თხოვნით, მან ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის მომენტები წარმოაჩინა, რაც თვითმმართველობასთან არის კავშირში.

„როცა ქართულ მწერლობაში გავები, მის თარს მარტო ერთი სიმი ება – დედა-ენის დაცეა... მესმოდა, არა მარტო ენით იკეებება ხალხი, ... შეეგზე ეკონომიკას, მიწისმფლობელობას და თვითმმართველობას“, – წერდა ნიკო ნიკოლაძე.

### „ერობის“ შემოღება ვთხოვთ მეფესო

ნიკო ნიკოლაძეზე დაუსრულებლივ შეიძლება საუბარი, არა იმიტომ, რომ ის დიდი წინაპარია, რომელიც არ უნდა დაივიწყო, არამედ იმიტომ, რომ ნიკოლაძე არის ფენომენი, რომელიც XIX–XX საუკუნეებში კი ცხოვრობდა, მაგრამ თავისი შეხედულებებით, მოქმედებით, სტრატეგიით და ამ სტრატეგიის განხორციელების ხერხებით XXI საუკუნის ბინადარია. იმ სტრატეგიას, რომელიც მან შეიმუშავა, განხორციელება სხვის ხელში არ ეწერა, რადგანაც საქართველო იყო კოლონია და საოცარი, რომ ნიკო ნიკოლაძემ შეძლო ისეთი საქმეების გაკეთება, რასაც აუცილებლად ქვეყნის დამოუკიდებლობა სჭირდებოდა.

ნიკოლაძე საფრანგეთიდან ჩამოდის 1869 წლის ბოლოს. მას ძალიან უყვარს საფრანგეთი, პარიზი – განსაკუთრებით, თუმცა დაუდევარია და მარტო პარიზში არ ჩერდება, – ცხოვრობს

იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში. მას საქართველოდან მიჰყავს ახალგაზრდები, მათ შორის ქალებიც საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. ცდილობს, რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მომზადებას შეუწყოს ხელი, რადგან ქვეყანას ასე ჭირდება.

ნიკოლაძემ, ცხადია, ძალიან კარგად იცის ფრანგული ცხოვრება, ძალიან კარგად იცის ისიც, რომ საფრანგეთი ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა ევროპაში და მისი კანონები ქართულ სინამდვილეს არ მოერგება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ ერთი, ვინ მოგარგებინებს, არა? მაგრამ სიტყვით, უურნალგაზეთების გზით იგი ცდილობს იმის განმარტებას, თუ რით არის კარგი ფრანგული ცხოვრება, ის არაჩვეულებრივი არჩევნები, რომელიც მოიტანა საფრანგეთში ნაპოლეონის გარდაქმნებმა, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია თვითმმართველობას...

ნიკო ნიკოლაძე პირველი იყო, ვინც ერობის შემოღებისათვის ზრუნავდა (სიტყვა „ერობა“ – მან იხმარა პირველად). 1871 წელს ქურნალ „კრებულში“ (№5) გამოაქვეყნა სტატია „ერობა – „ზემსტვო“, მისი დანიშნულება და წესდება“. ეს სტატია ალექსანდრე მეორის ჩამოსვლის წინ გამოქვეყნდა. ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ იმპერატორისაღვის მისართმეუ ადრესში უნდა შეეტანათ არა უნივერსიტეტის, ან კადეტთა კორპუსის გახსნა, არამედ გადაუდებლად მიაჩნდა ერობის შემოღების თხოვნა. თავადაზნაურთა კრებებზეც იცავდა იგი ამ საკითხს, მაგრამ მაშინ არაფერს დაუჭირა მხარი, მარტო ქალაქის თავმა ნაპოლეონ ამატუნიმ ირწმუნა ერობის სიკეთე. ერობას ნიკოლაძე „კულშეკვეცილ“ თვითმმართველობად მოიაზრებდა, დამოუკიდებელი მართვისა და დისციპლინის საფუძველად აღიარებდა. „ერობა ჩვენს პატრონად ჩვენვე გვხდის“, – ეს თვალსაზრისია მისთვის ამოსავალი. ნიკო ნიკოლაძის ეს მოთხოვნა – ერობის საჭიროება 90-იან წლებშიც დადგა დღის წესრიგში. ბოლოს, 1913 წელს, რომანოვების 300 წლის იუბილეზე, ქართველი თავადაზნაურობა ნიკოლოზ მეორეს ერობის შემოღების თხოვნით მიმართავდა, მაგრამ პეტერბურგის ხელისუფლებას საქართველოსთვის თვითმმართველობა არ ემეტებოდა.

კარგად ვიცნობ XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკას და შემიძლია ეთქვა, რომ „კრებულში“ გამოქვეყნებული ზემოხსენებული სტატია არის პირველი წერილი თვითმმართველო-

ბის საკითხზე. რუსეთში ერობა უკვე შემოდებულა ერთ-ორ ადგილას (ეს არის სამხრეთ რუსეთი – ყუბანის მხარე და ცენტრალური რუსეთი). ნიკო ნიკოლაძე იცნობს მათ წესდებას. ერობა არის დემოკრატიზმის დამკვიდრების პირველი ეტაპი, ნიკოლაძე ამაში სახელმწიფოებრიობის ჩანასახს ხედავს. „ეთქვათ, თბილისში დაფუძნდა ერობა და ავირჩიეთ მის შემადგელობაში ჩვენს მიერ რეკომენდებული ადამიანები, იმათ მერე პასუხს მოეთხოვოთ, რახან ჩვენი არჩეული იქნება. ყველაფერს ისე გაეაკეთებინებთ, რაც ჩვენ გვენდობება, გზები დაიგება, სააეად-მყოფოები აშენდება, – რაც ხალხს სჭირდება, იმიტომ, რომ ისე ხალხი ფულს არ გადაიხდის, სკოლები აშენდება და განათლების კერები შეიქმნება“, – განმარტავდა იგი ერობის სიკეთეს. ეს ხომ არის დღევანდელი ქალაქის თვითმმართველობის ჩანასახი. „ყოთდადგმულ“ მერებს, ანუ იმის მიხედვით არჩეულ მერს, ვის მეტი ფული აქვს, ვერ მოთხოვ, ის თავის ფულს სადაც უნდა, იქ დახარჯავს, ანუ შენი საჭიროების მიხედვით ის ფულს არ დააბანდებსო“.

### „ობზორისტიკების“ საქმე

1878 წელს ნიკო ნიკოლაძემ აისრულა ოცნება და დაიწყო რუსულენოვანი გაზეთ „ობზორის“ გამოცემა. რატომ უნდა რუსულ ენაზე გაზეთი? მას მიიჩნია, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა ევროპამ გაგვიცნოს. შენ ენაზე – ქართულად წერე და იკითხე მარტო შენ, ხომ ასე გამოდის? ნიკოლაძის სტატიები ძალიან საინტერესოა, მასზე ძლიერად სიტყვას ვერაინ ხმარობს, მის სიტყვას ანალოგი არა აქვს. მე ამას თამამად ვამბობ.

გავიხსენებ „ობზორის“ ცნობილ პროცესს. ნიკოლაძემ „ობზორში“ რამდენიმე რუბრიკა შემოიღო – მაგ. ერთი – „დღის საკითხები“, მეორე – „საკვირაო საუბრები“. თანამედროვე დღის ანალოგი ნიკოლაძეს მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში აქვს გამოყენებული. ძირითადი პრობლემები გამოტანილი აქვს სათაურის ქვეშ ქვესაკითხებად, მერე თავებად შლის პუბლიცისტიურ წერილს და რომელიც გინდა, ის წაიკითხე. ეს ორი რუბრიკა, ფაქტობრივად, იყო თვითმმართველობისათვის ბრძოლის ასპარეზი გაზეთის ფურცლებზე. ნიკოლაძე ორჯერ გაასამართლეს „ობზორის“ გამოცემის დროს, იმიტომ.

რომ იყო დაუფარავი მხილება ქალაქის თვითმმართველობისა. ნიკო ნიკოლაძე ცენზურისგან აკრძალულ სტატიებს და ამოკრებილ ადგილებს თვითნებურად ისევე ბეჭდავდა გაზეთში. აკაკი წერეთელმა მას ცენზურასთან ურთიერთობაში „ობზორსიკმენსტერი“ უწოდა. ოფიციალურმა წრემ ვერ მოითმინა კრიტიკა და „ობზორის“ რედაქტორს უჩივლა. მაგალითად, ერთი სტატიაა ასეთი სათაურით — „უთავო ქალაქის საბჭო“. რატომ არის უთავო? ირჩევენ ქალაქის თავს, „დგას ყუთი“ და ყველაფერზე საუბრობენ, გარდა იმისა, გამოცდილება და ჭკუა ექნება თუ არა ასარჩევ კანდიდატს, ანუ, ლაპარაკობენ იმაზე, მარჯვენა ჯიბეში რამდენი უდევს, მარცხენა ჯიბეში რამდენი უდევს, მაგრამ ქალაქის თავი ნორმალური იქნება, განათლებული იქნება თუ არა, — არავის აინტერესებს. ეს არაჩვეულებრივი წერილია. ნიკოლაძემ არ აიყვანა ადვოკატი „ობზორის“ გასამართლების პროცესზე, თავად შესანიშნავად იცავდა თავს. სამი დღე მიდიოდა პროცესი, სხვათა შორის, ვერა ზასულინიც კი ჩამოსულა რუსეთიდან პროცესზე დასასწრებად. ამ პროცესის მასალები გამოქვეყნებულია. გაამართლეს ნიკოლაძე იმიტომ, რომ არსებობდა ყველა სამხილი, თუ რუსთმობელები, როგორც მოსამართლეები, ისე ქალაქის მმართველობის წევრები, როგორ ჩადიოდნენ უკანონობას. მათ არ დასჯიდნენ, ბუნებრივია, მაგრამ ვერც ნიკოლაძე დასაჯეს, თუმცა ჯარიმა გადაახდევინეს — სასამართლოს ხარჯები აანაზღაურებინეს. ეს იყო 1879 წელს. ამის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე „ობზორში“ კვლავ განაგრძობდა ცენზურასთან ურთობას და არ ერიდებოდა კრიტიკას. მეორე პროცესი 1880 წელს გაიმართა. მეორედ აღარ აპატიეს ამდენი კრიტიკული მხილება და 5 წლით გადაასახლეს სტავროპოლში, თუმცა 1881 წელს მას უფლება მისცეს პეტერბურგში გადასულიყო. 5 წელი თბილისში ჩამოსვლა აუკრძალეს იმის გამო, რომ ასე მძიმედ გააკრიტიკა თბილისის მმართველობა.

### ფოთის პორტის 20-წლიანი ეპოპეა

ძალიან საინტერესო პერიოდია ნიკოლაძის მოღვაწეობა ფოთის მერის ამპლუაში. 1894 წლის 25 დეკემბერს თვით ფოთის საზოგადოებამ და ხმოსნებმა მოიწადინეს მისი არჩევა ფოთის მერად. „ივერია“ 1895 წლის 13 სექტემბერს წერდა: „ბატონი ნიკოლაძე უფრო შეეფერება ფოთელების იდეას. იგი,



გარდა იმისა, რომ საქმის კაცია, ნიჭიც შესწევს ახალი სასარგებლო საქმე შექმნას და მერე, მან თავისი სიცოცხლე ტფილისის საბჭოსა და იმის ხმოსნებთან ბრძოლაში გაატარა და ამიტომ ზედმიწევნით აქვს შესწავლილი კავკასიის დედაქალაქის ეკონომიკური მდგომარეობა“.

ფოთი იყო პატარა დაჭაობებული დასახლება – დაბაც კი არა. ნიკოლაძე ჩადის ქალაქის მერად და იმთავითვე ხედავს, რომ ფოთი უნდა იქცეს საქართველოს ევროპასთან დაკავშირების კარიბჭედ. ფოთი უნდა გახდეს, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო ცენტრი და აუცილებლად უნდა აშენდეს პორტი. ნიკოლაძემდე იყო საუბარი, რომ პორტი აშენებუდიყო ფოთში, ამაზე ფიქრი დაიწყო XIX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს, მაგრამ ვერ განხორციელდა. პირველი, რაც გააკეთა ნიკოლაძემ, იყო ის, რომ საზოგადოებას დაეკითხა: გვინდა? და თუ გვინდა, რომ პორტი გექონდეს, მაშინ უნდა ვიშრომოდ და თუ გვინდა, რომ ვიშრომოდ, მაშინ კანონმორჩილები უნდა ვიყოთ. მან ძალიან კარგად იცის, რომ თუ არ მიიღებს სათანადო კანონს, არაფერი გაკეთდება. საოცარი კაცია, ევროპას კარგად იცნობს, ახერხებს მიიღოს უყლება და დაფინანსება ევროპის ცნობილ პორტებში გასამგზავრებლად და ამ პორტების გეგმების გასაცნობად. რვაჯერ ჩავიდა პეტერბურგში, რათა დაერწმუნებინა „უმაღლესი ხელისუფლება“ პორტის მშენებლობისათვის სესხის გამოყოფაში. ნ. ნიკოლაძე ქალაქის თავია და, პირველ რიგში, ბანკს ხსნის, სამპროცენტრიან ობლიგაციებს ბეჭდავს – მუნიციპალურ ობლიგაციებს. ხალხში აგიტაციას ატარებს: „გვინდა პორტი ავაშენოთ? გეჭირდება ობლიგაცია! მოიგებთ კიდევ, მაგრამ რაღაცა დარჩება იმისთვის, რომ ქალაქის კეთილდღეობასა და პორტის მშენებლობას მოვახმაროთ“. ეს ობლიგაცია რამდენჯერმე (1903 წ. გამოიცა). ეს იყო ნოვატორობა, რეფორმატორობა. მიღებული თანხით მოიკირწყლა ქალაქის ქუჩები, გაკეთდა არხი – დრენაჟი ქალაქის გარშემო, ჭაობის დასაწრეტად და ქალაქიდან წყლის გასადინებლად. ნიკოლაძემ ააშენა ორი ხიდი, რომ ფოთის სხვადასხვა კუთხე ერთმანეთს დაკავშირებოდა. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიაღწია ნებართვას და დააწესა ნახევარკაპიტიანი გადასახადი – იგივე საბაჟო გადასახადი გატანილი ტვირთის ყოველ ფუთზე (16 კგ.). მაშინ, ძირითადად, ჰიათურის მარგანეცი

გაქონდათ. ამას საფუთო გადასახადი დაარქვა. პეტერბურგმა დაუჭირა მხარი, მოახერხა ნებართვის მიღება. „პორტი ხომ გჭირდებათ, როგორც კარიბჭე და მომეცით უფლება, აქ დაეაწესო ეს ნახევარკაპიკიანი გადასახადი ფუთზე, შენ მასესხე ფული და მე დაგიბრუნებ ამ ნახევარკაპიკიანი შემოსავლით“.

მისი ტენი სულ მოძრაობს, ეცნობა, სად რა ხდება და, შესაბამისად, აქ, საქართველოში რა გამოდგება, რა გაამართლებს, და ყველაფერმა გაუმართლა, რისი გაკეთებაც მოინდომა. ფოთი ევროპული ქალაქი ხდება, კეთილმოეწყო ქუჩები, აღარ არის ტყლაპო, ქვითკირის სახლები წამოიშართა და ა.შ. მისი გაანგარიშებით გაკეთდა ფოთში ბოლაზი და ისე სწორად შეირჩა ადგილი, რომ იქ დამდგარ გემს წყალწვა და ბუნების სტიქია არ ემუქრება. ახლაც არის ის ბოლაზი. ნიკოლაძემ იცის, რომ რკინა მალე ფუჭდება, იუანგება. ამიტომ უარს ამბობს რკინაზე. იტალიისა და საფრანგეთის პორტების გათვალისწინებით, მან პირველად გამოიყენა საქართველოში მშენებლობაში ბეტონი, ოღონდ, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა მოგონებები ადასტურებს, ეს ბეტონი ნავსადგურის მშენებლობისთვის კვერცხის ცილით იყო გამყარებული. ჩვენი სასახლეები, ციხე-კოშკები ხომ ასე შენდებოდა. ახლა გული მოგიკვდება, ისეა გამოხრული წყლით ეს ნაემისადგომი, მაგრამ ამ პორტის აშენებიდან უკვე საუკუნე გავიდა (მშენებლობა 1908 წელს დასრულდა).

საჭირო იყო ქალაქის განათება. ნიკოლაძის ვაჟს, გიორგის, ახლად დამთავრებული აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტი მათემატიკის ფაკულტეტი და გაგზავნილია მაკიეკაში (დღევანდელი დონბასი). ნიკო ნიკოლაძე ფოთიდან წერს სოფრომ მგალობლიშვილს, რომ „გიორგი ჩამოვა, ჩამოიყვანს სპეციალისტს და, ეგება, რიონზე პატარა ელექტროძრავიანი სადგური გაკეთდეს, რომ ქალაქი გაენათოთ“. ფოთის განათება მან მოახერხა, ოღონდ გაზის ფანრებით და ფოთი პირველი ქალაქია საქართველოში, სადაც ღამე ქუჩაში ინთება გაზის განათება. ჩემი ვარაუდით, ყველაზე საინტერესო ფოთის თვითმმართველობაში იყო ის, რომ გაიხსნა სკოლები – ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები. გაიხსნა პოლიციის სკოლაც. ნიკოლაძის მერობის დროს აშენებული პოლიციის შენობა დღესაც შემორჩენილია. იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, საუკეთესო შენობაა. ნიკო ნიკოლაძე მიიწვედა, რომ ვინც წესრიგს იცავს, ვისი იმედიც

უნდა ჰქონდეს ხალხს, ის ნორმალურად უნდა გამოიყურებოდეს. პორტი რომ აშენდა და დამშვენდა, დიდი შემოსავალი ჰქონდა. ნ. ნიკოლაძე თელის, რომ ეს არის კარიბჭე, რომლითაც საქართველო ევროპაში უნდა გავიდეს. ფოთის პორტს მის მერე არაფერი შემატებია ჯერჯერობით. ერთადერთი, საწყობების ფართი გაიზარდა. ნიკოლაძემ ელექტორი ააშენა შემოტანილი ხორბლის ფქვილად გადასამუშავებლად. 20 წლის განმავლობაში ირჩევდნენ მას ფოთის მერად ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ 1898 წელს სოხუმის საზოგადოებრიობა ნიკოლაძეს ეკითხება, თუ ვის გაუწევს იგი რეკომენდაციას სოხუმის მერის პოსტზე. მან აღექსანდრე სარაჯიშვილი ურჩია: „გამოგადგებათ, განათლებული კაცია, დაკვირვებულია, ეკონომიკური ცოდნა აქვს, ენებს ფლობს“ (სარაჯიშვილს პეტერბურგსა და ევროპაში ჰქონდა განათლება მიღებული).

ნიკოლაძემ, როგორც ქალაქის თავმა, სტიპენდიები დააარსა ფოთიდან რუსეთში ან ევროპაში სასწავლებლად წასული სტუდენტებისათვის. მის არქივში უამრავი წერილია, სადაც სტუდენტები სხვადასხვა ქალაქებიდან რჩევას ეკითხებიან ნიკოლაძეს. საოცარი კულტურაა, – ის უპასუხოდ არ ტოვებს არც ერთ წერილს, თან მინაწერს აკეთებს, რომ პასუხი გაგზავნა ამა და ამ რიცხვში.

### ისევ საბრალდებო სკამზე

ელექტორის მშენებლობა გერმანელთა ინვესტიციით ხდება, რომელსაც ფოთში თავისი წარმომადგენელი ჰყავს. ნიკოლაძე პეტერბურგში მიემგზავრება პორტის საქმეზე – კი აშენდა პორტი, მაგრამ პატარა მშენებლობები სულ გრძელდება. ამ წარმომადგენელს ნიკომ ფული ესესხა სამგზავროდ და ქრთამის აღება დააბრალეს. სასამართლოში დაიბარეს და წერილად დაკითხეს. არ დაუკავებიათ, მაგრამ გამოძიება 1914 წლიდან 1916 წლამდე გრძელდებოდა. ამ დროს ნიკოლაძე 70-ს გადაცილებულია. იგი ქუთაისში გაასამართლეს, ბრალი, არსებითად, არ დაუმტკიცდა, მაგრამ ლაფში ამოსვარეს დიდი მამულიშვილის სახელი. 2003 წელს ქუთაისში გამოიცა „ფოთის საქმე“ – მთელი სასამართლო პროცესის ოქმები. ამ ოქმებში ჩანს, თუ რა ზედმიწევნით იცის მან თითოეული კაპიკის მოძრაობა. აქ ბევრი ინტერესი იყო გადახლართული – რუსეთი ხომ ჩვენი

ხელით ვეაკეთებინებდა შავ საქმეს, ჩვენი ხელით ეჭრიდით ყელს ერთმანეთს. ასევე იყო ნიკოლაძის შემთხვევაშიც, – ვიღაცას უნდოდა ფოთის პორტის უფროსობა, ვიღაცა სხვა ინტრიგას ხლართავდა. გაამართლეს ნიკოლაძე, რასაკვირველია. ფოთის საზოგადოებრიობამ სამარცხეინოდ მიიჩნია, რომ მას 20 წლის დეაწლი ასე „დაუფასეს“ და თავად დაუნიშნა პენსია, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე სიცოცხლის ბოლომდე – 1928 წლამდე იღებდა. ამ სამარცხეინო ბრალდების მიუხედავად, იგი პატივს სცემდა კანონს, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატიული ფასეულობების დამცველი ადამიანი და როდესაც 1914 წელს მას სთხოვეს, გაძლოდოდა კახეთის რკინიგზის გაჭიანურებულ მშენებლობას (მას ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა), უარი განაცხადა: „მორალური უფლება არა მაქვს, ვიყო ხელმძღვანელი, რადგანაც ჩემი საქმე სასამართლოში გამოძიებულია. ყველანაირ რჩევას მოგცემთ, მაგრამ ხელმძღვანელი ვერ ვიქნები“. ეს არის უდიდესი პიროვნული ღირსების მქონე ადამიანის პასუხი.

ასეთი იყო ნიკო ნიკოლაძე.

გაზეთი „24 საათი“, 1 აგვისტო, 2005 წ.

## ჟურნალისტიკის ისტორიის სათავეებთან

ქართული ჟურნალისტიკამცოდნეობა ვერასოდეს დაივიწყებს ბ-ნ პაატა გუგუშვილის დეაწლს, რომელმაც შექმნა პირველი სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის ისტორიაში მაშინ, როდესაც ამ დისციპლინის შემსწავლელი მეცნიერული პატარა ჯგუფიც კი იმუამინდელ საქართველოში არ არსებობდა. „ქართული ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის“, ტ. I, ასე ეწოდება ამ წიგნს, რომელიც 1941 წელს დაისტამბა, მისი დაბეჭდვის ნებართვა ხელმოწერილია 1941 წლის 20 იანვარს, სამამულო ომის დაწყებას თვეები რომ აკლდა...

ამ წიგნში შესწავლილია მე-19 საუკუნის 20-50-იანი წლების ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მაშინ ერთად თავმოყრილი არ გახლდათ და სხვადასხვა საცავში იყო გაბნეული, არც სრული ბიბლიოგრაფია არსებობდა. პაატა გუგუშვილს მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაუმუშავებია და შეუქმნია კიდევ ეს შრომა, მაგრამ მისი გამოცემა შეეყოვნებულა. ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლის საფუძველზე ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის წარმოჩენა იმთავითვე ორ ტომად ჩაუფიქრებია მკვლევარს, მაგრამ „საგანი ბევრად უფრო ფართო, ღრმა და მრავალმხრივი აღმოჩნდა, ვინემ ამის გათვალისწინება მაშინ შეგეძლოო“, – აღნიშნავს ბ-ნი პაატა გუგუშვილი წიგნის შესავალში. ამიტომაც ოთხი ტომის მომზადება და გამოცემა განუზრახავს. სტიმული ამ შრომატევადი კვლევისათვის კი შემდეგი ყოფილა – „მიუხედავად საგნის სირთულისა და სიდიდისა, მაინც ვერ შევედევე იმედს, რომ ოდესმე დავასრულო ეს შრომა დაწყებული სიჭაბუკის ჟამს, როდესაც მეტად გადაჭარბებული წარმოდგენისა ვყოფილვარ საკუთარ შრომისუნარიანობასა და მეცნიერულ შესაძლებლობაზე“.

გულდასაწყვეტია, რომ გზის პირველგამკვალავმა ჟურნალისტიკაში, განზრახვა ბოლომდე ვერ მიიყვანა...

ვინც ბ-ნ პაატა გუგუშვილის მემკვიდრეობას იცნობს, მისთვის ნათელია ამ შრომისმოყვარეობით, პროდუქტიულობით, დღენიადაგ ახლის ძიების ჟინით შთაგონებული მოაზროვნის ინტერესთა მრავალმხრივობა და მიღწეული შედეგები. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების გზების მაძიებლისათვის

მე-19 საუკუნის ქართული პრესა ის თავანკარა წყარო იყო, რომლის გათვალისწინების გარეშე მისი ფუნდამენტური ტომეულები ვერ შეიქმნებოდა.

ჩემი ასპირანტობის ჟამს გავიცანი ბ-ნი პაატა უნივერსიტეტში, საოცრად დახვეწილ და ინტელიგენტ ნიკოლოზ ქოიავას კაბინეტში, რომელიც მაშინ უნივერსიტეტის პრორექტორი გახლდათ. დღესაც თვალწინ მიდგას მოძრავი, ენერგიით სავსე, გარკვეული აქცენტით მოსაუბრე ბატონი პაატა, რომელიც ჭროლა თვალებიდან სიკეთეს და სითბოს აფრქვევდა. იგი დიდი გატაცებით, მაგრამ შედარებით ხმადაბლა საუბრობდა ფილიპე გოგინაიშვილზე, რომლის პიროვნულ ღირსებებს გახაზავდა და საოცარ კრძალვასა და პატივისცემას გადმოგეცემდა იქ მყოფთ. ეს 60-იანი წლები გახლდათ, როდესაც ფილიპე გოგინაიშვილზე თავისუფლად საუბარი მხოლოდ იწყებოდა... ჩემს შეკითხვაზე, ბ-ნო პაატა, ჟურნალისტიკის ისტორიის ტომებს ველით, როდის გაგვახარებთმეთქი, ასეთი პასუხი მოვისმინე: „ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორია ქართული პრესის შესწავლის გარეშე არ დაიწერება, მით უფრო, მრეწველობისა და კაპიტალიზმის განვითარების სისტემატიზება შეუძლებელია მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების გაუთვალისწინებლად. მე-19 საუკუნის ქართულმა პრესამ შემოგვინახა კაპიტალიზმის განვითარების ეტაპებზე დაკვირვების საშუალება, მასალებს ამ პროცესების ანალიზისათვის ვაგროვებდი. მე ეკონომისტის პოზიციებიდან ვსწავლობდი პრესის საგანძურს, ეხლა ჯერი თქვენზეა, ჟურნალისტიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებზე, თუმცა, ვნანობ, ბევრი რამის გამოძხეურება რომ ვერ მოვახერხეო“.

შეხვედრები ბ-ნ პაატასთან სხვა დროსაც ბევრი ყოფილა. გასული საუკუნის 60-80-იანი წლების უნივერსიტეტის ცხოვრების გახსენება წარმოუდგენელია ამ დეაწლმოსილი პიროვნების გარეშე: ხან ოპონენტი პაატა გუგუშვილი, ხან დისერტანტის ხელმძღვანელი, ხან დაცვის საბჭოს თავმჯდომარე, ხანაც სუფრასთან მომღხენი და სიმღერის მოყვარული; სიკეთით სავსე ბრძენკაცი, ვინც გულდია და მიმნდობი იყო, ახალგაზრდობის გვერდში მდგომი და მასზე მზრუნველი, სიახლის განმჭვრეტი.

საიუბილეო კრებული „პაატა გუგუშვილი“, გამომცემლობა „სიახლე“, 2006).

## ნინუსი (ნინო) მახარაპის ბახსენება

ლექტორის პროფესია მისგან არა მხოლოდ დიდ ცოდნასა და სამაგალითო პედაგოგიურ ტაქტს მოითხოვს, არამედ, პირველყოვლისა, დიდსულოვნებას, უზადო მოთმინებას, კეთილშობილებასა და მოსმენის განსაკუთრებულ უნარს. ამასთან ლექტორი განსწავლულობასთან ერთად აღმზრდელის სიტბოსა და სიკეთეს უნდა ასხივებდეს, აუდიტორიასთან კონტაქტის საგანგებო ნიჭს ამჟღავნებდეს. ასეთი იყო პროფესორი ნინუსი (ნინო) მახარაპე, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკების პირველი კურსის შექმნის სათავეებთან იდგა. 45 წელზე მეტი ჟურნალისტიკის აღზრდას ემსახურა, ბევრი თაობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ბევრს გაუკვალა გზა მეცნიერებაში...

სიკვდილი მუდამ ნაადრევი და უღმობელია, წარსულში რომ ჩაგასახლებს და მომავლის გზას ჩაგირაზნავს, მაგრამ რას ტოვებ აწმყოში, – ამაზე სხვას დააფიქრებს... დიახაც, ნაადრევი იყო ნინუსის გარდაცვალება, რომელსაც ორიოდვე წლის წინათ უსამართლოდ ატკინეს გული...

ნინო მახარაპე გამოირჩეოდა დახვეწილი უბრალოებით, დიდბუნებოვნებით, ქალური გულისხმიერებითა და მრავალმხრივი განათლებით, რაც ასე ამასსოვრდება სტუდენტ ახალგაზრდობას, რომელიც მოწყენის გარეშე უსმენდა აუდიტორიაში მის ლექციებს რუსულ-ქართული ურთიერთობების, კავკასიაში გამომავალი რუსული პრესისა თუ თანამედროვე ქართულ-რუსულ პრობლემებზე. დრო თავისი კანონებით მიქრის, უკვე ორმოცი დღეც გაუიდა შენი ელდანაკრავი გარდაცვალებიდან... გფარავდეს უფალი ზეციურ საქართველოში. ჩვენს ხსოვნასა და გულებში კი არდავიწყების სხივით იკიაფვებ!

ჟურნალისტიკის ისტორიის ყოფილი კათედრის  
წევრების სახელით დალი ჩიკვილაძე  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
23 ოქტომბერი, 2007 წ.

## დიმიტრი ყიფიანი – შურნალისტი

მისი უდიდებულესობა პრესა – ის ასპარეზი იყო მეცხრამეტე საუკუნეში, რომელიც „სიტყვით ბრძოლის“ საუკეთესო ტრადიციას ამკვიდრებდა. „ჯერ ითქმება რამ, შემდეგ კი – იქმნებაო“, – სჯეროდათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს და მართალ სიტყვას ანთებულ ლამპარს ადარებდნენ, ბრძოლის იარაღად იყენებდნენ.

შემთხვევით როდი წერდა არჩილ ჯორჯაძე, – ილიამ სიტყვით შექმნა ერთიანი საქართველო. მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან სახელოვანმა ქართველმა პუბლიცისტებმა სიტყვით გაამთლიანეს ქართული სატკივარი, გააერთიანეს ამერიკის საფიქრალი, ეროვნული თვითმყოფადობის შეგნება ჩაუნერგეს თავადს, აზნაურს, მღვდელს, გლეხს თუ ვაჭარს.

დიმიტრი ყიფიანი ის გამოირჩეული მამულიშვილი გახლდათ, ვინც „ურნალ-გაზეთობით“ ქართული ენის განუმეორებელი ძალა და მნიშვნელობა აუხსნა მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მკითხველს და არა მხოლოდ მათ, – იმ რუს მოხელეთაც, ვინც განაგებდა ქართული კულტურისა და განათლების ბედს იმჟამინდელ საქართველოში: „მშობლიური ენა ყოველი ხალხის წმინდათა წმინდაა და მის ხელყოფას, გარდა შეურაცხადობისა, შეუძლებელია რაიმე გამართლება მოეპებნოსო“, – არწმუნებდა იგი გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს, რადგან მიაჩნდა, რომ ენა საყრდენია, ხალხის განვითარებისა და წინსვლის საფუძველია, ენა აქცევს ერს ერად, ხალხს ხალხად, ვინც „ენას გადაივიწყებს, იმას ხალხის სახელი აღარა ჰქვია“, ... ენის გარეშე ერი კვდება, „ვისაც თავისი ენა არ ახსოვს, მას არც დედა გააჩნია, არც ნათესაობა, გამოყრუებულებით, გამორიცხულებით არის ქვეყანაში“. ენის მსახურება ერთიანი საქართველოს ყველა კუთხის ვალია, სწამს დიმიტრი ყიფიანს და არცთუ მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში ქართული ენის პატივისცემას, ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას ქადაგებს, მით უფრო, მისი აზრით, ამ ენას არაჩვეულებრივად მეტყველი და ხატოვანი დამწერლობა გააჩნია, რომელიც ერთი უძველესთაგანია მსოფლიოში. დიმიტრი ყიფიანი ყოველთვის, როცა ამის საბაბი



ექლევოდა, აღნიშნავდა ქართული ენის წარმოშობის სიძველეს, გამოკვეთდა მის სახიერებას, ფორმების სიმდიდრეს, ქართული ანბანის სიმარტივეს და სრულყოფილებას, მიაჩნდა, რომ თანამედროვე ენის წეს-კანონები ევროპის არც ერთი ენის წეს-კანონებს არ ჩამოუყვარდებოდა და უხსოვარი დროიდან მომდინარეობდა: „ქართული ენის ანტაგონისტებს, ცოტა არ იყოს გაუყვირდებათ, როცა შეიტყობენ, რომ ამ ენას აქვს ისეთი გასაოცარი სახიერება და სიმდიდრე ფორმისა, ევროპის არც ერთ ძველსა თუ ახალ ენას არ მოეპოვება და რომ ქართული ყველაზე მარტივია და სრულყოფილი დღესდღეობით ცნობილ ანბანთა შორის, დიდი ხანია აღარც ამაზე კამათობს ვინმე“ („ბატონ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს“).

ეს უძველესი ქართული ენა მეცხრამეტე საუკუნეში დევნა-შევიწროებას განიცდიდა. პატრიოტი ქართველი მამულიშვილები კი პრესის ფურცლებიდან თავგამოდებით ებრძოდნენ რუს მოხელე-რენეგატებს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის, ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის გამო.

როდესაც კავკასიის ახალი „პოპენტიელი“ (განათლების ხელმძღვანელი) კირილე იანოვსკი თბილისში ჩამოვიდა (მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლები), მას იმედით შეხვდნენ განათლების ჭირისუფალნი. ისინი ფიქრობდნენ, რუსის მოხელე საქართველოში იგივე პოლიტიკას გაატარებდა, რუსეთში ფრანგულ ენაზე სწავლების წინააღმდეგ ბრძოლით რომ გამოირჩა, მაგრამ იანოვსკი რუსიფიკატორული იდეოლოგიის ბურჯი გახდა საქართველოში. მან პოლიტიკა და პედაგოგია ერთმანეთში უტიფრად აურია, განათლების მშობლიურ ენაზე დაწყების სადი და საჭირო მოთხოვნა დაივიწყა, სასოფლო სკოლებში დაწყებითი კლასებიდანვე რუსული სწავლების დაკანონების დეკრეტი გამოსცა, რამაც ქართველი მამულიშვილების დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ილია ჭავჭავაძემ („ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“), სერგეი მესხმა („ღია წერილი ბ. იანოვსკის“), იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა დინჯი, არგუმენტებით გაჯერებული, ლოგიკით შეკრული უმწვავესი პოლემიკა გაუმართეს იანოვსკის.

დიმიტრი ყიფიანს „მგზნებარედ წარმოთქმული, უსამართლოდ განგმირული ალბორგებული გულის გვემა“ ამოუკითხავს „დროებაში“ დაბეჭდილ ს. მესხის წერილში და გაოგნებისაგან ზეზე წამომხტარა, „როგორ თუო!“ წამოუძახია და პასუხად დაუწერია „ბატონ იანოვსკის ორგვარი შეცოდება“.

წერილის პათოსია: რუსის მოხელემ ს. მესხის „ბრალდებები“ ან უნდა უარყოს და სიცრუე დაუსაბუთოს ს. მესხს, ან აღიაროს, „მე ვასრულებ ნებასა მომავლინებელთა ჩემსაო“ და ბოდიში მოუხადოს მკითხველ საზოგადოებას. არც ერთის თავი აქვს იანოვსკის და არც მეორის.

მსჯელობის სიმწვავე შემდეგშია: ვის რა დაუშაყა ქართულმა ენამ, იმ ენამ, რომელიც ძალიან კარგად იცოდა თავდადებულმა რუსის მხედრობამ, ვინც გმირობით ასახელა რუსეთის სამხედრო თუ საერო მმართველობა ძველ და ახალ დროში? „რა შეგცოდეს თქვენ, ამ მომავლინებელთა თქვენთა იმ ქართველებმა, რომელნიც რუსებთან ძმურად ხელი-ხელს გადაბმულნი რუსეთის დიდებისათვის თავის წმინდა სისხლს ანთხევდნენ და რუსეთის მხედრობას მიუძღვებოდნენ, საითაც მსახურების ვალი იწვევდათ?“ („ბ-ნ იანოვსკის ორგვარი შეცოდება“).

მთავარ სათქმელს შემდეგგვარად გამოკვეთს დიმიტრი ყიფიანი: მერე რა ენის გაქრობას გვირჩევეს ბ-ნი იანოვსკი, რომელზედაც ქრისტიანობა იქადაგა ნინო მოციქულმა, რომელზედაც ლაპარაკობდა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნაოობი, შოთა რუსთაველი, პეტრიწი, სჯულმდებელი ვახტანგ მეფე, რომლის „ანბანი არის უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან!“

თუ იანოვსკი არ დაამტკიცებს თავის ბრალდებებს, იგი შემცოდავი იქნება ორგვარად – რუსეთის წინაშე, რომ ყველაზე ერთგული ხალხის გაორგულება განუზრახავს და მეორე – მეცნიერების, პედაგოგიკის წინაშე, რომელიც ამტკიცებს – ყრმა ჯერ მშობლიურ ენაზე უნდა აღიზარდოს, შემდეგ უნდა ისწავლოს სხვა ენა, „ვისაც თავისი ბუნებითი ენა ვერ შეუსწავლია, სხვა ენას უფრო ვერ შეისწავლის, ეს საზოგადო თვისებაც მოგეხსენებათ ადამიანისა, რომ რასაც უწლიან, იმას უფრო ეტანება“.

დიმიტრი ყიფიანი იმედს გამოთქვამს, რომ იანოვსკის მსგავს მოხელეთაგან შევიწროებულ ქართულ ენას თვით ქართველები უფრო მეტი გულისყურით მოექცევიან, მის სიყვარულს განიმტკიცებენ. რუსულს დაეწაფება ის, ვისაც თავისი ქართული ზემიწვევით კარგად ეცოდინება, რაც იმ ბუნებრივ თვისებად მიანიხია პუბლიცისტს, ზნეობრივი ძალა რომ ჰქვია, „რომლითაც უძრავი იძერის, ურყეველი ირყევა და უშენი შენდება“ („ბატონ იანოვსკის ორგვარი შეცოდება“).

დიმიტრი ყიფიანის რწმენით, არ შეიძლება საზოგადოებაში, ოჯახში, სახელმწიფოში ყველამ ერთი და იგივე საქმე აკეთოს, ერთი და იგივე წესით იცხოვროს, ყველას როდი შეუძლია ერთ თარგზე გამოჭრაილივით იმოქმედოს, ერთი და იგივეთი იკეპოს, ერთნაირი სამოსით შეიმოსოს, ერთსა და იმავე ენაზე ილოცოს, ერთნაირი ცხოვრებით იცხოვროს. სახელმწიფო ენის ცოდნა საჭიროა ყველასათვის, ვინც სახელმწიფო სამსახურშია. სახელმწიფო ენის შესასწავლად ხელისუფლება ფულს არ ზოგავს, მაგრამ გარდა ფულისა საჭიროა მეცნიერების კანონების ცოდნაც, პედაგოგიკის მიღწევების გათვალისწინება, რაც ხშირად „არამკითხე მოღვაწეთა“ პროფანაციის მსხვერპლიც ხდება. პედაგოგიკის კანონებით პირველდაწყებითი განათლება ყმა-წვილმა უსათუოდ მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში არ მოხდება მოზარდის ცნობიერების დაჩლუნგება, მაგრამ ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ ერთიანი სახელმწიფო ენის შემოღებისათვის საჭიროა ამ სახელმწიფოს შიგნით არსებული ყველა სხვა ენის მოსპობაო. ოფიციალურ დაწესებულებათა შეუფერხებელ საქმიანობას ოფიციალური სახელმწიფო ენა სჭირდება. „მშობლიურ ენაზე სწავლება დიდად შეუწყობს ხელს ქვეყანაში ოფიციალური სახელმწიფო ენის გაერცვლებას“.

ხოლო პეტერბურგში დაბეჭდილი „ქართული გრამატიკის“ გამოცემის გამო რუსული პრესის გაგულისებას („იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ კრიტიკული წერილით „გააბაიბრუა“ დიმიტრი ყიფიანის „გრამატიკის“ პეტრეს ქალაქში გამოცემა 1882 წელს) დიმიტრი ყიფიანი მარტივ საფუძველს უძებნის: ეს გრამატიკა სახელდახელოდ დაწერე ჩემი შეილებისათვის, რათა მათთვის ამეხსნა თანამედროვე ცოცხალი სასაუბრო ქართული ენის წეს-კანონები და პეტერბურგში რომ დაიბეჭდა, ამიტომ შეიქმნა რუსული პრესის „ყურადღების ღირსიო“.

დიმიტრი ყიფიანის დამოკიდებულება ქართული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა-გავრცელებისადმი კარგად ჩანს 1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში „ჩემო გულის-თად საყვარელო თეიმურაზ“. პუბლიცისტი წუხს იმის გამო, რომ მთელს კახეთში, ქართლში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელო-აფხაზეთში 118 კაცი თუ მოიძებნება, ვინც „ცისკარს“ იწერს და შეიდ მანეთს არ იშურებს, ამასთან დ. ყიფიანი ჟურნალ-

ლის მკითხველთა სამგვარ ფსიქოლოგიურ ტიპს გამოყოფს:

1. ვინც უურნალს იწერს იმიტომ, რომ არ თქვან, ამა და ამ კაცმა ხელი არ მოაწერაო (საზოგადოებას უწევს ანგარიში);
2. ვისთვისაც სულ ერთია, ექნება თუ არა უურნალი – „მქონდეს, როცა იქნება ან მე წავიკითხავ ან სტუმარს წავეკითხებო“;
3. იმისთვის ვიწერ, ვგებ ძილი მომგვაროს ხოლმეო. ამგვარი ხელმომწერების გამო ნიჭიერი მწერალი კალამს ძირს დებს და უურნალის საქმე წინ ვერ მიდის. დასაბნანია, რომ მთელს საქართველოში 118 კაცია, ვინც უურნალისათვის, ანუ ენის განვითარებისათვის, არაფერს იშურებს, საუბარი წერას დაპბადებს და წერა საუბარს განაღვიძებს, ანუ სადაც წერა და მწიგნობრობა არ არის გაცხოველებული, იქ საუბარიც დუმს, რის გამოც ადვილია ენაც გადავარდეს („ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ“). „უურნალს რომ ბევრი წამკითხველი ეყოლება, – განმარტავს დიმიტრი ყიფიანი, – ამით ქართულ ენას ბევრი ქომაგი გაუჩნდება, იმ ჩინებულს, უხეს, მდიდარს და საგანგებოდ გამოქნილს ქართულს ენას, ჩვენის უმადურობით, დაუდევრობით, უყურადღებობით რომ დასუსტებულა, დაღონებულა. ფრთებჩამოყრილა“.

დიმიტრი ყიფიანის გასაოცარი პასუხისმგებლობის მრავალთაგან ერთ-ერთი ეპიზოდი უნდა მოვიხმოთ: გაზუთ „დროებაში“ 1885 წლის 20 აგვისტოს დაიბეჭდა ქვიშხეთიდან გამოგზავნილი მისი წერილი, რომელიც ბათუმის ბეგების (თაყალების – დ.ჩ.) მიერ „დროებაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციის საპასუხოდ დაიწერა. დიმიტრი ყიფიანი ამ დროს ქუთაისის საგუბერნიო თავადაზნაურობის მარშლად იყო არჩეული, მაგრამ ოფიციალურად ჯერ არ დაემტკიცებიათ. ამიტომაც, ვიდრე მარშლობა ოფიციალურად არ დაუდასტურდებოდა, დიმიტრი ყიფიანმა არ იკადრა ბათუმელი ბეგებისათვის რამ დაპირება მიეცა (რომლებიც ითხოვდნენ ქართველი თავადების თანახმორი უფლებების აღდგენას ახლად შემოერთებული ბეგებისათვის). დიმიტრი ყიფიანი პატივისცემით და გაგებით აუწყებს ბათუმელ დიდგვაროვნებს, რომ „დროს ველოდი, რომ ხმა გამომეცა, რომელიც მე მომეთხოვებოდა... ჯერ არ შეესულვარ თანამდებობაში, მაგრამ მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, მოგახსენოთ, რომ აუცილებლად თქვენი სურვილის აღსრულებას საქმედ ვაქცევო...“

საკმარისია გავიხსენოთ დიმიტრი ყიფიანის პასუხი კავკასიის მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვისადმი, რომ ერთხელ კიდევ წარმოინდეს სამშობლოს სიყვარულით ანთებული, პოლემიკის დროს გაბედული, შეუვალი პიროვნება. მთავარმართებლის „ბრალდებისათვის“ დ. ყიფიანს საჯაროდ უპასუხია: „ქართველი პატრიოტის როლს თამაშობსო, უბრძანებია მის უმადლესობას, არის თუ არა ამაში რაიმე ნიშანი დანაშაულისა? მე როლს არ ვთამაშობ, ჭეშმარიტად ქართველი პატრიოტი ვარ! ოღონდ ვგაა, არა თქვენებური, არამედ ჩემებური გაგებით“.

ერთი დახვეწილი ჩუქვაც ამ პიროვნებისა, ვინც არასდროს იტყოდა „ქოს“ საცა „არა“ იყო საჭირო და არასდროს წამოიცდენდა „არას“, საცა „ქო“ უნდა გაბატონებულყო (ილია ჭავჭავაძე).

დიმიტრი ყიფიანი განსაკუთრებული პატივისცემით მიმართავდა გაზეთის ხელმძღვანელს. ყოველი წერილი დიმ. ყიფიანისა იწყება ასე: „უფალო რედაქტორო!“, „ბატონო რედაქტორო!“, „პატივცემულ რედაქტორს!“ – ეს იმის მიუხედავად, ეკამათებოდა თუ ეთანხმებოდა გაზეთის პოზიციას, მის გამოქვეყნებულ სტატიას, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ თვალსაზრისს, – ფორმა მიმართვისა იყო საკადრისი და ღირსეული, რაც მისაბაძია დღესაც, ხვალაც და ყოველთვის, ვიდრე ერთი პიროვნება მეორეს ბეჭდური ხერხით დაეკონტაქტება.

დალი ჩიკვილაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წაკითხულია დიმიტრი ყიფიანის წმინდანად შერაცხვისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ოქტომბერი, 2007 წ.

იბეჭდება წიგნში – „დიმიტრი ყიფიანი“, რომელსაც გამოსცემს „ნოხოსანთა“ საზოგადოება.

## ჟურნალისტიკას სკოპენ

პროფესორი ლალი ჩიკვილაძე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის მეხუთე გამომშვების კურსდამთავრებულია. უკვე 45 წელია, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მოღვაწეობს და არაერთი თაობის აღმზრდელია. ქალბატონი დალი სამართლიანად ითვლება უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის და, საერთოდ, ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მემბტიანედ.

იგი ჩვენთან საუბრისას დედა-უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის განვითარების ეტაპებს იხსენებს და ამბობს, რომ ბოლომდე იბრძოლებს იმისათვის, რათა ჟურნალისტიკა „მეორად პროფესიად“ არ გადაიქცეს.

**ლალი ჩიკვილაძე:** – 1979 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება ჟურნალისტიკის ფაკულტეტად ჩამოყალიბდა. დეკანი გახლდათ პროფესორი ლავით ბაგვაზარაძე. შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, გარკვეული ინტრიგები წავიდა და 1981 წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის პოსტზე დავით გამეზარდაშვილი ნოზარ ტაბიძემ შეცვალა. 1996 წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი გახდა ნუგზარ შოშხაძე. უნდა ვთქვა, რომ ნუგზარ ფოფხაძე იყო წარმატებული ხელმძღვანელი ამ ფაკულტეტისა. მოსელისთანავე გარდაქმნა სასწავლო პროგრამები, შეამცირა ფილოლოგიური დატვირთვის დისციპლინები და შემოიღო ჟურნალისტიკისთვის აუცილებელი იურიდიული, ფსიქოლოგიური და საერთაშორისო სამართლის საგნები. ამასთან, სრულიად შეცვალა მეექვსე კორპუსის იერსახე. გაარემონტა აუდიტორიები, შემოიტანა შესანიშნავი მერხები, მაპატიეთ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ოთხივე სართულზე გააკეთა საპირფარეშოები!

ნუგზარ შოშხაძემ პირველ სექტემბერს დააწესა სტუდენტთა შეხვედრები სხვადასხვა ღვაწლმოსილ ადამიანებთან, მისი დეკანად გახდომის პირველსავე წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები დალოცა კათალიკოს პატრიარქმა ილია მთოროზმ. ნუგზარმა ჩაუყარა საფუძველი ჟურნალისტიკის ფაკულ-

ტეტის პირველ კურსელთათვის უნივერსიტეტის I კორპუსის პანთეონის ისტორიის გაცნობას, რომელსაც ხალისით უძღვე-  
ბოდა აკადემიკოსი მარია მლორთიშანიძე. სტუდენტები აღიოდ-  
ნენ მთაწმინდაზე, სადაც დაკრძალულია უნივერსიტეტის ერთ-  
ერთი რექტორი ილია ვეკუა. იქიდან კი ჩამოვდიოდით საპა-  
ტრიარქოში, სადაც უწმინდესი გელოცავდა და სტუდენტებს  
„ბიბლიით“ ასაჩუქრებდა.

– ეს ტრადიცია ახლა არსებობს?

– ხუმრობთ? ვინ არის ამ ტრადიციის გამგრძელებელი?

– ქალბატონო დალი, ამხელა ისტორიისა და ტრადიციების  
ფაკულტეტს ახლა, ფაქტობრივად, მოსპობა, ჟურნალისტიკას  
კი „მეორად პროფესიად“ გადაქცევა ემუქრება როგორ შეხვედით  
ამ ამბავს?

– ეს აღმაშფოთებელი ამბავი ბატონმა პაიჭაძემ<sup>1</sup> აღდგომის  
წინ, დიდ ხუთშაბათს გვამცნო, – ბევრი სტუდენტი გეყავს, ვერ  
ვასწავლით და ამიტომ ჯობს, ორწლიან სწავლებაზე გადა-  
ვიდეთო. ეკონომისტებს, ისტორიკოსებს, იურისტებს, სხვა სპე-  
ციალობის სტუდენტებს, რომლებიც მოინდომებენ მეორად სპე-  
ციალობად ჟურნალისტიკის შესწავლას, ვასწავლოთ, ბევრი  
სტუდენტი არ გევეყოლებათ! ბაკალავრიატი გაუქმდეს, მაგის-  
ტრატურა და დოქტორანტურა კი დავტოვოთო. პირველი შე-  
კითხვა, რაც პაიჭაძეს დაეუსვი, ასეთი იყო. ვის მოუპიდა თავში  
ეს ყველაფერი-მეთქი? მეო, მითხრა.

პაიჭაძემ უამრავი საგანი ამოიღო ჟურნალისტების სასწავლო  
პროგრამიდან. დღეს ჩვენს ფაკულტეტზე არ ისწავლება საქარ-  
თველოს ისტორია და ქართული მწერლობის ისტორიის არცერ-  
თი პერიოდი, არც რუსული და ევროპელი ჟურნალისტიკის  
ისტორია.

– როგორ ფიქრობთ, ამდენი საგნების ამოღება პაიჭაძემ  
დამოუკიდებლად გადაწყვიტა?

– ერთ ისტორიას გავიხსენებ, რომლითაც ბევრ რამეს მიხ-  
ვდებით: ერთ დღეს ჩვენთან ფაკულტეტზე ძალიან გაკვირვე-  
ბული და აღშფოთებული ჩვენი მაგისტრანტი მოვიდა და გა-  
ნაცხადა: „თავისუფლების ინსტიტუტში“ ვნახე, ჩამოწერილი  
იყო საგნები, ეწერა „ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სასწავლო

1. ეს „პერსონა“ ღარჩება „დაუვიწყარი“ უნივერსიტეტში ჟურნალის-  
ტთა აღზრდის კერის დასამარების მცდელობით.

პროგრამაო“. ეს იყო სამი წლის წინათ, როცა პაიჭაძე მოვიდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელად. ალბათ, პაიჭაძე კონსულტაციებს „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ იღებდა.

– თქვენი აზრით, ჟურნალისტიკის ოთხწლიანი სწავლების გაუქმებისა და „მეორად პროფესიად“ გადაქცევის იდეა პაიჭაძის თავში მომწიფდა, თუ მას ამ საკითხშიც ჰყავს კონსულტანტები?

– „იმედის“ დარბევა, ჟურნალისტებისათვის პირის ამოკერვა, ხელისუფლების მხრიდან პოზიციის გამჟღავნება – გაზუთებს არ ვკითხულობთო, მაშინძრებინებს, რომ ეს პირადად პაიჭაძის იდეა არ უნდა იყო. პაიჭაძე, როგორც ახალგაზრდა კაცი, გასაწირად არ მემეტება.

– რა მიზეზს უნდა ემსახურებოდეს ჟურნალისტიკის „მეორად პროფესიად“ გადაქცევა?

– ამაჟრად, ამ ხელისუფლებას ჟურნალისტები არ სჭირდება. მე ასე ვუვიქრობ.

გაზეთი „ასაველ-დასაველი“, 9-15 ივნისი, 2008 წ.



**მინ არის ბატ. დ. კაიჯაპე – ჟურნალისტთა  
„ღამგალანსებელი“ თუ მისაზღაპე?**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტის მიმართულებაზე (ასეთია ყოფილი ჟურნალისტის ფაკულტეტის დეფინიცია დღეს) ა.წ. ივლის-აგვისტოში ნატარდა აკადემიური პერსონალის ასარჩევი კონკურსი, რომელიც ვერ დასრულდა დადგენილ ვადებში და სექტემბერში გაგრძელდა. ასარჩევი იყო ერთი სრული და რვა ასოცირებული პროფესორი. სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი განაცხადი შევიდა, ასოცირებული პროფესორის რვა ადგილზე კი – 17. უნივერსიტეტის ვებგვერდზე კონკურსის პირობებთან ერთად არ გამოქვეყნებულა კრიტერიუმები და ქულები, რითაც შერჩევა უნდა მომხდარიყო, რის გამოც ბურუსით მოცულია შეფასებათა შკალა, თანაც, ქულები სხვადასხვა მიმართულებაზე განსხვავებული აღმოჩნდა. თავმჯდომარედ ყველგან ერთი – პროფესორი ირაკლი კალანდია მოიაზრებოდა. დღემდე გაუგებარია, რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ კომისიის თავმჯდომარე და ქვეკომისიის წევრები, რა მონაცემებზე წერდნენ ქულებს, რა დამსახურებისა და ღირსებისთვის აფასებდნენ კონკურსანტებს (ვებგვერდზე დღესაც არაფითარი ინფორმაცია არ დევს). ქვეკომისიის მუშაობა უფრო გამართული, შეუმცდარი და კვალიფიციური იქნებოდა, მისი შემადგენლობა სხვაგვარად რომ შერჩეულიყო. ჟურნალისტთა ქვეკომისია მთლიანად დაკომპლექტდა ე.წ. ექსპერტებით, ანუ იმ ადამიანებით, რომელთაც არ გააჩნიათ არც სამეცნიერო ხარისხი, არც სამეცნიერო წოდება. მათი გვარებია – პ. ვეშაპიძე, ა. ასათიანი, ნ. ჟივილაშვილი, გ. ლომსაძე, ს. ჭაავა. საკითხავია, რამდენად კომპეტენტურნი არიან ისინი სასწავლო პროცესების ექსპერტიზასა თუ უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიაში? ვინ მიანიჭა მათ „ექსპერტის“ ტიტული? საუნივერსიტეტო სწავლება და ჟურნალგაზეთების ექსპერტობა ერთმანეთთან ახლომდგომი ფენომენია?! როდის შემდეგ ირჩევს სრულ ან ასოცირებულ პროფესორს უხარისხო მედიაექსპერტი?

ამ პატივცემული „ექსპერტებით“ კომისიის დაკომპლექტება სხვა მიზნით იყო ნაკარნახევი, რაც ჟურნალისტიკის მიმართულების უფროსი ლაბორანტის (ახლა უფროსი სპეციალისტი რომ ეწოდება) დ. პაიჭაძის „გამომგონებლობას“ უკავშირდება. მან ა.წ. მაისში ჟურნალისტიკის ბაკალავრიატის ოთხწლიანი სწავლების ორწლიანით შეცვლის გეგმა შეიმუშავა, რასაც თქვენი გაზეთი 102 სახელგანთქმული ადამიანის ხელმოწერით ძელეუვარედ გამოეხმაურა, რათა ჟურნალისტთა აღზრდის პირველი საძირკველი უნივერსიტეტიდან არ გაიქრალიყო. მაშინ, მაისში, ეს არ მოხდა, მაგრამ აკადემიური პერსონალის ასარჩევ კონკურსში „დაისაჯა“ ყველა ის, ვინც აქტიურობდა და წინააღმდეგობა გაუწია ბატ. პაიჭაძეს. მას არც გამოცდილება და ცოდნა უწყობს ხელს, რომ ჟურნალისტთა კადრების აღზრდას წაუძღვეს. ორმოცს გადაცილებულმა ჯეელმა ახლახან ძლივს ჩააბარა გამოცდები დოქტორანტურაში პოლიტოლოგიის სპეციალობით. ჰოდა, დაადგეს პოლიტოლოგიის შემეცნების გზას, თავი დაანებოს ჟურნალისტიკას. ვინ ეკითხება მას ჟურნალისტთა მომავალი თაობის „დაბალანსებას“?! (ადმინისტრაციას აშინებს, სააკაშვილის და ლომიას გამოგზავნილი ვარო... შემცდარან ხელასუფალნი, თუ სიმართლეა ეს ქაღილი უფლების გადამეტებით გატაცებული ბატ. პაიჭაძისა?).

როგორც ირკვევა, ბატ. პაიჭაძემ უნივერსიტეტის ქვეკომისიის პატივცემულ წევრებს მისცა დავალება – „კომუნისტური იდეოლოგიით აღზრდილი ძველი კადრი არ გაააჭაჭანოთ“ (თვითონ, უთუოდ, მარსზე სტერილურად აღიზარდა!), და ექვსი ასოცირებული პროფესორიდან ოთხი დარჩა უნივერსიტეტის მიღმა. ოთხიდან მხოლოდ ერთს „ერგო პატივი“ კომისიის გასაუბრებაზე გამოაახებისა. შენიშვნები შემდეგი იყო:

1. ვრცელია XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის სილაბუსი. 60 აკადემიურ საათში როგორ ახერხებთ ამ პროგრამის გადაცემას? (სასწავლო პროცესში ჩაუხედავისთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ცოდნის გადაცემას გამოცდილება და მასალის ზედმიწევნით ფლობა სჭირდება).

2. სახელმძღვანელო – „ქართული პუბლიცისტიკა. ქრესტომათია. XIX საუკუნე“ – დიდია, სტუდენტი როგორ აითვისებს 400 გვერდსო (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქრესტომათია პირველია ჟურნალისტიკამცოდნეობაში, რომელშიც შერჩევით შეტა-

ნილია პუბლიცისტური სტატიების კლასიკა სოლომონ დოდაშვილიდან ნოე ჟორდანიამდე, ამ წერილების უმეტესობა სტუდენტისთვის მიუწოდებულია, რადგან მეცხრამეტე საუკუნის პრესის ფურცლებზეა გაფანტული, ამასთან ქრესტომათიაში ყველა პუბლიცისტის მოღვაწეობის ძირითადი შტრიხები, პორტრეტები და ჟურნალ-გაზეთების ილუსტრაციებია დასტამბული. ეს სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა 2008 წელს).

3. რატომ ითხოვთ გამოცდაზე წერილობით ილია ჭავჭავაძის „ქეათა ღაღადის“ შინაარსს? (ფიქრობ, სტუდენტმა უნდა იცოდეს ამ ნაწარმოების შექმნის ისტორია, პოლემიკის ოსტატობა, რა არგუმენტებით უნდა ებრძოლო მოძალადესა და მიმტაცებელს).

4. ყველაზე „ჩამჭრელი“ შეკითხვა – რამდენი სტუდენტის პასუხია ძალიან კარგი, „ფრიადზე“ რომ აფასებთ. პასუხი – 40 ბაკალავრიდან 12, ე-ი მეოთხედი? – გაიკვირვა „განათლებულმა“ ექსპერტმა (როდის ყოფილა, რომ ამაზე მეტი „ფრიადი“ იწერებოდა, თუ ცოდნას აძლევენ და ითხოვ კიდევ?).

5. განსწავლულმა „ექსპერტმა“ (პ. ვეშაპიძემ) ილია ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვის“... გადაცემის მეთოდოლოგია „მოითხოვა“. განმარტება ამ პუბლიცისტური წერილის სწავლებისა დაწერილობით მოისმინა. ვინ იცის, დაკმაყოფილდნენ თუ არა ქვეყნის იის ექსპერტები, მათ შეუფასებები არ გაუმქლავნებიათ, ერთი კი ბრძანეს: ოთხი მონოგრაფია უდრის ერთ გრანტში მონაწილეობასო, რაც 20 ქულით ფასდებაო, თქვენ გრანტში მონაწილეობა არ გაგაჩნიათო (ელავე „გრანტიჭამია“ ახალგაზრდებს, სად მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სამეცნიერო გამოკვლევა, კონფერენციების ხელმძღვანელობა და სად გრანტი, რომელიც ხშირად მხოლოდ მავანთა ჯიბეებში ჩადის, სტუდენტს კი არაფერს მატებს!..).

ჟურნალისტთა აღზრდაზე ფიქრმა უნდა შეაწუხოთ ყველა განათლებული მამულიშვილი. იქ, სადაც არ ასწავლიან ქართული ლიტერატურის ისტორიის არც ერთ პერიოდს, საქართველოს ისტორიას, არც ერთი ქვეყნის ჟურნალისტიკის ისტორიას, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას დიდი დატვირთვა აქვს, იგი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ფართო ასპარეზია, რაც ეროვნული თვითშეგნების მყარ ფუნდამენტს ქმნის. როგორც ჩანს, ეროვნული მუხტით სტუ-

დენტის აღზრდა „აწუხებს“ ბატონ პაიჭაძეს, თორემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირსება მისთვის უცხო ხილია, ის ხომ საკუთარი სურვილით ფლანგავს უნივერსიტეტის სახსრებს (სხვა ორგანიზაციებიდან დადის მივლინებებში, მაგრამ განცხადებას არ წერს ადმინისტრაციის სახელზე, იღებს ორ ხელფასს უნივერსიტეტში. როგორც უფროსი ლაბორანტი, ანუ უფროსი სპეციალისტი 10 საათიდან 6 საათამდე უნდა უნივერსიტეტში ბრძანდებოდეს, მაგრამ ის ხომ შეუცვლელი რადიოდირექტორია! ამიტომ 4 საათიდან რადიო რედაქციისკენ მიემშურება, მაშინ როდესაც ამ თანამდებობის სხვა თანამშრომლებს ხუთი წუთით დაგვიანება ეკრძალებათ.).

დრო მიდის, ქვეყანა იცვლება, ამ ცვლილებებს თუ ფეხი არ აუწყე, წუთისოფელი გაგრიყავს, დაგანლუნგებს... ორმოცდახუთი წელი უურნალისტთა აღზრდაში მოიკეცა ისე, რომ ვერც კი გაეიგე. ბევრი აღზრდილის მადლიერებით ეხარობ დღესაც, მაგრამ სინანულის გრძნობით ვამთავრებ ამ ვრცელ ინფორმაციას. უმადურობა ფრიად მუხთალი და შესაზარი ყოფილა...

„საქართველოს რესპუბლიკა“, 30 სექტემბერი, 2008 წ.

## „ლობიო და თევზი მოხარშე და ძელეხისტვის ბაემზადეო“

### წინათქმა:

რუსული აგრესიის შემდეგ, ყველაზე აქტუალური თემა ქართული მასშედიის უსუსურობაა. რამდენად ობიექტურად აშუქებენ ტელევიზიები მოვლენებს, ისედაც თვალსაჩინოა. ამჯერად იმის შესახებ მოგახსენებთ, რაც ტელეკრანს მიღმა, უნივერსიტეტის კედლებში ხდება. მაშინ, როცა ხელისუფლებას ტელევიზიებზე ზეწოლაში ადანაშაულებენ და ქართულ მედიას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე, იქ, სადაც ქართველი ჟურნალისტები იწრთობიან, ქაოსია. აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად უნივერსიტეტიდან დაითხოვეს წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები ელდარ იბერი, მარინა ლომიძე, თათია მჭავანაძე და დალი ჩიკვილაძე, რომელსაც უნივერსიტეტში მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა და არაერთი მონოგრაფიის ავტორია. როგორც ქალბატონი დალი ბრძანებს, ჟურნალისტიკის ისტორიაში მეცნიერულ კვლევა-ძიებას ასამარებენ. ის, რაც ჩვენს ფაკულტეტზე ხდება, ზოგადად, ქართულ ჟურნალისტიკაზეც აისახებაო... მართლაც, ნათქვამია, წყალი სათაეიდან იმღვრევაო, თუ აქამდე, „თაყისუფლების ინსტიტუტი“ ზედაპირულად ზეერაჟდა ქართულ მედიას, დღეს ამ ინსტიტუტის წარმომადგენლებს საგანგებოდ ეპატიჟებიან ჟურნალისტიკის მიმართულებაზე... „ყველა სიახლე“ შეეცადა, დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებს დაკავშირებოდა. შეფასება მკითხველისთვის მიგვინდია.

### დალი ჩიკვილაძე, პროფესორი:

– დათო პაიჭაძე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იმისთვის მოვიდა, რომ ეს დარგი დაასამაროს. საშო-ოთხი წელია ისეთი აურა ტრიალებს მეექვსე კორპუსში, შემოსვლა არ მოგიხდება. პაიჭაძის აზრით, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ხელობა უნდა ისწავლონ იმისთვის, რომ ფაქტი აღწერონ –

ანალიტიკოსი ჟურნალისტი საზოგადოებას არ სჭირდება. ჟურნალისტიკა ხელობაა, ჩვენ „ყინულმჭრელი“ ჟურნალისტები უნდა აღვზარდოთო. მისთვის მაშული არაფერია. პაიჭაძე თავკერძა, თვითდაჯერებული ადამიანია, რომელიც სალამსაც არ კადრულობს გარშემომყოფთათვის.

კორესპონდენტი:

– თქვენ რა მიზეზით დაგიტხოვეს უნივერსიტეტიდან?

– უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადეს. ამ კონკურსის შედეგად ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ერთი სრული და რვა ასოცირებული პროფესორი უნდა შეერჩიათ, არჩევნებში მეც მივიღე მონაწილეობა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კომისიის წევრები პაიჭაძის მიერ დაკომპლექტებული ახალგაზრდა გოგო-ბიჭები იყვნენ, რომლებსაც არც ხარისხი აქვთ და არც გამოცდილება, იმთავითვე ნათელი იყო, როგორი შედეგით დასრულდებოდა ეს კონკურსი. ვინმე „მედიამექსპერტმა“ რატომ უნდა აირჩიოს პროფესურა?! კონკურსში მონაწილეებს სხვადასხვა საბუთთან ერთად უნდა წარგვედგინა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში. სასურველია, გრანტშიც გქონდეთ მიღებული მონაწილეობაო... ცხადია, არაერთი სამეცნიერო ნაშრომი წარვადგინე, მათ შორის ახლახან გამოცემული წიგნი – „ქართული პუბლიცისტიკა, ქრესტომათია, XIX საუკუნე“, რომლის გამოცემასაც უნივერსიტეტის გამომცემლობის მაშინდელ დირექტორს ნუგზარ წიკლაურს ვუმაღლი. სხვათა შორის, ამ წიგნზე პაიჭაძემ მითხრა – ქალბატონო დალი, ამის ასე სწრაფად შედგენა და რედაქტირება როგორ მოახერხეთ? ერთი ელექტრონული ეგზემპლარი მომეცით, ამ დარგს არ ვიცნობ და თქვენი წიგნის საშუალებით გავეცნობიო. ეიფიქრე, გასაუბრებაზე მეტყობნენ, 70 წელს გადააბიჯეთ და... მაგრამ ამის ნაცვლად ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა სოფო ჭააყამ ბრძანა – გრანტს ყველაზე მეტი ქულა მიენიჭა. 4 მონოგრაფია ერთ გრანტს უტოლდება და 20 ქულა ენიჭებაო. მე მეცნიერი ვარ, რომელიც ვიკელევი, ვაქვეყნებ და ვდებ პროდუქციას... თურმე, დანაშაული აგრეთვე ის ყოფილა, რომ ჩემი სილაბუსი დიდია და შეუძლებელია სტუდენტებისთვის ერთ სემესტრში ამ პროგრამის გადაცემა, ამასთანავე, სახელმძღვანელოს 400 გვერდი ბევრიაო...

იცით რა მკითხეს? რატომ ითხოვთ სტუდენტებისგან „ქვათა ღაღადის“ შინაარსის დაწერასო...

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის მაისში დათო პაიჭაძემ 4-წლიანი სწავლების 2-წლიანად გადაკეთების პროექტი წარმოადგინა, რისიც სასტიკი წინააღმდეგი წავედი და არა მარტო მე, მთელი მიმართულების პროფესურა ერთის გარდა. მის ამ იდეას უგზური ეუწოდებ და დაუპირისპირდი როგორც პრესის ფურცლებზე, ასევე ტელევიზიით. მართლია, მაშინ რექტორის მხარდაჭერით ამ იდეას ფრთები შეეკავეცა, მაგრამ ვინც წინააღმდეგი წავედით, დავისაჯეთ.

პაიჭაძე ის ადამიანია, რომელმაც ფაკულტეტზე ენის მიტან-მოტანის „ინსტიტუტი“ შექმნა. სტუდენტები საჩივრების წერაში გამოაწროთ. ერთხელ, აღელვებულმა ერთერთმა სტუდენტმა მითხრა, – ქალბატონო დალი, პაიჭაძე ითხოვს თქვენს შესახებ საჩივარი დაეწეროთო. ეს რომ გაეიგე, მის კაბინეტში შევედი, – რაშია საქმე, რა საჩივრის წერას ავალე სტუდენტებს, 37 წელი დაბრუნდა?! – ჩემს ოჯახს იმუნიტეტი 37 წლისადმი გამო-მუშავებული აქვს, მამა სწორედ მაშინ დამიხვერიტეს. საით უბიძგებ ამ ახალგაზრდებსმეთქი. ეტყობა, ესეც წყენის საბაბი გახდა. პატარა კაცებს სჩვევიათ ბოლმის გულში ჩახვევა.

პაიჭაძის მიზანი არ არის ეროვნული თვითშეგნებით სტუდენტის აღზრდა. არადა ამ ომმა ხომ დაგვანახა, როგორ გვჭირდება ეს. იცის, ამ მთავრობას რა ესიამოვნება და „დაბალანსებულად“ მოქმედებს.

– როგორც ცნობილია, დავით პაიჭაძემ უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ყოფილი კმარელი, თუა თუთბერიძე მიიწვია. ამანაც ხომ არ გაამწვავა ურთიერთობა?

– შარშანაც აპირებდნენ თუა თუთბერიძის მოწვევას, მაგრამ პროფესურა წინააღმდეგი წავიდა: თუ თუა თუთბერიძე მოვა, ჩვენ უნივერსიტეტს დაეტოვებთთქო. ეს ის თუა თუთბერიძეა, რომელმაც სახელმწიფო გამოცდაზე ჩატრის შემდეგ ტელევიზიით განაცხადა, – რა საჭიროა უნივერსიტეტის დიპლომი, მხოლოდ ტუალეტში თუ დაკიდებო... როდესაც ქალბატონი მარინა ეკეუა სრულ პროფესორად აირჩიეს, დეკანის დავალებისამებრ მეორე დღესვე შეუდგა მოვალეობის შესრულებას. აღმოჩნდა, რომ ცხრილში შეტანილი იყო თუა თუთბერიძე და სხვა მოწვეული ლექტორებიც, ანუ ცხრილი იმაზე ადრე შედგა, ვი-

დრე პროფესორთა თანამდებობაზე არჩეული პერსონალის სია გამოქვეყნდებოდა. მას შემდეგ, რაც უურნალისტიკის მიმართულე-ბაზე ერთადერთმა სრულმა პროფესორმა ქალბატონმა მარინა ვეკუამ ეს ფაქტი გააპროტესტა და ადმინისტრაციის თანხმობით ცხრილიდან თეა თუთბერიძე ამოშალა, პაიჭაძემ ათასი სიბინძურე იკადრა. ამაზე, თუ საჭირო იქნება, თვითონ ქალბატონი მარინა ბრძანებს. ფაქტია, თეა თუთბერიძე უნივერსიტეტში მედიასამართალს ვერ წაიკითხავს. ამ ამბების გამო პაიჭაძემ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მკაცრად განუცხადა, — მე სააკაშვილის და ლომიას კადრი ვარ, ახლა მათ არ სცალიათ და დრო იხელთეთო, ხოლო ქალბატონ მარინა ვეკუას დაეშუქრა... ლობიო და თევზი მოხარშე და ქელეხისთვის გაემზადეო.

— რა შუაშია ამ ყველაფერთან ქელეხი?

— არ ეიცო, რის ქელეხს უხდიდა ქალბატონ მარინას. შესაძლოა იმიტომაც, რომ იგი დაუპირისპირდა ლექტორების არასწორ მოწვევასა და კადრების არასწორ შერჩევას.

ახალი დებულების თანახმად ჩვენს მიმართულებას სრული პროფესორი უნდა ხელმძღვანელობდეს. პაიჭაძე რომელი სრული პროფესორია?! თუმც, ის იტოვებს უფლებას, უურნალისტიკის მიმართულებას უხელმძღვანელოს. დღესაც იტყვის, რომ ამ კონკურსში დაინტერესება არ ჰქონდა?!

თვითონ პაიჭაძე, არ ეიცო, როგორ სწავლობდა, მაგრამ 40 წელს გადაცილებული მხოლოდ ახლახან ჩაირიცხა ე.წ. დოქტორანტურაში. მეორედ ძლივს ჩააბარა ინგლისურის გამოცდა, თორემ უნივერსიტეტის ახალი კანონის თანახმად მას არ ექნებოდა ასისტენტ-პროფესორად მუშაობის უფლება. სხვათა შორის, არც ახლა შეუძლია ლექციის გაძღოლა. უნივერსიტეტის დებულების მიხედვით, უხარისხო ასისტენტ-პროფესორებს მხოლოდ სემინარების ჩატარების უფლება აქვთ.

ჩემთვის, უურნალისტიკის ისტორიკოსისათვის, რადიოში ქაქანი, მიკროფონის დაჭერა, ხმადაბლა საუბარი და ხმის იოგების დაზოგვა, უურნალისტიკა არ არის. არ შეიძლება „ყინულმჭრელი“ და „ხელოსანი“ უურნალისტები გავზარდოთ, მაგრამ უკეთესს რას უნდა მოვლოდე „დამბალანსებელი“ პაიჭაძისგან?! როცა პაიჭაძე ფაკულტეტზე მოვიდა, მე და ჩემი კოლეგები სამი თვის განმავლობაში ვასწავლიდით, რა დატვირთვა აქვს



ყოველი კურსის ყოველ საგანს მომავალი ჟურნალისტებისთვის. რაღაც შეთანხმებას მივალწევდით, თუმცა მეორე დღეს აზრი შეცვლილი ჰქონდა. მოგვიანებით გაირკვა, ჩვენთან მსჯელობის შემდეგ „თავისუფლების ინსტიტუტში“ ლევან რამიშვილთან ათანხმებდა სასწავლო პროგრამას.

– ადამიანი, რომელიც 45 წლის განმავლობაში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე თაობებს ზრდიდით, რას იტყვით თანამედროვე მედიაზე?!

– მიმაჩნია, რომ ქართულ ჟურნალისტიკას, მით უფრო ტელევიზიებს, ობიექტურობის სერიოზული პრობლემები აქვთ. უნდა გამოვეყო პრესა, რომელიც სამართლიანობით, სიყალბის გარეშე მოელენის გაშუქებით გამოირჩევა.

ის, რაც ჩვენს ფაკულტეტზე ხდება, ზოგადად, ქართულ ჟურნალისტიკაზე აისახება. სწორედ ამის შედეგია დღევანდელი ქართული მედიის სახე. 45 წლის განმავლობაში იმიტომ არ ვასწავლიდი უნივერსიტეტში, რომ დათო პაიჭაძის და პაატა ევშაპიძის სამსჯელო ყოფილიყო ჩემი უნივერსიტეტში ყოფნა-არყოფნა. როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა ეს ხელისუფლება შეაწუსეს... არ უნდათ ანალიტიკური ჟურნალისტიკა – აი, რატომ გამოუშვეს პაიჭაძე ჩვენთან! თურმე, მე იღია ჭაუჭაყაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ნანეიშვილის, ვანო მანაბლის, ნოე ჯორდანიას პუბლიციზტიკის სწავლებით, „კომუნისტური იდეოლოგიით“ ეზრდი სტუდენტებს, რომელთაც „ტვინი უნდა გამოურეცხო“ პაიჭაძის მსგავსებმა. ამ ბრალდებაში საქმე ვერ „შეკერა“, როგორც იტყვიან, „სამართალმა პური ჭამა“. ჩემი ინფორმაციით, პაიჭაძეს ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დააწერივნეს. ასე რომ, იმედია, მომავალი ჟურნალისტები საფუძვლიანად დაუფლებიან ფრიად პრესტიჟულ, უძველეს პროფესიას!

გაზეთი „ყველა სიახლე“, 9-15 ოქტომბერი, 2008წ.

## ნიკოლოზ ცხვედაძე – ჟურნალისტი და უნივერსიტეტის მაშინებელი

„ნიკო აღმაშენებელი“ უწოდა დიდმა ილიამ სათაყვანაურო გიმნაზიის – მომავალი უნივერსიტეტის – მშენებლობის სულისჩამდგმელს, შეუპოვარ, მიზანსწრაფვით გამორჩეულ უღრეკ ადამიანს, ვინც საკუთარი „არშნით და სასწორით ზომავდა“, საკუთარი ინტუიციით კრებდა შემომწირველებს განათლების მომავალი კერის – ქართული უნივერსიტეტის – ასაგებად. მასზე ამბობდნენ, ასეთი ჭკვიანი კაცი ტკბილ ოცნებას გაუტაცნია გასაფრენად, ჩვენ კი მიწას ვართ მიჯაჭვულებიო...

ნიკოლოზ ზებუდეს ძე ცხვედაძე 1845 წლის 27 იანვარს დაბადებულია სამაჩაბლოში, სოფელ როჭინში, მღვდლის ოჯახში. ოთხი-ხუთი წლისა იყო, როდესაც ოჯახი კაეთისხევეში გადასულა. იმ ორღობეს, სადაც ცხვედაძეების სახლი დგას, დღესაც „მღვდლიანი“ ჩასახევეად მოიხსენიებენ. პირველდაწყებითი განათლება ჯერ ოჯახში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში მიუღია, რომელიც 1865 წელს წარჩინებით დაუმთავრებია და სახელმწიფო ხარჯით მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად გამგზავრებულია. 1870 წელს ნ. ცხვედაძემ დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია, იქვე დაიცვა დისერტაცია და თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად დაინიშნა. მაშინ თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდნენ იაკობ გოგებაშვილი და გიორგი იოსელიანი. ერთად სემინარიის ეს სამი პედაგოგი დიდი ძალა იყო. მათ სემინარიის რეფორმის პროექტში შეიტანეს ქართული ენის კათედრის დაარსების საკითხი, რაც ცხვედაძის სემინარიიდან დათხოვნის საბაბი გახდა, რადგანაც იგი სემინარისტებს ღვთის რწმენის, სიყვარულისა და სასოების გვერდით აზიარებდა ქართული კულტურის, მსოფლიო ისტორიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის პრობლემებსაც. შემოწმების შედეგად ასეთი „განსწავლული“ პედაგოგი სემინარიიდან დაითხოვეს. ნიკოლოზ ცხვედაძე ერთხანს კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. 1874 წელს ამიერკავკასიის საქალბო ინსტიტუტში დაინიშნა ის-

ტორიის, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად, სადაც ორ ათეულზე მეტი ხანი იმოღეაწა. ნიკ. ცხევედაძემ 1883 წლიდან დაიწყო საჯარო ლექციების კითხვა ქალთა განათლების აუცილებლობის პრობლემებზე. ეს ლექციები ისე მოსწონდა იმდროინდელ მსმენელს, რომ განმეორებით ითხოვდნენ მის ჩატარებას. ასე რომ, ქალთა ემანსიპაციის მესვეური საქართველოში „სამოციანელებთან“ ერთად ნიკ. ცხევედაძეც გახლდათ და ეპოქის მოთხოვნას დიდი ენერგიით და უტყუარი ალღოთი მთელი მონდომებით ემსახურებოდა ღვთისგან არდაეიწყებულ ქართულ სინამდვილეში. იმჟამად იაკობ გოგებაშვილი და ნიკოლოზ ცხევედაძე ერთად იხსენიებოდნენ, როგორც ქართული განათლების მესვეური, ერთადაც ცხოვრობდნენ და ერთადაც დაიმარხნენ (გვერდიგვერდ) დიდუბის პანთეონის წმინდა მიწაზე.

სიცოცხლის ბოლო 15 წელი ნ. ცხევედაძემ საშვილიშვილო საქმეს – თბილისის ქართული გიმნაზიის ახალი შენობის (მომავალი უნივერსიტეტის) აგების ორგანიზებას მოახმარა. ეს საქმე ძალზე რთული, თითქმის წარმოუდგენელი გახლდათ. 1897 წლის 22 მაისს მან „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ სხდომაზე მიიღო დასტური, რომ ამ საზოგადოებას ესაჭიროებოდა სკოლისათვის საკუთარი შენობის აგება, საზოგადოებამ დააველა გამგეკომიტეტს მიწის შეძენა, რის საფუძველზეც ნიკ. ცხევედაძემ შედარებით იაფად ვაკის „უდაბნოში“ ვარაზისხევთან, მელიების და ტურების „საუფლოში“ 14 400 კვ. საყენი მიწა შეიძინა და 35 ათასი მანეთით დაიწყო მომავალი უნივერსიტეტის შენობის აგებისათვის ზრუნვა, რასაც საფუძვლად შემოწირულობები ედო.

1897 წელსავე ნ. ცხევედაძე სხვადასხვა ტიპის სასკოლო შენობის პროექტებს გაეცნო. 1899 წელს იმხანად საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა ქართველი ხეროთმოძღვარი – სიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილი (1865-1920 წ.წ.) მოიწვია და ქართული გიმნაზიის შენობის პროექტის შედგენა თხოვა. ს. კლდიაშვილს ეს პროექტი 1900 წელის შემოდგომისთვის დაუხსრულებია. 1900 წლის 14 ოქტომბერს (ძვ.სტ.) საზეიმოდ აკურთხეს ვარაზისხევის ნაპირას შექმნილი ადგილი, გათხარეს საძირკველი, ბოთლებში ჩაწყობილი გაზეთ „ივერიის“ ნომრებიც მოათავსეს საძირკველში (გ. ლასხიშვილის მოგონებებიდან) და შენობის მშენებლობა

დაიწყეს. სხვათა შორის, ნიკ. ცხვედაძე ახალგაზრდებს ურჩევდა თურმე. სიახლოვეში სამოსახლო ადგილები შეეძინათ, რადგანაც ეხლა კაპიკები ღირს და ცოტა ხნის შემდეგ ეს უდაბური, ოღრო-ოღრო უდაბნო ასეული მანეთი ეღირებაო... აკი, ახდა მისი წინასწარმეტყველება!

ნიკ. ცხვედაძეს დიდი წინააღმდეგობის გადალახვა და სახსრების მოძიების ურთულესი პროცესის დაძლევა მოუხდა. მან მშენებლობა შემოწირულობებით შეგროვილი 35 000 მანეთით დაიწყო, ასაშენებლად კი 350 000 მანეთი ჭირდებოდა. ამიტომაც ფანტაზიორს ეძახდნენ, გიჟადაც მოიხსენიებდნენ, მაგრამ ნიკ. ცხვედაძე, ილია ჭავჭავაძეს რომ ჰგავდა ნიადაგით (ვალერიან გაფრინდაშვილი), უკან არ იხევდა და ყველა ხერხით შემომწირველებს „გააჩენდა“ ხოლმე. „ამოიღებდა ნიშანში ვისაც რაიმე ქონებას შეამჩნევდა, შეუჩნდებოდა და სანამ ფულს არ გამოაღებინებდა, არ მოეშებოდა... ჩვენში იქნებოდა, რუსეთში, თუ 'უცხოეთში' (იაკ. მანხვეტაშვილი). „ეირტუოზი იყო სახსრების გამოძებნაში... ხშირად ფულს გააჩენდა იქ, სადაც ამის არაერთად იმედი არ იყო. მე მას „ბანდიტს“ ვუწოდებ. მართალია, მას არა კქონდა რევოლუერი და ჯერ ვერ შეჩვეოდა გამოთქმას – „ხელები ზევით“, მან შექმნა ბანდიტიზმის ისეთი კატეგორია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სთესავდა მხოლოდ ბედნიერებას და სიხარულს“ (გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი). გიმნაზიის მშენებლობის ძირითადი წყარო მაინც სათავადაზნაურო ბანკის ყოველწლიური მოგებიდან გაღებული სუბსიდია გახლდათ. ნიკ. ცხვედაძე ბანკიდან თანხების „დაძერენის“ დიდოსტატიც იყო და ბანკის თავმჯდომარის განწყობის უიშვიათესად ამომცნობი (მათ ერთად 23 წელი უერთგულეს წერა-კითხვის გამაერცვლებელ საზოგადოებას. ილია – თავმჯდომარე, ნიკო – თავდადებული, საქმის მცოდნე მოადგილე). აქ ერთი მოგონება უნდა გავიხსენოთ. ცნობილია, რომ დინჯი და ფრიად გაწონასწორებული ილია მოცალეობის უამს ნარდისა თუ კარტის თამაშის მოყვარული ყოფილა. ერთხელაც ილიასთვის ნიკ. ცხვედაძეს გარკვეული თანხა მოუგია. თამაში მეორე დღესაც გამართულა, ნიკოს ისევ უჯობნია აზარტულობაში. მესამე წაგების შემდეგ ილიას მოახსენეს, რომ ნიკ. ცხვედაძეს გიმნაზიის შენობის შეჩერებული მშენებლობა განუახლებია, გაუგრძელებია. მიმხვდარა ნიკოს ნიჭის უდიდესი დამფასებელი ილია ამ რეზუსის

საიდუმლოს და თავისუფალ დროს ამგვარი გართობისას ხშირად საგანგებოდ აგებდა თურმე ნიკოსთან აზარტში შესული, ნიკოლოზ ცხეედაძე კი გიმნაზიის შენობის კედლის ამოყვანას აგრძელებდა... ასეთი წინაპრები აშენებდნენ მომავალი უნივერსიტეტის შენობას...

დაუღალავი შრომით, დიდი წინააღმდეგობის გადალახვით, ფანატიკოსის შემართებით აგებდა ნიკ. ცხეედაძე გიმნაზიისთვის უჩვეულოდ დიდ შენობას, რომელშიც ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს, დაეით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

ნიკო ცხეედაძეს სამაგალითო პედაგოგიური აზროვნება და ჟურნალისტის მახვილი კალამი გამოარჩევდა. მისი წერილები, ლექცია-მოსხენებები, პედაგოგიური ანგარიშები მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იანი წლების ქართულ პრესაში იბეჭდებოდა („დროება“, „ივერია“, „მომბეუ“). მათგან აღსანიშნავია სტატია „დასავლეთი ევროპის გონებითი ეკონომიკური მოძრაობა თავის მიზეზებით მეთექვსმეტე საუკუნეში“ (ჟურნ. „კრებული“, 1872 წ. №10-12, 1873 წ. №1). ეს სტატია გამოირჩევა ევროპის განათლების, კულტურისა და ეკონომიკური განვითარების კარგი ცოდნით, იმ სწორი საფუძვლის მიგნებით, რაც ევროპას საბურჟუაზიის ელიტურმა კულტურამ მისცა და რასაც ევროპის რენესანსი ეწოდა. ამასთან რომის პაპის „უფლების თეორიის“ კრიტიკაც პირველად ამ სტატიით გაცხადდა ქართულ პრესაში.

ნიკ. ცხეედაძის აზრით, ღმერთისა და მისი მსახურების იდეა ადამიანმა შექმნა, მანვე გააზეკაცა სამღვდელთა და თავადაზნაურობა, მაგრამ სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების შეცნობის შემდეგ, ადამიანივე მოუღებს ბოლოს უთანასწორობას დედამიწაზე.

საინტერესოა ამ სტატიის ეპიგრაფი – „სიცოცხლის დიდებას და სიმშვენიერეს შეადგენს მხოლოდ თავისუფლება, მხოლოდ თავისუფლებას შეუძლიან გააკეთილშობილოს და აღამაღლოს კაცობრიობა“. შილერის ამ სიტყვებით იწყებს მკითხველთან საუბარს ნიკ. ცხეედაძე და ირწმუნება, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად დასავლეთ ევროპის ხალხმა. თავი უნდა დააღწიონ რომის პაპის უზურპაციასა და კათოლიკურ დოგმათა მარწუხებს. ევროპელებს რომის პაპი მიაჩნდათ ყოველად ძლიერი ღმერთის თანაშემწედ დედამიწაზე. აქ ძალზე კრიტიკულად

არის წარმოჩენილი „პაპის უფლების თეორია“, რაც ეფუძნება პაპის უზენაესობას ამ ქვეყანაზე. „ერთი მხრივ, პაპი, მეორეს მხრივ, იმისი კარდინალები, პრელატები, ბერები და მღვდლები წურბელასავით ასხდნენ ხალხს ზურგზე და ნელ-ნელობით უწეწნიდნენ სისხლსა“. მართალია, ნიკ. ცხვედაძე ევროპის მხენელ-მთესველთა ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, მათ მორალურ დამონებაზე მოუთხრობდა იმდროინდელ მკითხველს, მაგრამ საქართველოსთან პარალელები, რუს მომხდურთა სარწმუნოებრივი შეზღუდვები კარგად იკითხებოდა, რაც პუბლიცისტის მიზანი იყო.

ნიკ. ცხვედაძის აზრით, რომის პაპი და სამღვდლოება ევროპელებს არა მხოლოდ ჯიბეებს უცარიელებდა, არამედ გონებრივ საზრდოსაც აცლიდა, სდევნიდა ხალხის ენას და თავისუფალ აზროვნებას. დასავლეთ ევროპაში წირვა-ლოცვა და საეკლესიო ქადაგება მე-16 საუკუნეში ხალხისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა, რათა ხალხს გონება არ გახსნოდა, ეჭვი არ შეეტანა კათოლიკური მორალის „ტყეშმარიტებაში“. „სასულიერო წოდებამ – წერს ნიკ. ცხვედაძე – ამოსდო ხალხის ენას ლაგამი, იმან წაართვა ხალხის ენას მოქალაქეობრივი უფლება და გადასცა ლათინურ ენას საძაგელი განზრახვით, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ხალხი, როგორც კი დაიწყებდა გონებით მოძრაობას, მოითხოვდა თავის ბუნებით ენისათვის მოქალაქეობით უფლებას და ლათინურ ენას უჩვენებდა კარებს“. აქ პარალელები რუსეთის ეკლესიის საქმიანობასთან ნათელი და გასაგებია, ასევე ნიკ. ცხვედაძის აზრით, დასავლეთ ევროპიის გლეხკაცობის ბედი ძლიერ ემსგავსება ქართველი გლეხკაცობის იღბალს. „აქაც – წერს პუბლიცისტი – თავადაზნაურობა ბრცქენის გლეხ-კაცობას, მაგრამ ძალიან ბრცქენა დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთმა მიიღო საქართველო თავის მფარველობის ქვეშ“... ნიკ. ცხვედაძე ირწმუნება, – „ის გაწყობილება არ არის უკედავი, რომლის წყალობითაც ერთი მეორის სარჩოზე ხარობს. იმ სამეფოს არა აქვს ბევრი დღე, რომელშიაც ერთი წელებზე ფეხს იდგამს შრომით, მეორე კი გულაღმა წევს და სცემს ბოლთას“, მას სჯერა, რომ ხალხი არის ის ძალა, ვინც ისტორიის ჩარხს წაღმა დაატრიალებს.

ევროპელთა ტკუა-გონების გახსნა, – ნიკ. ცხვედაძის აზრით, – იწყება ჯვაროსნული ომების შემდეგ. ჯვაროსნული ომების

## „ლობიო და თევზი მოხარშე და ქელქისთვის ბაემზადეო“

### წინათქმა:

რუსული აგრესიის შემდეგ, ყველაზე აქტუალური თემა ქართული მასმედიის უსუსურობაა. რამდენად ობიექტურად აშუქებენ ტელევიზიები მოვლენებს, ისედაც თვალსაჩინოა. ამჯერად იმის შესახებ მოგახსენებთ, რაც ტელეეკრანს მიღმა, უნივერსიტეტის კედლებში ხდება. მაშინ, როცა ხელისუფლებას ტელევიზიებზე ზეწოლაში ადანაშაულებენ და ქართულ მედიას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე, იქ, სადაც ქართული ჟურნალისტიკის იწროობიან, ქაოსია. აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად უნივერსიტეტიდან დაითხოვეს წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები ელდარ იბერი, მარინა ლომიძე, თათია მუჟეანაძე და დალი ჩიკვილაძე, რომელსაც უნივერსიტეტში მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა და არაერთი მონოგრაფიის ავტორია. როგორც ქალბატონი დალი ბრძანებს, ჟურნალისტიკის ისტორიაში მეცნიერულ კვლევა-ძიებას ასამარებენ. ის, რაც ჩვენს ფაკულტეტზე ხდება, ზოგადად, ქართულ ჟურნალისტიკაზეც აისახებაო... მართლაც, ნათქვამია, წყალი სათაგიდან იმღვრევაო, თუ აქამდე, „თაყისუფლების ინსტიტუტი“ ზედაპირულად ზვერაჟდა ქართულ მედიას, დღეს ამ ინსტიტუტის წარმომადგენლებს საგანგებოდ ეპატიუებიან ჟურნალისტიკის მიმართულებაზე... „ყველა სიახლე“ შეეცადა, დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებს დაკავშირებოდა. შეფასება მკითხველისთვის მიგვიჩინდია.

### დალი ჩიკვილაძე, პროფესორი:

– დათო პაიჭაძე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იმისთვის მოვიდა, რომ ეს დარგი დაასამაროს. სამო-ოთხი წელია ისეთი აურა ტრიალებს მეექვსე კორპუსში, შემოსვლა არ მოგიხდება. პაიჭაძის აზრით, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ხელობა უნდა ისწავლონ იმისთვის, რომ ფაქტი აღწერონ –

დონე იყო. სწორედაც რომ იტალიელებმა დაიწყეს ბერძნული ლიტერატურის მთელი მონდომებით შესწავლა და ბერძნულ კულტურას თავისებური თავშესაფარი მიუჩინეს. მრავალსაუკუნოვანმა ბერძნულმა ლიტერატურამ დასავლეთ ევროპას შთაუწერა, რომ „პაპი და თავადობა დაუწესებია თვითონ კაცს და არა ღმერთს, ამიტომ კაცისავე გონებამ უნდა მოისაზროს მათი ბატონობიდან თავის დაღწევის გზაო“.

„კრებულის“ მკითხველები ამ სტატიით გაეცნენ დამოუკიდებლობისა და სამართლიანობისათვის მებრძოლ ადამიანთა საგმირო ისტორიას საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ჩეხეთში.

ნიკ. ცხვედაძემ იმდროინდელ მკითხველს გააცნო იან ჰუსისა და იან ჟიჟკას მოძრაობა, ჰუსისტთა იდეები, მათი ხერხები, სასიკედილო ბოძს მიკრული იან ჰუსის შთაგონებული სახე, აგრეთვე სამღვდულოების წინააღმდეგ მებრძოლი, გერმანელი მამულიშვილის ერაზმ როტერდამელის მოღვაწეობა, „რომელმაც დიდად გამოუთხარა საძირკველი ძველ რელიგიურ და სოციალურ წყობილებას, გაუბედველობა იყო მიზეზი, რომ ერაზმმა არ იკისრა რეფორმატორის როლი და დასჯერდა მოძრაობისათვის საჭირო ნიადაგის მომზადების როლს“.

ნიკ. ცხვედაძე ერთ-ერთი პირველია ქართველთა შორის, ვინც ევროპული რენესანსის საწყისად საბერძნეთისა და რომის კულტურა აღიარა, მისი პუბლიცისტური ნაწერები გამოირჩევა ფაქტების შეჯერებით, ლოგიკური თანმიმდევრობით, პედაგოგიური ტაქტიკითა და „სიტყვის საქმედ ქცევის“ მისწრაფებით.

ცნობილია, რომ ნიკ. ცხვედაძეს მძიმე ბედი არგუნა განგებამ. პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა. მომღერალმა მეუღლემ, რომელიც ახალგაზრდა იყო ნიკოზე, ვერ დააფასა ნიკოს საქმიანობა, მსახიობის კარიერა ამჯობინა ოჯახურ სიმყუდროვეს, მიატოვა ნიკო და სამი წლის ქალიშვილი ელენე (იაკობ გოგებაშვილის ნათლული, ფილიპე გოგიჩაიშვილის მეუღლე) და იტალიაში გაემგზავრა, სადაც სვეტა დეს ფსევდონიმით გამოდიოდა სცენაზე.

ნიკ. ცხვედაძის გულისგატეხვა მაშინაც დიდი იყო, როდესაც ილია ჭავჭავაძის უახლოესი ადამიანი, თითქმის 30 წელი მისი მოადგილე წ.კ.გ. საზოგადოების თავმჯდომარეობის დროს, ილიას



გარდაცვალების შემდეგ თავმჯდომარედ არ აირჩიეს, მოადგილეს არ ანდეს თავმჯდომარეობა და გიორგი ყაზბეგს ჩააბარეს მეთაურობა. იგი განაწყენდა და გამგეობის წევრობაზეც უარი თქვა. გაამტყუნებთ? – ვერ გაამტყუნებთ...

„არიან ადამიანები, რაღაც სიტუაციაში რომ წაადგებიან ქვეყანას, ვითარებას მოერგებიან, კვალს დაამჩნივეენ. ნიკოს მსგავსნი მუდამ, შენებისა და ნგრევის დროსაც, საჭიროა, შენებით თვითონ აშენებს, მნგრეველს ებრძვის და ხელს ალებინებს განზრახვაზე“ (ელ თავბერიძე).

იღია ჭავჭავაძე ბრძანებდა: ორჯერ დაბადებულს ერთი სიკედილი ვერას უზამსო, – ნიკოლოზ ცხევაძე მეორედ მაშინ დაიბადა, მთელი ჟინით და მონდომენებით შეუძლებელი რომ შექლო და უნივერსიტეტის შენობა ააგო.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება.

3 იენისი, 2008 წ.

## ნიკო ნიკოლაძე

მაინც ვინ იყო ნიკო ნიკოლაძე, — კაცი ლეგენდა, კაცი ბრძენი, აზრისა და საქმის გოლიათი, ჭაბუკობიდან აღსასრულამდე მასშტაბური, ევროპულად მოაზროვნე, „ციდანახევრად“ მოვლენილი უფლისაგან სასწორის ზოდიაქოს ქვეშ, ვისი ტვინიც შთამომავლობამ მიწაში არ ჩაფლა და სამუზეუმო განძად აქცია?! მისი ნაწერებიდან უკიდევანო აზრი მოედინება. გიკვირს, — რა ძალას, რა ენერგიას, რა ცოდნის წადილს შეეძლო ამდენის შეცნობა-შეთვისება, როგორ მოახერხა ახალი ცხოვრების მხარის გასწორება, წინ გასწრება და ღონიერი პრაქტიკული ნაბიჯებით სიარული მაშინ, როდესაც საქართველოში უმეტესობა თელემდა და მაშაპაპური ძილით თავს იწონებდა კიდევ. ნ. ნიკოლაძე ცეცხლოვანი, მიზანსწრაფული, ფაქტებდაყურსული პუბლიცისტიური ნაწერებით გამოირჩევა, მისი პოლემიკა ლოგიკაზე დაფუძნებული, უტყუარი, სასტიკი სინამდვილის მამხილებელია, სადაც უნდა ყოფილიყო, საქართველოს მსახური და „მისი ერთგული ანგარიშიანი მწყემსი“ გახლდათ, იგი ყველგან „შინ იყო“...

დაიბადა 1843 წლის 27 სექტემბერს ქ. ქუთაისში, ე. ლორთქიფანიძისა და ი. ნიკოლაძის ოჯახში. მამამისი ვაჭრობაში გაწაფული ერთ-ერთი პირველი ქართველი კომერსანტი და მშენებელი ყოფილა არა მხოლოდ ქუთაისში, მას საზღვარგარეთ, ლაიპციგის „იარმურკამდეც“ ჩაულწევია, უცხოელ კომერსანტებთან ურთიერთობა დაუმყარებია, ერთ-ერთ პირველს ქართული ბიზნესი წამოუწყია (ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება-გატანა-დ.ჩ.) და შეიღებისათვის კარგი განათლება მიუცია.

პირველდაწყებითი განათლება ნიკომ ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო. ტანით იმდენად პატარა ყოფილა, მხრებზე შესმულს ატარებდნენ და „ციდანახევარს“ უწოდებდნენ. მაშინ გიმნაზიაში რუსულად ასწავლიდნენ საგნებს. რადგანაც ნიკოს რუსული არ ესმოდა ისევე, როგორც ბევრ მის თანატოლს, ცოდნის დამფასებელ მამამისს ნიკო კერძო მასწავლებელთან გაუმწესებია იმის ფიქრით, რომ შეილი თავის დამხმარედ აღეზარდა.

მეხუთეკლასელი ნიკო მაძას ზაფხულში საქმეების გასაცნობად ფოთში ჩაუყვანია, ჭაობიანი ფოთიდან მაღარიით დაავადებული ნ. ნიკოლაძე ერთი წელი საწოლს მიჯაჭვულა, შესაბამისად გიმნაზიაში სწავლაც შეუწყვეტია, თვითგანვითარებისთვის კი ბევრი დრო აქონია. გაცნობია რუსულ ჟურნალ-გაზეთებს. ბილო წელს ნ. ნიკოლაძემ გიმნაზიის სწავლების ორი კლასის მასალა ერთად ჩააბარა და ატესტატი თანაკლასელებთან ერთად აიღო. ამ დროს მისი ჟურნალისტური „ნათლობაც“ შედგა: „ქუთაისის მეთორის“ ფსევდონიმით ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა წერილები – „ხაბარდა და ლოტო ქუთაისში“ და „ქუთაისის ჭორიკანობა“ („ცისკარი“, 1860წ №9-10).

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ნ. ნიკოლაძის სწავლას ხელი შეუწყო ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის შუამდგომლობამ მაძასთან, რომელმაც დათმო შეილის თანაშემწედ აღზრდასე ფიქრი.

1961 წლის მარტში ნ. ნიკოლაძემ ორ ქართველთან ერთად თენახვერის მგზავრობის შემდეგ, ნიკოლოზობა დღეს, პეტრეს ქალაქამდე ჩააღწია და პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩაირიცხა. ეს იყო დრო, როცა რუსეთის გლეხობამ ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლება და „იურიდიული უფლებების“ მოპოვება იზეიმა, ხოლო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობამ პოლიციასთან პირველი შეტაკება „იგემა“. 1861 წლის სექტემბრის სტუდენტთა ცნობილ „არეულობაში“ ქართველთა შორის ნ. ნიკოლაძეც იყო და პეტრე-პავლესა და კრონშტადტის ციხეების „სურნელიც შეიტკბო“, რის სანაცვლოდაც ბედნიერი შემთხვევა არგუნა განგებამ: „არეულობაში“ მონაწილეობის გაძო იგი ამოეწერა სტუდენტური სიიდან, გაიხადა სტუდენტური სამოსი, ჩაიცვა ჩოხა და აკაკი წერეთლის სადგომში გადავიდა საცხოვრებლად. ნიკო თავაუღებლად დაეწაფა თვითგანვითარებას, კითხულობდა „სოერემენიკს“, რუსულ ჟურნალ-გაზეთებს. ერთხელაც, დეკემბრის სუსხიან დღეს მის სადგომს ეტლით ორი ქალბატონი ესტუმრა. ერთ-ერთმა, ნ. ჩერნიშევსკის მეუღლემ – ოლღა სოკრატეს ასულმა, საშობაო მასკარადისთვის ნიკოლაძის „ჩერქეზული“ ჩოხა ითხოვა, ამ ბანალურმა შემთხვევამ ნიკოლაძე ნ. ჩერნიშევსკის შეახვედრა და 1862 წლის მთელი ზაფხული პავლოვსკში მის გვერდით გაატარა. ნ. ჩერნიშევსკის დაპატიმ-

რებამ და გადასახლებამ პეტერბურგი დაატოვებინა. ნ. ნიკოლაძემ 1962 წლის ჟურნალ „ისკრაში“ (№11-12) გამოაქვეყნა სტუდენტური ცხოვრების ამსახველი მოთხრობა „პეტერბურგის მხარეზე“, 1864 წლიდან გახეთ „ნოვოე ბოგატსტვოს“ ახლო თანამშრომელი გახდა, რომელშიც მოწინავე წერილებს, კრიტიკულ სტატიებს, ფელეტონებს აქვეყნებდა სკანდელის ფსევდონიმით. 1864 წ. ჟურნალ „სოვრემენნიკის“ მერვე ნომერში დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო პუბლიცისტური მოთხრობა „პროვინციული სურათები“.

1864 წელს საზღვარგარეთ, პარიზშია და გატაცებით სწავლობს ფილოსოფიას და პოლიტიკურ ეკონომიას, 16 საათს მუშაობს დღე-ღამეში, რის შემდეგაც დაწერს: – „მე უფრო დიდი რამე მეგონა ფრანცუზული სოციალიზმით“.

ამასთან თანამშრომლობდა რუსულ „სანკ-პეტერბურგსკიე ეედომოსტში“ და ახლო ურთიერთობას ამყარებს ლონდონში მყოფ გერცენთან და ოგარიოვთან. 1865 წელს ლონდონში გამომაველ გერცენის „კოლოკოლში“ რიო-ნელის ფსევდონიმით რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა, მათ შორის „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ (1865 წ. 15/1), „ჩვენი მომავალი ეეკილები“, „ინისის დღეები თბილისში“ (1865 წ. 15/X), „თბილისიდან“ (1865 წ. №205), „საქართველოდან“ (1865 № 208) და სხვ. მაგრამ გერცენთან დაძაბული პაექრობის გამო 1865 წლის დასასრულს ნ. ნიკოლაძემ შეწყვიტა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა, გერცენმა მას „ბრჭყალებიანი ვეფხვი“ უწოდა, რომელსაც სისხლი უდუღსო.

1868 წელს ნ. ნიკოლაძე და ლ. მენნიკოვი პარიზში გამოსცემენ რუსულ ჟურნალ „სოვრემენნოსტს“, ხოლო მ. ელპიდინთან ერთად ნ. ნიკოლაძე ნ.გ. ჩერნიშევსკის პირველ ტომს დაბეჭდავს, რომლის შესავალი წერილი და ტომის რედაქცია მას ეკუთვნის. „ცოცხლად დამარხული“ ნ. ჩერნიშევსკის ნაწერების საზღვარგარეთ გამოცემით და მისი მემკვიდრეობის სამზოვზე გამოტანით ნ. ნიკოლაძემ ავტორის მაგიერობა დააკისრა ჩერნიშევსკის გამოქვეყნებულ ნააზრევს.

1868 წელს ნ. ნიკოლაძემ დაასრულა ციურიხის უნივერსიტეტი და ფრანგულად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“, რომელიც ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად დაიბეჭდა ჟენევაში

1868 წელსე. ეს შრომა მრავალმხრივ საყურადღებოა დღესაც. მასში იურიისტი და ეკონომისტი ნ. ნიკოლაძე ასაბუთებს განიარაღების დადებით და წინააღმდეგობრივ ხასიათს ბურჟუაზიულ სამყაროში.

1869 წლის ბოლოს ნ. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში ს. მესხთან ერთად გაზეთ „დროების“ გამოცემას უძღვება. ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობამ „დროება“ სხარტი და ცხოვრებისეული საკითხებით დატვირთული წერილებით დაამშვენა. ამ დროიდან მან ქართული საზოგადოების სულის ქირურგია წამოიწყო (გ. ქიქოძე). სტატიების სტილი და ენა ნოვატორული იყო, ამიტომ ზოგიერთს კრიტიკული სიტყვა ადვილად დასცდა. ნ. ნიკოლაძე განმარტავდა, „ჩემო მკითხველო, დაე, ყველამ სწეროს, როგორც ჭკუა და ენა უჭრიდეს... ქართულ ენას დარჩება, რაც მისთვის გამოსადეგი და საჭირო იქნება“ („ჩემს მკითხველს“). დიალექტების საფუძველზე ენის განვითარება-შეესება ენის შინაგანი კანონიაო, — აღნიშნავდა.

1871 წელს ნ. ნიკოლაძემ ეურნალი „კრებული“ დააარსა. „კრებული“ პირველი და ერთადერთი პერიოდული ორგანოა ქართულ ენაზე, რომლის რედაქტორიც ნ. ნიკოლაძე იყო. ამ დროს ილია ჭავჭავაძე პრაქტიკული საქმიანობით „იბრუნებდა სულს“ დუშეთში, ნ. ნიკოლაძე კი ახალი თაობის იდეურ მეთაურად და გზის გამკვლავად გამოდიოდა, პუბლიცისტური მოღვაწეობით ილიას გზას აგრძელებდა, — მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებისათვის ბრძოლა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრებისათვის ზრუნვა, ქართული კაპიტალიზმის განვითარების მეგზურობა, ვაჭრობის გაძღოლის პროპაგანდა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის დაფუძნება, ბანკების გახსნა, კულშეკეცილი თვითმმართველობის — ერობის შემოღება, კლასიკურთან ერთად რეალური განათლების დანერგვა — აი, პრობლემები, რომლებზეც მსჯელობდა „კრებულში“.

„როცა ქართულ მწერლობაში გაეგები, მის თარს მარტო ერთი სიმი ება — დედა-ენის დაცვა... მესმოდა, არა მარტო ენით იკვებება ხალხი — შეეგზე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას, და თვითმმართველობას“ („ჩემ პოლიტიკაზე“). „კრებულშივე“ გამოაქვეყნა ნ. ნიკოლაძემ პირველი კრიტიკული წერილი ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობზე“, რომელიც პროფესიონალი კრიტიკოსის პირველი მსჯავრია ილიას მხატ-

ერულ სამყაროზე. ნ. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანია, ვინც ვაჭრობა, ალბ-მიცემობა, იმ ბერკეტად მიიჩნია, რასაც უნდა შემოებრუნებინა ქართული მწერლობა, განვეითარებინა ადგილობრივი ეკონომიკა, წინ წაეწია საზოგადოების ცხოვრების დონე. „კულტურულად ვაჭრობა“ ისწავლეთო, – უკიჟინებდა ახალგაზრდობას, რადგან თვლიდა, რომ ვაჭრობა ანგარიშიანობაა, წესრიგია, შინაგანი თავისუფლების მომტანი სიძლიერეა, რაც ჩვენში ათვალწუნებული და დაგმობილიაო... საზიზღარი, სამარცხეინო და სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმურობა და მუქთა პურიის ჭამაა, ვაჭრობა შრომაა და ისევე პატივსაცემია, როგორც ყოველგვარი შრომაო.

ნ. ნიკოლაძე პირველი იყო, ვინც ერობის შემოღების საკითხი დასვა. ალექსანდრე მეორის ჩამოსვლის წინ მისართმეუ ადრესში უნივერსიტეტის ნაცვლად ერობის შემოღება შევიტანოთო, მიმართა თავადაზნაურთა კრებას, მაგრამ ეს თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს მაშინ.

განსაკუთრებულია ნ. ნიკოლაძის ღვაწლი საქართველოში ბანკის დაარსების საქმეში. „ბანკონიადა“ მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ტკივილიცაა გარკვეული თვალსაზრისით... საბანკო პოლიტიკა თერგდალეულთა რღვევის ერთ-ერთი საბაბი და მათი გზების გაყრის დამამთავრებელი აკორდიც გახდა, ხოლო ნ. ნიკოლაძე ის ნოვატორი ქალაქის თავი იყო ფოთში, ვინც მეოცე საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში პირველად დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა. ეს უპრეცედენტო პრაქტიკული სიახლე იყო მაშინ!

ნ. ნიკოლაძე ძველი და ახალი თაობის შეპირისპირების დროს სტატიაში „ახალი ახალგაზრდობა“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ ახალმა დრომ ახალი ამოცანები წამოჭრა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ახალმა დრომ ძველი თაობა პასიურ მეთვალყურედ აქცია, დაამუნჯა და აგრძნობინა, რომ „საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუცვლელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელითვე შეიცვლება“. ამ ცვლილებას მცირერიცხოვანი ახალი თაობა პყავდა, რომელსაც აკლდა ცხოვრების ღრმა და პრაქტიკული ცოდნა, მას ურაზმო გენერალი – ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, რომლის ცოდნას და უნარს მეტის გაკეთება შეეძლო, თანამგრძნობთა

შესაფერისი რაზმი რომ ჰყოლოდაო. შეერთებული შრომის დაწეების მაგალითად ნ. ნიკოლაძე თელის ციურიხში ქართველი სტუდენტობის მიერ დაარსებული საზოგადოება „უღელის“ საქმიანობას, რომლის წევრებიც „ახალ ახალგაზრდობად“ მიაჩნდა, ვინც პოლიტიკური ეკონომიის ცოდნით შეიარაღებულნი დაბრუნდებოდნენ საქართველოში და პრაქტიკული საქმიანობისათვის გამოიყენებდნენ ევროპულ განათლებას.

ნ. ნიკოლაძის რჩევით და ხელშეწყობით კონსტანტინე ბებუთოვმა თბილისში 1872 წელს დაარსა კერძო რუსული გაზეთი „ტიფლისსკი ვესტნიკი“, რომელმაც სათავე დაუდო დემოკრატიულ რუსულ პრესას ამიერკავკასიაში. ამ გაზეთმა 1972-81 წლებში დიდი როლი ითამაშა ქართული ცხოვრების აე-კარგის რუსულ ენაზე წარმოჩენით, ქართული ყოფის ქიმაგობით და მრავალეროვანი მოსახლეობის ტრადიციებზე პოლემიკით. ნ. ნიკოლაძე „ქვით დაკრიბეს“, – რუსულად რატომ წერო და რუსულ გაზეთს რატომ აარსებო (რამდენჯერ წაუყენეს ეს ბრალდება, ვინ მოთვლის?!). მისი კრედო იყო: „თუ ქართველების საბოლოო დამხობა არ გეინდა, რუსულადაც უნდა ვწეროთ ამ ცხოვრების ბრუნვა, დარდი, წამალი, სახსარი!“... ნ. ნიკოლაძის აზრით, საქართველოს მომავალზე მსჯელობა, რასაც მამულის მსახურება განაპირობებდა, ნებისმიერ ენაზე შეეძლო მამულო-შვილს: „სადაც გინდათ იშრომეთ, სადაც გსურთ ისწავლეთ, რაც გინდათ პქენით, ოღონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოდ იშრომეთ, ოღონდ კი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახელის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ, ეცადეთ გონიერი, სწავლული და პატიოსანი გამოხვიდეთ“.

მაგრამ იმდროინდელმა უბირმა საზოგადოებამ კატეგორიული პუბლიცისტური გამოსვლები ნ. ნიკოლაძისა ვერ გაიგო, აითვალისწინა სიახლის მოთხველი, ცხარე პოლემიკა გაუმართა... ახალ თაობასთან ომს ნ. ნიკოლაძემ გაცლა ამჯობინა, 1873 წლის ბოლოს გაზეთ „დროებაში“ გამოსათხოვარი სტატია – „მშვიდობით, მშვიდობით“ დაიბეჭდა. ამის წამკითხავ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იმხანად პეტერბურგს იმყოფებოდა, გამორჩეული ბარათი გამოუგზავნია: „ნუთუ, მართლა შენ დასწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ?... სად მიხვალ, სად? შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა... მერე იცი,

რა კბილი ჩაეარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალანგად გვეგულდები?”

1873 წლის 16 ნოემბრიდან 1876 წლის 10 მარტამდე ნ. ნიკოლაძე ქართულ პრესაში არ თანამშრომლობს. იგი 1871 წლის ბოლოდან, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, „ტყიბულის საქმეებს“ ხელმძღვანელობს, უცხოელ ფინანსისტებთან ამყარებს საქმიან ურთიერთობას, ჩამოჰყავს ისინი საქართველოში. ამასთან ევროპაში სწავლის მიზნით წასული ქართველი ახალგაზრდობის განათლების არჩევანს წარმართავს კიდევც. 1872 წელს ნ. ნიკოლაძემ ბათუმიდან ვაჟურად ჩაცმული ქართველი ქალები (ორი და, ორი დეიდაშვილი და მომავალი საცოლვე) საზღვარგარეთ „გააპარა“ და შეეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში დაულოცა გზა.

1873 წლის 1-10 აპრილს (ათი დღის მანძილზე) ნ. ნიკოლაძემ დ. მიქელაძესთან და პ. იზმაილოვთან ერთად პარიზში პირველად დაბეჭდა პექტოგრაფიული ქართული გაზეთი „დროშა“, იგი ოთხგვერდიანია, 100 ეგზემპლარი უფასოდ ურიგდებოდა ქართველ და კავკასიელ სტუდენტებს, ვინც პარიზში, ციურიხში, ჟენევასა და ვენაში სწავლობდა. „დროშის“ მიზანი იყო ქართველი ახალგაზრდობის სოციალურ-პოლიტიკური მრწამსის ფორმირებაში დახმარება. პექტოგრაფიული ბეჭდვა ნ. ნიკოლაძეს საქართველოში დანერგვის მიზნითაც აინტერესებდა.

1874 წლის ბოლოს ნ. ნიკოლაძე კვლავ პარიზშია, მან მოცალეობის შესავსებად ფრანგული პრესის შესწავლა-ანალიზი განიზრახა, 1875 წლის აპრილში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ბროშურა „ფრანგული პრესის დეკადანსი“, რომელშიც მესამე იმპერიის ფრანგული ჟურნალ-გაზეთობა მიმოიხილა. ნ. ნიკოლაძის დასკვნა შემდეგია: „საფრანგეთის ინტერესი, როგორც თვით ფრანგული პრესის ინტერესი, მოითხოვს პრესის დღევანდელი ვითარების რადიკალურ რეფორმას... პარიზული პრესით გათვითცნობიერებული მკითხველი, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ უბადრუკი შეხედულებას იქმნის თანამედროვე ცხოვრების შესახებ. იგი ყოველ დღით ამოდ გადაიკითხავს თორმეტიოდე პოლიტიკურ უწყებას და მეტი რა გზა აქვს, თუ არა დარწმუნდეს, რომ მთელ სამყაროში არსებობს მხოლოდ საფრანგეთი, მთელ საფრანგეთში კი – მხოლოდ პარიზი და ვერსალია ხალხის ყურადღების ღირსი“. ნ. ნიკოლაძის „ფრანგული პრესის დეკა-



დანსს“ გამოეხმაურნენ ფრანგი თვალსაჩინო მოღვაწენი – ლუი ბლანი, იე გიო, ჟირარდენი და სხვები. მათი აზრით, – „ეს წიგნი ერთი იმ შრომათაგანია, რომელიც ყველა ფრანგმა ჟურნალისტმა უნდა წაიკითხოს და კარგად ჩაუკვირდეს. გასაოცარია, რომ ეს სამართლიანი შენიშვნები „უცხოელმა ჟურნალისტმა“ გამოთქვა ასეთი ენით, ასეთი სიძლიერით, ასეთი სისწორით“.

1876 წლის მარტში ქართველმა საზოგადოებამ „დროების“ ათი წლისთაფი აღნიშნა და გაზეთის რედაქცია განაახლა. ქართული პუბლიცისტიკის ოთხი ბურჯი – ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და სერგეი მესხი ერთად უძღვებოდა „დროებას“.

1877 წლის აგვისტოდან ნ. ნიკოლაძე რუსეთ-თურქეთის ომში შავისის სააგენტოსა და „ტიფლისსკი ვესტნიკის“ კორესპონდენტად მიდის და გაბელულ სტატიებს აგზავნის ფრონტის ხაზიდან. მალე გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქტორთან მოუხდა უთანხმოება, რის შედეგადაც ა. კრავესკის რედაქტორობით გამოშავალ „გოლოსის“ სამხედრო კორესპონდენტი გახდა. 1977-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობასა და რუსეთის ინტერესების ხასიათის წარმოჩენაში ნ. ნიკოლაძის სწორი პოლიტიკა რეაქციონერ მ. კატკოვთან მუდმივი პოლემიკის საბაბი შეიქნა, რაც უმეტესწილად, ნ. ნიკოლაძის კალმის მოქნილობისა და ფაქტობრივი მასალის უტყუარი ანალიზით იყო განპირობებული.

1878 წლის 1 იანვრიდან ნ. ნიკოლაძე თბილისში რუსულ ენაზე გამოსცემს დიდი ხნის ოცნების პერიოდულ ორგანოს – გაზეთ „ობზორს“. პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანოს რედაქტორობისას გამოვლინდა ნ. ნიკოლაძის ბასრი პოლემიკური სტილი, მიუდგომლობა, სიტყვის ნოვატორობა, ცენზურასთან უკომპრომისო ბრძოლა (აკაკი წერეთელმა ნიკოს ცენზურასთან ურთიერთობაში „ობერხრიკმენსტერი“ უწოდა). ნ. ნიკოლაძე 1978-80 წლებში „ობზორში“ გამოქვეყნებული მამხილებელი მასალების გამო ორჯერ გაასამართლეს, განუწყვეტელი ბრძოლა „ტიენმენსტერ“ „აზრთა მკყრობელთან“ ნ. ნიკოლაძის პასუხისგებაში მიცემით დასრულდა. 1878 წ. 4 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ გაარჩია „ობზორის“ რედაქტორის საქმე, რომელზეც ნ. ნიკოლაძე თვითონ იცავედა თავს. მისმა საბრალმდებლო

სიტყვამ გააოცა იმდროინდელი მართლმსაჯულება. ვერა ზასულჩინი საგანგებოდ ჩამოსულა სასამართლო პროცესზე დასასწრებად. საოლქო სასამართლო იძულებული გახდა გაემართლებინა რედაქტორი ნიკოლაძე, ზემდგომმა სამოქალაქო პალატამაც გაამართლა „ობზორის“ რედაქტორი, ნ. ნიკოლაძე ამჯერად დააჯარიმეს. „ობზორის“ პირველი პროცესის მასალები შეუფერხებლად იბეჭდებოდა გაზეთში, ნ. ნიკოლაძემ ცალკე ბროშურად გამოსცა გასამართლების პროცესი და დაუგზავნა რუსეთის პროგრესული გაზეთების რედაქტორებს, რასაც მადლობის ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. „ობზორისა“ და ცენზურის „ჭიდილი“ კვლავაც გაგრძელდა. 1879 წ. პირველი ნომერი ცენზურამ მთლიანად გაანადგურა, სტამბაში პოლიცია ჩააყენა, რომლის გარეშეც გაზეთი ვერ გამოვიდოდა. პროტესტის ნიშნად „ობზორმა“ გამოსვლა შეწყვიტა. ნ. ნიკოლაძე პოლიციისაგან რედაქციის განთავისუფლებას მოითხოვდა, მაგრამ ამაოდ. 1880 წელს „ობზორის“ გამოცემა განახლდა, მაგრამ 1880 წლის ივნისში რედაქტორი ურჩობისათვის კვლავ გაასამართლეს და სტავროპოლს გადაასახლეს.

1881 წ. ნ. ნიკოლაძე სტავროპოლიდან პეტერბურგში გადაიყვანეს, სადაც რკინიგზის უწყებაში დაიწყო სამსახური, მას თბილისში ჩამოსვლა 5 წლით აეკრძალა, ამიტომ 1881-1886 წლებში იგი პეტერბურგში ცხოვრობს, რკინიგზის სამმართველოში მუშაობს და პროტესტის ნიშნად ქართული ჩოხით დადის.

პეტერბურგში ცხოვრების 5 წელი ნ. ნიკოლაძისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან შეიმუშავა და რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებას დაამტკიცებინა ბაქოდან ნავთის გადატვირთვის მთელი პროგრამა, რაც გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ გამოაქვეყნა (1883 წ. №26-69). ეს პროგრამა მიიღო ნავთის მრეწველთა საერთო კრებამ და როტშილდების დაფინანსებით განხორციელდა, რაც დაუპირისპირდა ბიზნესმენ ნობელების დიდ მცდელობას — ბაქოდან სახელმწიფო ხარჯით გაყვანათ ბათუმამდე ნავთობსაქანი. ამ პროექტით ნ. ნიკოლაძემ უპირატესობა ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობას მიანიჭა, რომელშიც წიფის გვირაბის გაყვანა სახელმწიფო ხარჯით მოხდებოდა. ამ პროექტის დამტკიცებამდე ნ. ნიკოლაძემ დიდი ომი გადაიტანა პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთების ფურცლებზე. ნ. ნიკოლაძის ღრმა ცოდნა, გამოცდილება, უცდომელი გაანგარიშების უნარი უმტკიცებდა

„ვისაც ჯერ იყო“, რომ ნავთობგადასაქაჩის გაყვანამდე ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა იყო აუცილებელი, რომელშიც წიფის გვირაბის გაჭრაც შევიდოდა [ნ. ნიკოლაძე მეცხრამეტე საუკ. 70-იან წლებში (1872 წ.) ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანისათვის დააჯილდოვეს ოქროს ეპტონით, რაც უფლებას აძლევდა სიცოცხლის მანძილზე იმპერიის ფარგლებში უფასოდ ემგზავრა ცალკე კუპეში].

1886 წელს სახელმწიფო დაფინანსებით გაყვანილ იქნა წიფის გვირაბი, რაც კავკასიის რკინიგზის მაგისტრალის შემაერთებელ ღერძად იქცა. ამ რთული პრობლემის გადაჭრას ნ. ნიკოლაძე ჟურნალისტური ხერხებით აღწევდა, – პრესაში გამოქვეყნებული წერილებით „იბრძოდა“. ჟურნალისტობა მისთვის არსებობის ფორმა იყო, მე მხოლოდ ამ საქმისთვის ვიყავე გაჩენილიო, – დაწერს მოგვიანებით. ასე რომ, დღევანდელი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ნ. ნიკოლაძის სახელსაც უკავშირდება გარკვეულწილად.

1882 წელს ნ. ნიკოლაძემ მიიღო მონაწილეობა რეაქციულ „სვიაშჩენნაია დრუჟინას“ და „ნაროდნაია ვოლიას“ ხელმძღვანელებს შორის ტერორის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებაში, სამაგიეროდ მან მთავრობისაგან „ცოცხლად დამარხული“ ნ.გ. ჩერნიშევსკის შორეული ციმბირიდან ასტრახანს „გადმოასახლებას“ მიაღწია.

1887 წლიდან ნ. ნიკოლაძე კვლავ თბილისშია და პუბლიცისტური მოღვაწეობით ქართული სინამდვილის გარდაქმნა-გაჯანსაღებას ცდილობს, იმდროინდელი საზოგადოების „სულის ქირურგიას“ (გ. ქიქოძე) აგრძელებს. ოთხი წელი რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორობს, რომელშიც 200-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა. მათი თემატიკა მრავალწახნაგა და ძალზე კრიტიკულია, პოლემიკური პათოსი კი – განსაცვიფრებელი, ურთიერთგამომრიცხავი კი (მარტო ნ. შელგუნოვთან პოლემიკა რად ღირს!). წერილების სერიაში ნ. ნიკოლაძე დროით ნაკარნახებ მტკივნეულ პრობლემებზე მსჯელობს: – ქალაქის მმართველობა, წყლის გაყვანა, საკანალიზაციოსაირიგაციო ქსელის მოწესრიგება, საავადმყოფოების მშენებლობა, ქალაქის თავის არჩევნები და ბევრი სხვა საჭირობო-სოციალური საკითხი.

1894-95 წლებში ნ. ნიკოლაძე ჟურნალ „მოამბეში“ თანამშრომლობს, უძღვება განყოფილებებს – „საშინაო საქმეები“, „უცხოეთის ქრონიკა“, „ქრონიკა“.

მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლები მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების წლებია, რაც ევროპასა და აზიაში ბევრი ადამიანის სიცოცხლეს შთანთქავს... დამოუკიდებლობისათვის იბრძვის კოლონიალქცეული ბევრი პატარა ქვეყანა. საქართველო კოლონიალქცეული უძველესი ტრადიციების ქვეყანაა. ნ. ნიკოლაძე სხვა ქვეყნების პოლიტიკურ გასაჭირსა და ეკონომიკურ სიდუხჭირესე რომ წერს ჟურნალ „მოამბეში“, ამით საქართველოს ბედზე მსჯელობს. ამიტომ იცავს ბულგარეთის ინტერესებს, ამიტომ ამართლებს იაპონიის ბრძოლას ჩინეთთან და რადგან „ორი ღმერთის მსახურება“ ერთდროულად უკადრისად მიაჩნია, როდესაც ფოთის ქალაქის თავად აირჩევენ (1895 წ. დეკემბერი), პრესაში მისი თანამშრომლობა თითქმის წყდება. მოგვიანებით ნ. ნიკოლაძე დაწერს: „მწერლობაზე ხელი აიღო, რაკი ფულიანი ადგილი იშოვნაო“. კარგად არ გაუცვნია მწერალის (ჟურნალისტის-დ.ჩ.) მოვალეობა იმას, ვინც ამას მაყვედრის. დიახაც, ისეთი მოწინააღმდეგეებით ვეპყრობი მწერლის (ჟურნალისტის-დ.ჩ.) დანიშნულებას, რომ ყოველთვის, როცა ან რკინიგზის, ან მრეწველობის, ან ქალაქის სამსახურს ეკისრულობდი, უადრეს მოვალეობად ვთვლიდი ჟურნალისტობაზე ხელი ამეღო... მწერლობის და მკითხველი საზოგადოების წინ დუმილი იმას მოასწავებს, თუ რა მორიდება მაქვს მომავლის, რა წმინდათაწმინდათ ვთვლი ჟურნალისტიკას. ვერავინ მოძებნის სტამბაში ვერც ერთ სტრიქონს, ჩემგან დაწერილს, რკინიგზის, ან როტშილდის, ან ფოთის საქმეების დამცველს, ან მაღიდებელს, სანამ ამ საქმეებს ვემსახურებოდი...“ („ჩემ პოლიტიკაზე“, გაზ. „იმერეთის“ საპასუხოდ“). 1913 წელს „იმერეთის“ საპასუხოდ დაწერილი პუბლიცისტური აღსარება ნ. ნიკოლაძისა ღრმა არგუმენტაციით, შესაწერი სიღარბაისლით, პოზიციის წარმოჩენის უბადლო ნიჭით, ფაქტების სიზუსტითაა გაჯერებული, არც ერთი უკადრისი სიტყვა, მიზანი ერთია, – სიმართლე დაადგინოს მკითხველმა, სიტყვის ოსტატის ფრაზეოლოგია არავის აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, ავტორი პატივს სცემს მკითხველს, თვით მოწინააღმდეგესაც კი.

1914 წელს ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდა პუბლიცისტს ვლადიმერ ბაქრაძეს (1878-1953 წ.წ.), შემდგომში მენშევიკური მთავრობის

დიპლომატს პოლონეთში, უგზავნის ვრცელ ავტობიოგრაფიულ წერილს, რომელშიც თანმიმდევრულადაა განხილული ნ. ნიკოლაძის სამოცდაათწლიანი მშფოთვარე და მრავალმხრივი ცხოვრების გზა. ეს წერილი „ძაფია მის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული ძიებისაკენ“. დაუმსახურებლად უმადურ გარემოში მყოფი ნ. ნიკოლაძე, (1914 წელი) დიდი ტაქტითა და გულწრფელობით რომ გამოირჩევა, ნაღვლიანად აუწყებს ელ. ბაქრაძეს; „ემუშაობდი სავსებით გაუკაფავ ნიადაგზე (ადგილობრივ საქმეებში) და არ მყოლია წინაპრები. სწორედ ამით აიხსნება ჩემი შრომების ნაკლოვანებანი და შეიძლება ღირსებებიც... საწყენია, რომ ამდენი ძალა შევალე საქმეს, რომელიც, როგორც ჩანს, არაგის სჭირდება და უკეთეს შემთხვევაში ნაადრევია“. ნ. ნიკოლაძის ღრმა რწმენით, პუბლიცისტმა დროის მოთხოვნა უნდა ამოიცნოს, არც დაგვიანება და არც ადრე მოსვლა პუბლიცისტთა სასოგადოებას არ გამოადგება. „ნაადრევი ყველაფერი დღენაკლულიაო“, – გვასწავლის დიდი ნიკო და მტკიცედ სწამს, რომ დრო ყველაფერს წარმოაჩენს, ყველაფერს დააღაბებს, მტყუნან-მართალს „გაასამართლებს“, დრო ყველაზე დიდი და შეუმცდარი მსაჯულია!

ოცი წელი ნ. ნიკოლაძე ფოთის ქალაქისთავია (1895 დეკ. – 1912 წ. მაისი). მთელი ცოდნა, ენერჯია, მონდომება და კონტაქტუნარიანობა ნ. ნიკოლაძემ ბნელქუჩიანი, წუმპე-ტალახიანი, უსახური და ჭაობიანი ფოთის კეთილმოწყობას, საქართველოს კარიბჭედ პორტის ამოქმედებას მოახმარა. ნ. ნიკოლაძის მცდელობით ფოთი იქცა მოკირწყლულ ქუჩებიან, ქვითკირის სახლებიან, ხიდებით დამშვენებულ ქალაქად, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებით, საავადმყოფოთი, პოლიციის სადგომით, ელექტროგანათებით, სარკინიგზო სადგურით, კეთილმოწყობილი ფოთის პორტით, რომლის ნოვატორული მშენებლობისთვის ნიკოლაძემ ორჯერ იმოგზაურა ევროპაში, გაეცნო საუკეთესო პორტების პროექტებს, სამშენებლო ტექნიკას, რვაჯერ ჩავიდა პეტრეს ქალაქში, რათა დაერწმუნებია რუსეთის „უმადლესი ხელისუფლება“ პორტის მშენებლობისათვის სესხის გაცემაში, იბრძოლა და შემოიღო ნახევარკაპიკიანი საფუთო გადასახადი გადატანილი ტვირთის თითოეულ ფუთზე (16 კგ.), რაც მოახმარა ქალაქის კეთილმოწყობას და ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დასრულებას (1908 წ.). ფოთის ნავსადგურის მშენებლობაში

პირველად გამოიყენეს ბეტონი, (კვერცხის გულის ჩათვლით), რათა წყალს არ „გაერღვია“ დამცავი ჯებირი. ასე რომ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ნ. ნიკოლაძე აზროვნებდა და საქმიანობდა ისე, როგორც ოცდამეერთე საუკუნის მოაზროვნეს შეჰფერის. რუტინის მოყვარულნი ვერ ახშობდნენ ნ. ნიკოლაძის ინიციატივას – ფოთი ევროპული ყაიდის დასახლება გამხდარიყო. მაგრამ „ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა მეცადინეობით“ ნ. ნიკოლაძეს ცილი დასწამეს... ფოთის ქალაქის თავს გერმანელთაგან ქრთამის აღება დააბრალეს... გამოძიება ორ წელს გაგრძელდა, ბრალეულობა ვერ დამტკიცდა. „ნიკო ნიკოლაძის საქმე“ 1914 წლიდან 1916 წლის მაისამდე გაგრძელდა. ნ. ნიკოლაძე ქუთაისში გაასამართლეს, მას ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ რვა ათასის გადახდა მაინც დააკისრეს. ბევრი გამოეხსარა სახალხო, – ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოიღოს ის რვა ათასი მანეთი, რაც ნ. ნიკოლაძეს თავისი ქვეყნის ნაყოფიერი სამსახურისთვის დააკისრესო, (აღ. ასათიანი, გაზ., „სამშობლო“, 1916 წ., ივნისი). ფოთის საზოგადოებამ მადლიერების ნიშნად და პატივისცემის დასტურად ნ. ნიკოლაძეს მუდმივი პენსია დაუნიშნა.

1914-1916 წლებში ნ. ნიკოლაძე კვლავ დაძაბულ პუბლიცისტურ პაექრობაშია ჩაბმული. ჟურნალები „კლდე“, „განთიადი“, გაზეთები „იმერეთი“, „სამშობლო“, „საქართველო“ ნ. ნიკოლაძის მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტურ სტატიებს აქვეყნებენ.

1917 წელს ნ. ნიკოლაძე სტოკჰოლმში ესწრება დენის დიდ მანძილზე გადაცემის ცერემონიალს, როგორც რუსული გაზეთის კორესპონდენტი. იგი იმედით ბრუნდება სტოკჰოლმიდან. „ასეთი წყაღეარდნილები, სადაც ტურბინი იდგა და დენს იმუშავებდა, საქართველოში ყოველ სოფელშია, ყველა დაბასაც კი ელექტრონი ექნება და ცხოვრება სულ სხვაგვარად მოეწყობაო“, – იწერება პეტერბურგიდან.

1916-17 წლებში ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში მიუშაობს დიდი ხნის ახლობლის – ამფითეატროვის გაზეთ „რუსსკაია ვოლიას“ მთავარ კორესპონდენტად. თებერვლის რევოლუციას ნ. ნიკოლაძე პეტრეს ქალაქში შეხვდა. ერთ-ერთ პირად წერილში დისადმი ნ. ნიკოლაძე სუსხიანი, თოვლჭყაპიანი თებერვლის „უცნაურ“ დღეებს აღწერს, როდესაც პეტერბურგი პარალიზებული იყო, ტრანსპორტი – დარბეული და სოლიდური ასაკის მიუხედავად

(ნიკოლაძე მაშინ 74 წლისა ბრძანდებოდა) ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე ფეხით სიარული უხდებოდა, თუმცა, იმედოვნებდა, რომ ეს არეულობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნ. ნიკოლაძე თბილისში 1917 წლის ივნისის დასაწყისში დაბრუნდა, ესწრება ეროვნულ-დემოკრატიების დამფუძნებელ ყრილობას, რომლის გახსნის დღეს პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარეა. „ხანდაზმულ, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიან და ძველებურ გონებაგამჭრიახ“ ნ. ნიკოლაძეს დებატებშიც აქტიური მონაწილეობა მიუღია, რითაც დარბაზი აღფრთოვანებულა. ცნობილია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პლატფორმა თერგდალეულთა საფუძვლებს დაემყარა. ნიკოლაძე უკანასკნელი თერგდალეული გახლდათ იმ დროს.

1917 წ. ნოემბერში საქართველოს ეროვნული ყრილობა გაიმართა, რომელმაც ეროვნული საბჭო აირჩია. ეს საბჭო საქართველოს ხელისუფლების გამომხატველი იყო, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მან პარლამენტის ფუნქცია შეიძინა.

1918 წ. აპრილ-მაისში ნ. ნიკოლაძე აკ. ჩხენკელთან ერთად მონაწილეობდა ბათუმში ოსმალეთ-ამიერკავკასიის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში, რომელზეც გადაწყდა საქართველოს ბედი, – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ნ. ნიკოლაძე ამ ისტორიული მოვლენების შუაგულში იყო. ზ. ავალიშვილის სიტყვებს მოვიხმობთ: „ნიკო ნიკოლაძე მეტად ადვილად ატარებდა თავის 75 წლის სიმძიმეს... უღვევი მუხსიერება, ცოდნა ოსმალეთ-კავკასიის დამოკიდებულებისა, მუსაიფის მჩქეფარე ნიჭი, თვალებში ცუცხლის ნაპერწკლები, თეთრ წვერთან და წარმოსადგებ შეხედულებასთან ყველაფერი ეს ძლიერ სასარგებლოდ ხდიდა მის ყოფნას ბათუმში“.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ნ. ნიკოლაძე ბათუმიდან აკ. ჩხენკელთან ერთად გაემგზავრა ფოთს, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის დროებითი შეთანხმების ტექსტი დაიწერა (ამ დოკუმენტის ეკონომიკური ნაწილი ნ. ნიკოლაძის შედგენილია), ხოლო 1918 წ. ივნისში ნ. ნიკოლაძე სამთავრობო დელეგაციის წევრია და მიემგზავრება ბერლინში გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რომლის მიზანიც – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანიის მთავრობისაგან აღიარება და ეკონომი-

კური ხელშეკრულების დადება იყო. გერმანიამ საქართველოს მემორანდუმს ხელი მოაწერა. სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი ნ. ნიკოლაძე 1918 წლის 9 ივნისს ქართველმა ლეგიონერებმა ბერლინში დააჯილდოვეს თამარ მეფის ორდენით და სამკერდე ნიშნით, რაც სამშობლოს წინაშე მისი დიდი ღვაწლის დაფასება გახლდათ.

1919 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ილიას პარტიის) დამფუძნებელ კრებაზე პარტიის რვა დეპუტატს შორის იყო ნ. ნიკოლაძეც, რომელიც ნოე უორდანიას პოლიტიკურ პლატფორმას არ იზიარებდა, მაგრამ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან არ ესხმოდა თავს. ნოე უორდანიას ერთხელ ნ. ნიკოლაძემ განუცხადა: – „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებს შორის თქვენ (ე.ი. მთავრობას – დ.ჩ.) მოწინააღმდეგე არა გყოლიათ და არც გეყოლებათ, სანამ თქვენ დგებართ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნიადაგზე!“ – პარლამენტარიზმის გარიყრაფზე საქართველოში ნ. ნიკოლაძე ახალი ტიპის მოღვაწეა ევროპული აზროვნებით და ევროპული ქმედებით. მენშევიკურმა მთავრობამ ნ. ნიკოლაძე საგარეო საქმეთა მრჩეველად დანიშნა ევროპის ქვეყნებში (1920 წ.), სადაც ხანგრძლივად მოუწევდა ყოფნა. მან განცხადებით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს, – ხანგრძლივი განშორება საკუთარი ქვეყნიდან იმ უფლებას არ მაძლევს ადგილი დავიკაეო პარლამენტში და უფლებამოსილებას ვიხსნიო... ეს საგულისხმო მაგალითია დღესაც.

ნ. ნიკოლაძე ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის აღორძინებაზეც ზრუნავდა. 1920 წლის აპრილში იგი ინგლისშია „ჩემოს“ საქმეების გამო. 1921 წ. თებერვლის „აყირაების“ დროს ნ. ნიკოლაძე ინგლისში იმყოფებოდა, სადაც 1924 წლის მარტამდე დარჩა. თბილისში დაბრუნებული ისევ კალმის ძალით ემსახურება ქართულ კულტურას, ქართულ განათლებას, თანამშრომლობდა ჟურნალებში „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“, წერს უაღრესად საინტერესო და მრავალპლანიან მოგონებებს („წარსულიდან“, „სტუდენტობის პირველი დრო“ „მოგონებანი 60-იან წლებზე“). ნ. ნიკოლაძემ დააარსა წიგნის გამომცემელი კერძო ამხანაგობა „ქართული წიგნი“, რომლის შემადგენლობაში იმდროინდელი თითქმის ყველა ქართველი მოღვაწე გაერთიანდა იე. ჯავახიშვილიდან დაწყებული კორნელი კეკელიძითა და შალვა



ნუცუბიძით დამშვენებული. ამ კერძო ამხანაგობამ ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით და პაულე ინგოროყვას აქტიური მონაწილეობით შეადგინა და დასტამბა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთი ტომი. „ილია უნდა აღდგეს, ილია უკვდავია... ჩემი ნაწერები დროს გაჰყვას“, – ყველას გასაგონად ირწმუნებოდა ბრძენკაცი.

1928 წლის 1 აპრილს ნიკო ნიკოლაძე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა თბილისში. მეორე დღეს ყველა ქართულ ეკლესიაში ერთდროულად ზარების რეკვა გაისმა. ეს ზარები დიდი ნიკოს გარდაცვალებას ამცნობდა ქართველთ, რაც უწვეულო იყო ათეისტური საზოგადოების „მშენებელ“ იმდროინდელთათვის. ოფიციალური წრის ბევრი წარმომადგენელი დაფრთხა. 5 აპრილს ნ. ნიკოლაძეს ასაფლავებდნენ, მაგრამ სად, ჯერ გადაუწყვეტელი იყო. მოვიდა კრემლის თანხმობა, – მთაწმინდაზე დაეკრძალათ ეს „თავსარდამცემი“ მოაზროვნე, „პრაქტიკული საქმის კაცი“, სიტყვისა და ქმედების მთლიანობის უკანასკნელი მოპიკანი მეცხრამეტე საუკუნიდან.

ამ ბევრი და დიდი საქმეების კეთების ძალას ნ. ნიკოლაძეს, ალბათ, არსთაგამრიგე უფალი აძლევდა... გიმნაზისტობის დროს ბერად შედგომასზე ოცნებობდა, გელათის მონასტერში ლოცვით დაღლაზე დიდი ნატყრა მას არ ჰქონია. ქუთაისში, არქიელის გორაზე მდებარე ეკლესიაში, როცა ექვთიმე ეპისკოპოსი წირავდა ხოლმე, ხშირად სტიხარს აცმევდნენ, არქიელის კვერთხს ხელში აძლევდნენ ეპისკოპოსის წინ სატარებლად. ნიკომ ზეპირად იცოდა ყველა ლოცვა, გათავისებული ჰქონდა წირვის მთელი რიტუალი, რაც დაუმტკიცებია კიდევ მოგვიანებით, ცოლის შერთვის შემდეგ გურამიძის კარის ერეკლესდროინდელ ეკლესიაში ილია ჭავჭავაძესთან ერთად წირვის მსახურების ჩატარებით (ნ. ნიკოლაძე, „წარსულიდან“, გვ. 32-33). მოგვიტევეს მკითხველმა ეს გადახვევა...

ნ. ნიკოლაძის ცხედარი მრავალრიცხოვანმა ჭირისუფალმა 1928 წლის 5 აპრილს ზარების რეკვით მიაცილა მთაწმინდის კალთამდე, მაგრამ იმ დღეს მთაწმინდის მიწამ ნიკოს ცხედარი ვერ მიიბარა, რადგან კლდოვანი გარემო იმჟამინდელმა ტექნიკამ ვერ გაარღვია (პ. ნაცვლიშვილი). მთელი ღამე მამადავითის ეკლესიაში ესვენა ნ. ნიკოლაძის ცხედარი ოჯახის წევრების, მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძისა და თანმხლებ სამღვდულოების გარემოცვაში, მათი ლოცვითა და გალობით, ვიდრე

სალი კლდის გული გაარღვია ტექნიკამ. 6 აპრილს, პარასკევ დღეს, მიწას მიაბარეს უკანასკნელი ამბგდარი და დროსგასწრებული ევროპელი მეცხრამეტე საუკუნიდან, რომელიც მსოფლიო მასშტაბის მოღვაწე იყო, რამდენიმე ფორმაციის მკვიდრი, ცოდნისა და რისკის ტრიუმფით გამორჩეული, უდოგმატობით საქვეყნო საქმის მკეთებელი, ტოლერანტობით მტერსაც რომ აკვირებდა... „იშეიათი ყურადღება, არაჩვეულებრივი პატივისცემა და მეტად დიდი მოკრძალება ნ. ნიკოლაძისადმი შედეგია იმისი, რომ განსვენებული შემოსილი იყო თანამედროვე ცოდნით, დაუშრეტელი ენერჯით, რაინდული გამბედაობით... ამისთვის იყო, რომ დიდ ჯიხაიშსა და პეტროგრადში, ლონდონსა და პარიზში, ბერლინსა და სტამბულში ნიკო ერთნაირ და თანასწორუფლებიან მოქალაქედ გრძნობდა თავს და არავის წინაშე ქედს არ იხრიდა“ (მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე).

გამოქვეყნდა წიგნში „დიდნი საქმენი“,  
გამომცემლობა „არტანუჯი“, 2009წ.

## სარჩევი:

1. ავტორისაგან . . . . .	3
2. ციური ნოზაძის გახსენება . . . . .	4
3. აკაკის ანდერძი . . . . .	6
4. სახელოვანი წინაპრის საფიქრალი . . . . .	11
5. ნიკო ნიკოლაძის გახსენება . . . . .	17
6. ალექსანდრე ნანვიშვილის პუბლიცისტიკის ერთი ასპექტი. . . . .	21
7. მეცნიერული ჟინით დაწერილი ისტორია . . . . .	34
8. იოსებ ბოცვაძის გახსენება . . . . .	38
9. სერგეი მესხი – „შამა პოლიტიკური მწერლობისა“ . . . . .	42
10. ქვეყანამ სანთლად რომ აგინთოს . . . . .	67
11. გილოცავე, გილოცავე! . . . . .	72
12. პრესა და საზოგადოება ნიკო ნიკოლაძის 1879-1880 წლების პუბლიცისტურ წერილებში . . . . .	75
13. „ივერიის“ ტრადიციებს აგრძელებდა . . . . .	77
14. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამიკველე . . . . .	79
15. ნატა თათარაშვილის გახსენება . . . . .	82
16. დროსგასწრებული მაჩუელიშვილი . . . . .	84
17. ნიკო ნიკოლაძის გამოუქვეყნებელი სტატია – „დრონი მეფობენ“ . . . . .	87
18. წინათქმა . . . . .	91
19. ნიკო ნიკოლაძე და თვითმმართველობა . . . . .	93
20. ჟურნალისტიკის ისტორიის სათავეებთან . . . . .	101
21. ნინუსი მახარაძის გახსენება . . . . .	103
22. დიმიტრი ყიფიანი – ჟურნალისტი . . . . .	104
23. ჟურნალისტიკას სპობენ . . . . .	110
24. ეინ არის ბატონი პაიჭაძე – ჟურნალისტთა „დამბალანსებელი“ თუ მესაფლავე . . . . .	113
25. „ლობიო და თევზი მოხარშე და ქელეხისთვის გაუმზადეო“. . . . .	117
26. ნიკოლოზ ცხევედაძე – ჟურნალისტი და უნივერსიტეტის მაშენებელი . . . . .	122
27. ნიკო ნიკოლაძე . . . . .	130



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)